პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეოცე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 66, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—38.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8-81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—30 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ზედიზედ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი. შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- პარიზში გაიხსნა საფრანგეთის კომპარტიის კონფერენცია.
- რეიხსტაგმა მიიღო გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი.
- 7 თებერვალს პოლონეთში დაიწყება ბელორუსიის გრომადის პროცესი.
- პარიზში გაჩხრიკეს კომპარტიის უჯრედები.
- ლაზა სტეფანოვიჩის გასამართლება.
- ნორვეგიის ახალი მთავრობის პროგრამა.
- ინგლისელების დამსჯელი ექსპედიცია სუდანში.

პარასკევი, 3 თებერვალი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 28 (2071)

კომუნისტი

გრძელდება ხელის მოწერა
თებერვლისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოები, პირველ ყოვლისა კი ინგლისი, დიდი ხანია ცდილობენ გერმანიის ჩაბმას ანტისაბჭოთა ბლოკში, და იმ შედარებით ნორმალურ პოლიტიკურ-ეკონომიურ დამოკიდებულების მოსპობას, რომელიც გერმანია-საბჭოთა კავშირს შორის დამყარდა რაპალოსა და ბერლინის ხელშეკრულებებით. მაგრამ გერმანიის მმართველი წრეები საკმაო წინააღმდეგობას უწევდენ ასეთ ცდებს, ვინაიდან ამას დაჟინებით მოითხოვდა მათი ქვეყნის სასიცოცხლო საერთაშორისო და სამეურნეო ინტერესები.

ამ ინტერესებს დღესაც ოდნავადაც არ დაუკარგავთ თავისი ძალა და ამიტომ არ გვფიქრობთ, რომ გერმანიის საგარეო პოლიტიკამ საბჭოთა კავშირის მიმართ რაიმე არსებითი ცვლილება განიცადოს ჩვენთან ურთიერთობის გაფართოების მიმართულებით. მაგრამ რომ ამ მხრივ ცდა გრძელდება, ეს უდავოა.

ამას, სხვათა შორის, ნათელ ჰყოფს დე-მონზის გამოსვლაც. საჭიროა გავიხსენოთ, რომ დე-მონზი თავმჯდომარეა საფრანგეთის იმ კომისიის, რომელსაც დაკისრებული აქვს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების წარმოება. ბერლინში ყოფნის დროს მან განაცხადა, რომ საჭიროა გერმანიამ თავისი ეკონომიური ტაქტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ დასავლეთის სახელმწიფოებს შეუთანხმოსო. რას ნიშნავს ეს? დასავლეთის ქვეყნები უმეტესად ჩვენი ეკონომიური გარიყვის პოლიტიკას ატარებენ და აქეთკენ ხომ არ მოუწოდებს გერმანიის მმართველებს დე-მონზი? მაგრამ ამ მიზნის განხორციელებას ისინი ვერ ახერხებენ და იძულებული არიან ჩვენთან ამა თუ იმ სახით ეკონომიური ურთიერთობა დაამყარონ. ამ შემთხვევაში დე-მონზის განცხადება შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: გერმანია თავისი არსებული დამოკიდებულებით საბჭოთა კავშირთან სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს და მათ შორის საფრანგეთს ხელს უშლის, რომ განაალდონ გადაჭარბებული პრეტენზიები (ვალების, კრედიტის და საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის დარგში), რომლებსაც ისინი ჩვენ გვიყენებენ; საჭიროა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა გამონახონ საერთო ენა, შეკრან მთლიანი ფრონტი, რომ საბჭოთა კავშირი ამ საკითხებში დათმობებზე ვაიძულოთო. აშკარაა, რომ დე-მონზი ფიქრობს: 1) გერმანიის თავის თვალსაზრისზე გადაყვანით ზურგი გაიმაგროს საფრანგეთ-საბჭოთა მომავალ კონფერენციაზე, 2) გაართულოს გერმანია-საბჭოთა ეკონომიური ურთიერთობა, რომ ამის ხარჯზე საფრანგეთმა შესძლოს ჩვენს ბაზარზე უპირატესობის მოპოვება.

საგულისხმოა, რომ დე-მონზის გერმანიის წრეებშიც გამოუჩნდენ მომხრეები. ჩვენ მხედველობაში გვაქვს „რუსეთის გერმანელი კრედიტორების" მემორანდუმი, რომლითაც მათ მიმართეს რეიხსტაგს. ისინი, თავის ინგლისელ და ფრანგ კოლეგების, „რუსეთის მსხვილი კრედიტორების" მსგავსად მოითხოვენ იმას, რაც სამუდამოდ დამარხული გვეგონა რაპალოს შემდეგ. რა თქმა უნდა,—რაიმე სერიოზული მნიშვნელობა გერმანელ „კრედიტორების" ამ [illegible] არ უნდა მივაკუთვნოთ. თვით გერმანიის პოლიტიკურ წრეებში მას „კერძო თაოსნობად" თვლიან. მაგრამ ის მაინც მოწმობს გერმანიის ზოგიერთ ჯგუფების მიერ საღი პოლიტიკური გონიერების დაკარგვას და მათ ანტისაბჭოთა განწყობილებას.

გაცილებით უფრო საყურადღებოა შტრეზემანის გამოსვლა რეიხსტაგში საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს. შეეხო რა საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებას, მან სთქვა: „გერმანიის სამეურნეო წრეები დგანან იმ თვალსაზრისზე,—და მე არ შემიძლია უარვყო, რომ ისინი მართალი არიან ბევრ შემთხვევაში,—რომ გერმანია-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობის განვითარებამ ხელშეკრულების დადების შემდეგ დროის განმავლობაში იმდენად ვერ გაამართლა ის იმედები, რომლებსაც უკავშირებდენ გერმანია-საბჭოთა ხელშეკრულების დადებას და გერმანიის დათმობებს საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების მიცემის დარგში"-ო.

რა იმედებზე ლაპარაკობს შტრეზემანი? ამაზე პასუხს იძლევა გერმანელი ეკონომისტი კრისტერი, რომელიც „ბერლინერ ტაგებლატტ"-ში წერდა: „რაკი შეეხება რუსეთის, როგორც გერმანულ ფაბრიკატებისათვის ბაზრის, მნიშვნელობას, თავდაპირველად ფიქრობდენ, რომ რუსეთი რამოდენიმედ აანაზღაურებდა იმ დანაკლისს, რომელიც გერმანიის ექსპორტმა სხვა ბაზრებზე განიცადა"-ო. გერმანიამ, როგორც ვიცით, მსოფლიო ომის შედეგად დაკარგა უცხოეთის ყველა ბაზარი და მას დღესაც არ აძლევენ ამ მხრივ გასაქანს. და თუ გერმანიის კაპიტალისტები ფიქრობდენ, რომ საბჭოთა კავშირი მთლიანად გასწევდა მის მიერ დაკარგულ მსოფლიო ბაზრების მაგიერობას, ეს, რა თქმა უნდა, სრულებით უნიადაგო ოცნება იყო. ისე კი ფაქტები მოწმობენ, რომ გერმანიის ექსპორტი საბჭოთა კავშირში თანდათან იზრდება და აქედან გერმანიის მეურნეობას დიდი შემოსავალი ეძლევა. საგულისხმოა შემდეგი ციფრები: საბჭოთა შესყიდვების და შეკვეთების ჯამი გერმანიაში 1925—26 წ. შეადგენდა 189.5 მილიონ მანეთს, ხოლო 1926—27 წ. წინასწარ ცნობებით უდრის 250.6 მილ. მანეთს. ამასთან ხაზგასასმელია, რომ გერმანია-საბჭოთა ვაჭრობამ სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში გერმანიას აქტივი მისცა 140 მილიონ მარკის რაოდენობით. საერთოდ ჩვენი იმპორტის საერთო ჯამში გერმანიას პირველი ადგილი უჭირავს. ყველა ამის შემდეგ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირთან არსებული სავაჭრო ურთიერთობა გერმანიისათვის თითქო ხელსაყრელი არ იყოს, რაზედაც შტრეზემანი გვეუბნება და გერმანიის პრესაც მოსთქვამს, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

შტრეზემანი ლაპარაკობს, რომ „ორი სხვადასხვა გვარ ეკონომიურ სისტემის შეთანხმების პირველი ცდით არ შეიძლებოდა ამ პრობლემის დაუყოვნებლივ და საბოლოოდ გადაწყვეტაო". ეს მართალია. ამიტომ, ორივე ქვეყნის სავაჭრო მოლაპარაკებამ, რომელიც ახლო მომავალში გაიხსნება, ხელი უნდა შეუწყოს ამ „შეთანხმებას" და სავაჭრო ხელშეკრულების გატარების პროცესში აღმოცენებულ დაბრკოლებათა გადალახვას. მაგრამ აქ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. ორი სისტემის „შეთანხმება" ყოვლად შეუძლებელია მოხდეს ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის თუ გინდ ოდნავ შეზღუდვის ხარჯზე. საბჭოთა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ, რომელიც კაპიტალისტურ მსოფლიოსგან ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიურ დამოუკიდებლობის ერთ-ერთი საფუძველია, დიდი ხანია კაპიტალისტები ილაშქრებენ. ამ საკითხს თვალსაჩინო ადგილი ჰქონდა დათმობილი გერმანია-საბჭოთა სავაჭრო მოლაპარაკების დროს. გერმანია მაშინ იძულებული შეიქნა საესებით ეცნო ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლია და სავაჭრო ხელშეკრულებაც ამაზეა აგებული. ეხლა კი გერმანიაში ისევ გაისმის ხმები, რომ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია ხელს უშლის გერმანია-საბჭოთა ვაჭრობის განვითარებასო. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის, რამდენად საქმე ეხება ორი ქვეყნის ჯანსაღ სავაჭრო ურთიერთობას. გერმანიის კაპიტალს კი სურს უკონტროლო შემოჭრა საბჭოთა კავშირში და ჩვენი სამრეწველო განვითარების გეგმის ჩაშლა. მაგრამ ამას ხომ ჩვენ ვერ დაუშვებთ და ასეთ პრეტენზიაზე ერთხელ და სამუდამოდ ხელი უნდა აიღოს გერმანიამ, თუ მას სწადია იმ უპირატესობის და სარგებლობის შენარჩუნება, რასაც მას რაპალოს და ბერლინის ხელშეკრულებები აძლევს.

ამაში კი გერმანია სასიცოცხლოდაა დაინტერესებული. ცენტრის წარმომადგენელმა დეპუტატმა ულიცკამ განაცხადა: „არავინ ჩვენგანი არ ფიქრობს საბჭოთა ქვეყანასთან კავშირის შეწყვეტას. ეკონომიური შესაძლებლობანი, რომლებიც ორივე ქვეყნისათვის იქმნება მშვიდობიანი და მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობით, აუცილებლად მოითხოვენ არსებულ ურთიერთობის შენარჩუნებას და განმტკიცებას"-ო. ეს ცარიელ სიტყვებად არ უნდა დარჩეს. რაპალოს და ბერლინის ხელშეკრულებებმა განამტკიცეს გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობა და ხელი შეუწყეს მის სამეურნეო აღორძინებას. ამ ხელშეკრულებათა ნიადაგზე დამოკიდებულების გაფართოება-განვითარება აუცილებელია, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე უფრო გერმანიისათვის. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის ხელმძღვანელები თავს დააღწევენ გარეშე ძალების ანტისაბჭოთა პოლიტიკას და აგრეთვე მთელი ქვეყნის ინტერესებს სასარგებლოთ (ცალკე საფინანსო-სამრეწველო წრეების ჯგუფურ მისწრაფებებზე მაღლა დადგებიან.

ნორვეგიის მაკდონალდები ხელისუფლების სათავეში

ნორვეგიაში შესდგა „მუშათა" მთავრობა. ამ შემთხვევაში მეორე ინტერნაციონალის ვარსკვლავი ამობრწყინდა ევროპის ჩრდილოეთში, სკანდინავიის ფიორდებზე. თვით ნორვეგიის მეფემ მისცა წინადადება სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადს მადსენს ხელში აეღო ძალა-უფლების სადავე. ახლად გამოცხობილმა „სოციალ-დემოკრატიულმა" მთავრობამ უკვე გააბედნიერა ქვეყანა და ნორვეგიის პროლეტარიატი „დიადი" მომენტის შესაფერ დეკლარაციით.

საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის სოციალ-იეზუიტები ალბათ სიხარულით აუწყებენ მთელს ქვეყანას ნორვეგიის სოციალისტების მორიგ „წმინდა" „გაუხმაურებელ", „კულტურულ" და უბიწო პარლამენტარულ გამარჯვების შესახებ. მიუხედავად ამისა, როგორც დეპეშები იუწყებიან, თვით ნორვეგიაში და სოციალ-დემოკრატიული (ე. ი. ამჟამად „მთავრობის") წრეებშიაც კი ამ ამბავს საკმაოდ თავშეკავებულად. „ენთუზიაზმით" შეხვდენ. მუშათა პრესა ადგილებზედ სიხარულის მაგიერ სკეპტიკურად არის განწყობილი. სამაგიეროდ ნორვეგიის ლიბერალური ბურჟუაზია მხურვალედ ესალმება ახლად შობილს, ჰპირდება მას ყოველგვარ დახმარებას და ერთგულად იცავს რეაქციონურ-ფაშისტურ-კონსერვატიულ ელემენტების იერიშებისაგან.

„სოციალისტურ" მთავრობისადმი ნორვეგიის მეფის და ლიბერალური ბურჟუაზიის დამოკიდებულების სისწორით შეფასებისათვის საჭიროა, პირველ ყოვლისა, აღინიშნოს შემდეგი ფაქტი, ხელისუფლება არა ნორვეგიის სოციალისტებმა აიღეს, არამედ სხვებმა აიღებიეს მათ ის. მუშათა პარტიის წრეებში ადგილი ჰქონდა ირთიერ[illegible] რყევას და უთანხმოებას იმის შესახებ, აიღონ თუ არა „ხელისუფლება", რომელიც შექმნილ მდგომარეობის გამო პირდაპირ გადადიოდა მათ ხელში? ნორვეგიის ზოგიერთ სოციალისტებს (განსაკუთრებით ტრანმელისტების ჯგუფის) აშინებდათ ის, რომ ნორვეგიის სოციალ-დემოკრატების პოლიტიკამ შეიძლება უკმაყოფილება გამოიწვიოს მასებში.

მაგრამ რით აიხსნება ის, რომ ნორვეგიის გაბატონებულმა კლასებმა ასე თავაზიანად ჩააბარეს მადსენებს და ხორნსრუდებს კაბინეტის სამღვთო გასაღები? რისთვის დასჭირდათ მათ „სოციალისტური" მასკარადი რასაკვირველია, არა ნორვეგიის მაკდონალდისტების ლამაზ თვალებისთვის. ნორვეგიის ბურჟუაზიას ამისთვის აქვს თავისი საქმიანი მოსაზრებები, მოსაზრებები, რომელნიც გამომდინარეობენ ნორვეგიის კაპიტალიზმის უახლოესად რეალურ სამეურნეო-პოლიტიკურ ინტერესებიდან.

ნორვეგია პატარა ქვეყანაა სამი მილიონი მოსახლეობით. ნორვეგიას აქვს პატარა სახელმწიფოსთვის საკმაოდ კარგად მოწყობილი მრეწველობა. წარმოებებში მუშაობს დაახლოვებით 400.000 მუშა. მაგრამ ნორვეგიის კაპიტალიზმიც ცდილობს მოიპოვოს ადგილი მზის ქვეშ: მას არ სურს ჩამორჩეს თავის ევროპიელ ძმებს, მსხვილ კაპიტალისტურ მტაცებლებს. მასაც უნდა გაიზარდოს და გაფართოვდეს. მაგრამ ამისთვის ეხლანდელ „რაციონალიზაციის" ხანაში საჭიროა მრეწველობაში ჩაბმულ მუშების უსაზღვროდ შევიწროება. საჭიროა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული „რაციონალიზატორული" ნახტომი. ამ გზით, პროლეტარიატის უსაზღვრო შევიწროების გზით მიდიოდა ამჟამად გადაყენებული კონსერვატორების მთავრობა. მან არაჩვეულებრივად გაამწვავა ეკონომიური, პოლიტიკური და საფინანსო მდგომარეობა. ის ატარებდა კანონებს პროფკავშირების წინააღმდეგ, გაფიცვების წინააღმდეგ (თავისებური ბოლდუინიზმი ნორვეგიის მასშტაბით). მაგრამ ამისთვის მან სასტიკი დამარცხება განიცადა სტორტინგის არჩევნებში: 54 კანდიდატის მაგიერ მან მოიპოვა მხოლოდ 30.

აი სწორედ აქ მოვიდა ნორვეგიის მაკდონალდების დრო. ნორვეგიის თანამედროვე კონიუნქტურის თვალსაზრისით „სოციალისტების" ხელით უფრო მოხერხებულად შეიძლება კაპიტალისტურ რაციონალიზაციის „შემოქმედ ამოცანების" გადაჭრა. მათი პირით უფრო მოხერხებულად შეიძლება ქადაგება სამრეწველო მშვიდობიანობის შესახებ და მასების მოტყუილება „ინდუსტრიალურ-დემოკრატიულ" ლაყბობით.

რომ სწორედ ამ მიმართულებით, ე. ი. ნორვეგიის კაპიტალიზმის საარსებო ამოცანების გადაჭრის ხაზით, მოუხდება მოქმედება ხორნსრუდის მთავრობას, ამაში არავის ეჭვი არ ეპარება. „მუშურ" მთავრობას არა ჰყავს თავისი უმრავლესობა სტორტინგში. ის უნდა დაეყრდნოს აგრეთვე ბურჟუაზიულ ლიბერალების ხმებს. (ეს სხვათა შორის, ფორმალური თავდებია იმისა, რომ ყოველ წუთში შეიძლება მთავრობის სოციალისტების „გაძევება"). მაგრამ ლიბერალებზე „დაყრდნობა" ნიშნავს ბურჟუაზიული პროგრამის გატარებას. პარლამენტში უმრავლესობის უქონლობა ნორვეგიის მმართველ სოციალისტებისათვის იქნება მოხერხებული მოტივი იმისათვის, რომ არ შეასრულონ თავისი უმნიშვნელო დაპირებებიც კი: ჩვენ სულით და გულით მზად ვართ, მაგრამ სტორტინგი ნებას არ გვაძლევს.

რასაკვირველია, მთავრობის სოციალისტები შეაფერხებენ კლასობრივ ბრძოლას, იმის მაგიერ, რომ გააძლიერონ და განავითარონ ის. შემთხვევითი არაა, რასაკვირველია, რომ მთავრობის დეკლარაციაში ერთი სიტყვითაც არ არის მოხსენებული სოციალიზმი, საკუთრებისადმი დამოკიდებულება და სხვა.

ამჟამად მადსენისაგან ნორვეგიის ბურჟუაზია მოითხოვს, რომ მან მაქსიმალურად გაშალოს თავისი ლაქიური თვისებები. მხოლოდ ამ პირობით ჩააყენა მადსენი ბურჟუაზიამ ხელისუფლების სათავეში. „მემარცხენე" ტრანმელის და ნორვეგიის სხვა პერსელების როლი კი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი შეეცდებიან გაამართლონ თავის მემარჯვენე კოლეგების საქმიანობა.

მაგრამ მიუხედავად მადსენების, [illegible], ხორნსრუდების და მათ კუდში მოჩანჩალე ტრანმელების ყოველგვარი ცდისა, ნორვეგიაში კლასობრივი ბრძოლა მწვავდება. მასების გამემარცხენების სიმპტომები უდავოა. ნორვეგიის პროფკავშირების უკანასკნელ ყრილობაზე რეფორმისტებმა ვერ განახორციელეს დიდი ხნით მოფიქრებული და ზედმიწევნით მომზადებული გეგმა—ნორვეგიის პროფკავშირების შეყვანა ამსტერდამის ინტერნაციონალში. მასები, და პირველ რიგში მოწინავე ინდუსტრიალური მუშები, ნორვეგიის კომპარტიის ხელმძღვანელობით, მიდიან მარცხნივ, მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებებისა, რომლებსაც ქმნის მათ გზაზე რეფორმისტულ-ტრანმელისტურ სოციალ-გამცემლთა ბიუროკრატია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კომუნისტების ზეგავლენით ნორვეგიის პროლეტარიატის ფართო მასები მალე მიხვდებიან, რომ „მუშათა მთავრობის" პატარა [illegible] „მუშათა მთავრობის" დიდი კომედიის მხოლოდ ცუდი და ნაგვიანები ასლია. ნორვეგიის კომუნისტები მტკიცედ და შეუპოვრად ხელმძღვანელობენ ნამდვილ კლასობრივ ბრძოლას და დაეხმარებიან მუშებს იმ „მუშური" მთავრობის მხილებაში, რომელიც მუშურია სიტყვით,—ხოლო საქმით კი ბურჟუაზიული.

„პრავდა", 2 თებერვალი.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

IV

რა მისცა ოქტომბერმა სოფელს

ათეული წლებით იბრძოდა გლეხობა მიწისათვის. დიდმა ოქტომბერმა ეს ბრძოლა გადასწყვიტა მის სასარგებლოდ. ოქტომბრის რევოლიუციამ მოლეწ-მოლეწა ყველა ის ბატონ-ყმური ბორკილები, რომელნიც გასაქანს არ აძლევდენ გლეხურ მეურნეობას და გადასცა გლეხობას დიდძალი ქონება. სამწუხაროთ, მე ხელთ არა მაქვს ცნობები ამ ქონების ღირებულების შესახებ აქ, ჩვენში, საქართველოში.

მოვიყვან ასეთ ცნობებს მთელი ჩვენი კავშირის მასშტაბით.

ოქტომბრის რევოლიუციის შედეგად უმიწო და მცირე მიწიან გლეხობამ მიიღო 110 მილიონი დესეტინა სახნავ-სათესი მიწა, რომლის ღირებულება 1916 წ. საშუალო ბაზრის ფასით შეადგენდა **13 მილიარდ 750 მილიონ ოქროს მან.** გლეხობას გადაეცა აგრეთვე მემამულეებისაგან ჩამორთმეული ინვენტარი და სხვადასხვა ნაგებობანი, სულ **6 მილიარდი ოქროს მან.** ღირებულების. გლეხობას მოეხსნა ბანკის დავალიანება **1 მილიარდ 387 მილიონ ოქროს მან.** რაოდენობით. გლეხობა განთავისუფლდა მიწის საიჯარო გადასახადისაგან, რომელიც წლიურად შეადგენდა **350 მილიონ ოქროს მან.** და რომელსაც ის აძლევდა მემამულეებს.

მეფის მთავრობის საშინაო და საგარეო ვალი, რომელიც მოდიოდა გლეხობაზე, შეადგენდა 22 **მილიარდ ოქროს მან.** ყოველწლიურად ამ ვალის და მისი პროცენტების დასაფარავად გლეხობას უნდა ეხადა **1 მილიარდ 250 მილიონი ოქროს მან.**

დიდმა ოქტომბერმა გააუქმა ეს ვალი.

უკანასკნელ წლებში გლეხობას გადაეცა **6 მილიონი დესეტინა** ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე და სატყეო ფონდიდან მიწის ფონდში გადარიცხულ იქნა **9 მილიონი** დესეტინა, უმიწო და მცირე მიწიან გლეხობისათვის გასანაწილებლად. ამ მიწის ღირებულება უდრის **1 მილიარდ 860 მილიონ ოქროს მან.**

სულ ოქტომბრის რევოლიუციამ გადასცა გლეხობას, გარდა ყოველწლიურ მიწის საიჯარო და სხვა გადასახადებისაგან განთავისუფლებისა, ქონება, რომლის ღირებულება აღემატება 45 მილიარდ ოქროს მან. მაგრამ ის, რაც ოქტომბრის რევოლიუციის შედეგად მიიღო გლეხობამ, არც ამით ამოიწურება და არც შეიძლება მისი ჩამოთვლა ამ წერილში.

ოქტომბრის რევოლიუციამ მოხსნა გლეხობას ბევრი სხვა გადასახადი, რომლითაც მეფის მთავრობა ინახავდა თავის ტახტის გასამაგრებლად აუარებელ „ჩინოვნიკობას", ჟანდარმერიას, ოფიცერ-ჯენერლობას, თეთრ და შავ სამღვდელობას, ჯაშუშებს და სხვა თავის აგენტებს და დამქაშებს.

ოქტომბრის რევოლიუციამ მოხსნა გლეხობას კიდევ ერთი დიდი გადასახადი, რომელსაც ქრთამი ეწოდება და რომელზედაც იყო აგებული მეფის დროის მთელი სახელმწიფო აპარატი. გარეშე ქრთამისა გლეხს არ შეეძლო არავითარი საქმის „გაკეთება"— არც სასამართლოში საქმის მოგება, არც ბოქაულთან, არც სოფლის მამასახლისთან მისვლა და მათთან საქმის „გამოწყობა", არც მემამულისაგან საიჯაროთ მიწის აღება და სხვა... მექრთამეობას ისეთი ეპიდემიური და ლეგალური ხასიათი ჰქონდა, რომ ის სკოლაშიაც კი შეიჭრა. გლეხს, სკოლაში რომ შვილი მიეცა და რომ მისი შვილი დაუბრკოლებლად კლასიდან კლასში გადასულიყო, ხშირად ქრთამი უნდა გაეღო. ტყუილა კი არ შეუქმნია ხალხს ანდაზა—„ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო". დიდმა ოქტომბერმა ძველ წყობილებასთან ერთად მოსპო მექრთამეობაც.

გარდა ამისა, რაც მთავარია და რაც ყველაფერს განსაზღვრავს, ეს არის ის, რომ დიდმა ოქტომბერმა გლეხობა ყოველგვარ უფლებას მოკლებულ მონებიდან სრულუფლებიან მოქალაქეებად გახადა და პროლეტარიატთან მჭიდრო კავშირში და მისი ხელმძღვანელობით ქვეყნის მართვა გამგეობის სათავეში მოაქცია. დღეს გლეხი პატრონია მისი თავის, მისი შრომის, მისი მიწის და მისი ქონების. მას ბატონი და წამგლეჯი არავინ ჰყავს. მან იცის, რომ მისი მოკავშირე და ხელმძღვანელია პროლეტარიატი, მის ინტერესებს იცავს და ემსახურება საბჭოთა ხელისუფლება. აი, ეს საბჭოთა ხელისუფლება, რომელსაც ხელმძღვანელობენ მუშებისა და გლეხებისაგან არჩეული იგივე მუშები და გლეხები, ზრუნავს მთელი სახალხო მეურნეობის, როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის, აღორძინებაზე, რათა მუშებმა და გლეხებმა უკეთესად მოაწყონ თავისი ცხოვრება. ამისათვის საბჭოთა ხელისუფლება არ ზოგავს არც ძალას, არც ღონეს და არც იმ მატერიალურ საშუალებებს, რაც მას გააჩნია.

გლეხებმა ეს კარგად იციან იმ ფართო აღმშენებლობის მაგალითებზე, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებს ცხოვრების ყოველ დარგში. მაგრამ, გლეხებმა ისიც კარგად უნდა იცოდენ, რომ საბჭოთა ახალგაზრდა მთავრობას, რომელმაც ხელში გადაიღო გაპარტახებული ქვეყანა და ცარიელი სალარო, რომელსაც არავითარ დახმარებას არ უწევენ სხვა ქვეყნები— პირიქით, ხელსაც კი უშლიან,— არა აქვს იმდენი მატერიალური საშუალება, რომელიც საჭიროა ჩვენი ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის აღორძინებლად [illegible], როგორც ამას მოითხოვს მთელი ჩვენი მეურნეობის და თვით გლეხობის ინტერესები. აქ აუცილებელია, რომ გლეხობა დაეხმაროს თავის მთავრობას, რითაც კი მას შეუძლია. საბჭოთა ხელისუფლება მიმართავს გლეხობას დახმარებისათვის სესხის გაღების სახით. სესხის რაოდენობა მთელი საბჭოთა კავშირის გლეხობისათვის უდრის 100 მილიონ მანეთს. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ აუარებელ გადასახადებს, რომელსაც გლეხობა იხდიდა წინეთ, იმ ქონებას, რომელიც ოქტომბერმა გადასცა მას, და იმ გარემოებას, რომ ოქტომბრის რევოლიუციის შედეგათ ის განთავისუფლდა ყველა ამ გადასახადებისაგან; თუ მივიღებთ მხედველობაში ყველა იმ შეღავათებს, რომლითაც სარგებლობდა და სარგებლობს გლეხობა და ყველა ამის საფუძველზე ჩვენი სოფლის დღევანდელ ეკონომიურ დონეს, ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებით ვსთქვათ, რომ ის ეკონომიურად სიამოვნებით შესძლებს ამ სესხის გაღებას. აქ საჭიროა მხოლოდ შეგნება და სურვილი.

პარტია და ხელისუფლება გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ გლეხობა გამოიჩენს ერთსაც და მეორესაც თავის მეურნეობის და საზოგადოთ სახელმწიფოს მეურნეობის სასარგებლოთ.

ხ. მამულია.

შტრეზემანი გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ

ახლო ხანში ხელს მოაწერენ საფრანგეთ-ამერიკის საარბიტრაჟო ხელშეკრულებაზე

ბესარაბიის ოკუპაციის წინააღმდეგ.—საპროტესტო მიტინგი ბერლინში

ფინ-იუ-სიანის ახალი შეტევა ჩრდილოელებზე.—პროფკავშირების დარბევა კანტონში

შტრეზემანი გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ

ბერლინი, 1 თებერვალი. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ რეიხსტაგმა ხმის უმრავლესობით კომუნისტებისა და „ფელკიშე"-ს ხმების წინააღმდეგ უარყო წინადადება შტრეზემანისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ და მიიღო საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი. კამათის შეწყვეტის წინ შტრეზემანი კვლავ იმ თვალსაზრისს იცავდა, რომ **საფრანგეთს არავითარი საჭიროება არა აქვს მომავალშიაც გააგრძელოს რეინის ოლქის ოკუპაცია და რომ საფრანგეთს არ შეიძლება შიში ჰქონდეს მუქარისა გერმანიის მხრიდან.** შტრეზემანმა იმედი გამოსთქვა, რომ საფრანგეთის ხელმძღვანელი წრეები შეიგნებენ, რომ რეინის ოლქის სასწრაფოდ გაწმენდა საუკეთესო გავლენას მოახდენს ორივე ქვეყნის დაახლოვების პოლიტიკის წარმატებაზე. (ადს).

საფრანგეთ-ამერიკის საარბიტრაჟო ხელშეკრულება

პარიზი, 1 თებერვალი. დიპლომატიური წრეები ადასტურებენ, რომ მოსალოდნელია საფრანგეთ-ამერიკის საარბიტრაჟო ხელშეკრულების დადება. ხელშეკრულების წინასიტყვაობაში ორივე მხარე აცხადებს, რომ ისინი უარყოფენ ომს, როგორც ნაციონალური პოლიტიკის იარაღს. არბიტრაჟი არ შეეხება ისეთ საკითხებს, რომელთაც ითვალისწინებს მონროეს დოქტრინა („ამერიკა ამერიკელებისათვის"), რამდენადაც ეს საკითხები შეეხება შეერთებულ შტატებს და ისეთ საკითხებს, რომლებიც გათვალისწინებულია ერთა ლიგის წესდებით, რამდენათ ეს შეეხება საფრანგეთს. (ადს).

ბესარაბიის ოკუპაციის წინააღმდეგ

საპროტესტო მიტინგი ბერლინში

ბერლინი, 1 თებერვალი. რუმინეთის მიერ ბესარაბიის ოკუპაციის ათი წლის თავის გამო 31 იანვარს ბერლინში შესდგა საპროტესტო მიტინგი, რომელიც მოწვეულ იქნა გერმანიაში მცხოვრებ ბესარაბიელთა საზოგადოების მიერ, ადამიანის უფლებათა დაცვის, [illegible] და მუშათა საერთაშორისო დამხმარე საზოგადოების მონაწილეობით. მიტინგზე გამოსულმა პროფ. **გოლდშმიდტმა** დაასურათა ბესარაბიის მდგომარეობა რუმინეთის უღლის ქვეშ, ბესარაბიულ მცხოვრებლების დევნა სიგურანციის მიერ (რუმინეთის ოხრანკა) და პოლიტიკურ პატიმართა მდგომარეობა.

რეზოლიუცია, რომელიც მიტინგზე წარადგინეს გერმანიაში მცხოვრებ ბესარაბიელთა წარმომადგენლებმა, ერთხმად იქნა მიღებული. რეზოლიუცია პროტესტს აცხადებს ბესარაბიის ოკუპაციისა და იქ გამეფებული ტერორისტული რეჟიმის წინააღმდეგ და მოითხოვს ბესარაბიის მოსახლეობას მიეცეს თვითგამორკვევის უფლება; რეზოლიუცია მოითხოვს აგრეთვე რუმინეთის საოკუპაციო ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას ბესარაბიიდან და საგამომძიებლო კომისიის დანიშვნას ოკუპაციის ეკონომიური და კულტურული შედეგების გამოსარკვევად.

მიტინგზე არჩეულ იქნა დელეგაცია, რომელსაც დაევალა რუმინეთის საელჩოს ბერლინში გადასცეს მიტინგის რეზოლიუცია. გარდა ამისა რუმინეთის მთავრობას გაეგზავნა დეპეშა, რომელიც მოითხოვს ბორის სტეფანოვის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას (ადს).

ბესარაბიის დეპუტატები რუმინეთის ბატონობის შესახებ

ვენა, 1 თებერვალი. მიღებული ცნობებით, იასაში გამართულ ნაციონალურ-გლეხური პარტიის კრებებზე გამოვიდენ ბესარაბიის დეპუტატები ხალიპა (სვატულ ცერის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი) და სტერე. ხალიპამ განაცხადა, რომ რუმინეთის მთავრობამ დაარღვია 1918 წელში სვატულ ცერისათვის მიცემული დაპირება, ვინაიდან ბესარაბიაში ამჟამად გაბატონებულია უსასტიკესი ჩაგვრის რეჟიმი. რუმინეთის მთავრობამ მოატყუა ბესარაბიის მოსახლეობა და წაართვა მას ის სამოქალაქო თავისუფლებანი, რომლებიც უდიდესი მსხვერპლის ფასით მოიპოვა რუსეთის რევოლიუციამ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სტერემ განაცხადა: „რუმინეთში ამჟამად გაბატონებულია მხოლოდ ხატუსალი, ხალხის უფლებები კი ფეხქვეშაა გათელილი". (ადს).

ფლოტი—„მშვიდობიანობის ფაქტორი"

ლონდონი, 1 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ინგლისის საზღვაო მინისტრმა **ბრიჯმენმა** უაიტჰერსში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ ინგლისის დელეგაციას საზღვაო კონფერენციაზე ჟენევაში არ შეეძლო დათანხმებულიყო კრეისერების რაოდენობის ისეთ შემცირებაზე, რომელიც საფრთხეს შექმნის ინგლისის უშიშროებისათვის.

ბრიჯმენმა შემდეგ აღნიშნა, რომ შეშფოთება არ უნდა გამოიწვიოს ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატების ახალმა საზღვაო პროგრამამ, და ამასთანავე დასძინა:

„არის თუ არა ეს შეიარაღების შეზღუდვა,—ეს უკვე სხვა საკითხია. მე არ მაქვს უფლება ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებს დაუსვა კითხვა იმის შესახებ თუ რა ძალები ესაჭიროება მას თავდაცვის მიზნებისათვის. მე მხოლოდ არ შემიძლია დაუშვა, რომ ინგლისს ან ამერიკას ჰქონდეთ საომარი მისწრაფებანი ჩვენს დროში. **იმედი ვიქონიოთ, რომ თუ შეერთებული შტატები ააშენებენ დიდ ფლოტს, ეს იქნება სერიოზული ფაქტორი საყოველთაო მშვიდობიანობის დაცვისათვის, როგორც არის ინგლისის ფლოტი**" (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ფინ-იუი-სიანის შეტევა

პეკინი, 1 თებერვალი. რეიტერის სააგენტოს პეკინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ **ფინ-იუი-სიანის ჯარებმა დაიწყეს შეტევა ჩრდილოელების წინააღმდეგ. ფინ-იუი-სიანის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ნანლოო ჩჟილის პროვინციის სამხრეთ ნაწილში.**

კორესპონდენტის სიტყვით, ფინ-იუი-სიანმა ყველა თავის ჯარებს თავი მოუყარა ჩჟილის პროვინციის სამხრეთ ნაწილში და განზრახული აქვს ქალაქ ტამინის აღება (ადს).

ფინ-იუი-სიანის გამარჯვება

შანხაი, 1 თებერვალი. ფინ-იუი-სიანის ჯარებმა შანდუნის პროვინციაში აიღეს ქალაქი პაოჩჟოუ, რომლისთვისაც ერთი თვის განმავლობაში ჰქონდათ ალყა შემორტყმული. ფინ-იუი-სიანის ჯარებმა ტყვედ წაიყვანეს შანდუნის 4.000 ჯარისკაცი და ხელთ იგდეს 20 ზარბაზანი (ადს).

„პაციფისტი — გენერლები"

პეკინი, 1 თებერვ. პრესის ცნობით, გენერლებმა ბაი-ძუნ-ხიმ, ჩუ-პეი-დემ და ჩენ-ჩჟენმა გამოაქვეყნეს დეპეშა, რომელშიაც აღნიშნავენ სამხრეთსა და ჩრდილოეთს ჩინეთს შორის ზავის ჩამოგდების აუცილებლობას და დაბეჯითებით მოითხოვენ „სახალხო კონფერენციის" მოწვევას ყველა სადაო საკითხების მოგვარების მიზნით, გოვენის სააგენტოს ცნობით, ნანკინის ადგილობრივი მთავრობის და გომინდანის მოღვაწეები აცხადებენ, რომ მათ დეპეშა არ მიუღიათ.

პეკინის „შუნ-ტიან-ში-ბაო" აქვეყნებს ინტერვიუს ან გო-ძიუნის ცნობილ მოღვაწესთან. ამ მოღვაწეს სიტყვით მუკდენის წრეები დადებითად უყურებენ სამი გენერლის განცხადებას.

პროვოკატორის მოკვლა

ვარშავა, 1 თებერვალი. პრაღაში (ვარშავის მუშათა უბანი) რევოლვერით მოჰკლეს ყოფილი კომკავშირელი სმეხი. გაზეთების აზრით მკვლელობას აქვს პოლიტიკური ხასიათი, ვინაიდან სმეხს პროვოკატორად სთვლიდენ.

„მუშათა" მთავრობა

„სათამაშო ბურჟუაზიის ხელში"

ოსლო, 1 თებერვალი. ნორვეგიის მუშათა პრესა ცნობას ხორნსრუდის ახალი მუშათა მთავრობის შედგენის შესახებ თავდაჭერილად შეხვდა. კომუნისტური გაზეთი „ნორგის კომუნისტბლადი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მუშათა" მთავრობა საერთოდ სოციალ-დემოკრატიული მთავრობების მსგავსად სათამაშოთ გახდება ბურჟუაზიის ხელში და არსებულ წესწყობილების დაცვის მიზნით უღალატებს მუშათა კლასს (ადს).

სპენსერის დამარცხება

ლონდონი, 1 თებერვალი. სპენსერის მიერ ნოტინგემის ოლქში დაარსებულ მემაღაროეთა „პოლიტიკური" კავშირის გავლენა მემაღაროეებს შორის სულ უფრო და უფრო ეცემა. მაღაროების ზედამხედველების არჩევის დროს ფულსში თვით სპენსერის კანდიდატურა უარყოფილი იქნა ხმების დიდი უმრავლესობით. ორმა კანდიდატმა, რომლებიც წამოყენებული იქნენ მემაღაროეთა ნოტინგემის ასოციაციის მიერ, მიიღო 500 და 350 ხმა, სპენსერმა კი მხოლოდ 462. (ადს).

მინისტრი აფერისტი

ლონდონი, 1 თებერვალი. საჩივარი, რომელიც ბანკირთა სახლმა „აირონმონგერ"-მა აღძრა ბრედლი დაინის მიმართ, განხილულია. ბანკირთა სახლის სარჩელი დაკმაყოფილებულია 38.000 გირვანქა სტერლინგით.

გამოქვეყნებულია მთავრობის ცნობა, რომ პრემიერმა მოახდინა იმ ფაქტების გამოძიება, რომლებიც გამომჟღავნდა სასამართლოში და რომლებიც „ეხება მთავრობის დაწესებულებების ზოგიერთ მოსამსახურეებს" (იგულისხმება საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი—[illegible]).

ამხ. პოხვალინსკი კანტონის ამბების შესახებ

ამხ. პოხვალინსკი

მოსკოვი, 2 თებერვალი. მოსკოვში ჩამოსულმა საბჭოთა კავშირის გენერალურ კონსულმა კანტონში ამხ. **პოხვალინსკიმ** საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში დეკემბრის ამბების შესახებ კანტონში განაცხადა:

„კომუნისტურ გადატრიალებამდე დიდი ხნით ადრე კანტონში შეიქმნა ნერვიული ატმოსფერა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ სწარმოებდა ბრძოლა გენ. ჩან-ფა-კუის (რომელიც თავის თავს მემარცხენე გომინდანელს უწოდებდა) და გუანსის რეაქციონურ ჯგუფს შორის, რომელსაც იერიშები მიჰქონდა კანტონზე. ჩან-ფა-კუის მთელი ყურადღება და ღონისძიება მიმართული იყო ამ იერიშების ლიკვიდაციისაკენ. მიუხედავათ არახელსაყრელ სამხედრო პირობებისა ჩან-ფაი-კუის მთავრობამ არავითარი ცვლილება არ შეიტანა კანტონის პროლეტარიატის მძიმე მდგომარეობაში და არსებითად ეს მთავრობა არაფრით არ განსხვავდებოდა ლი-ტი-სინის რეაქციონურ დიქტატურისაგან.

ასეთმა მდგომარეობამ კანტონის მუშები აიძულა გამოსულიყვნენ 11 დეკემბერს ღამით იარაღით ხელში კანტონის ქუჩებზე და ხელში ჩაეგდოთ ძალა-უფლება. თვით გადატრიალება შედარებით ადვილად მოხდა, რაც აიხსნება იმით, რომ რეგულიარული ჯარები ფრონტზე იყო გაგზავნილი. 11 დეკემბერს დღისით აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს ყველა სამხედრო და სახელმწიფო დაწესებულებები და ყველა შტაბები ქალაქში, რის შემდეგ მოეწყო ახალი ხელისუფლება, რომელსაც კანტონის მუშები სიხარულით შეხვდენ. მოეწყო კანტონის მუშათა დეპუტატების საბჭოები, კანტონის მთავრობა და სახ. კომისართა საბჭო, რომელშიაც შედიოდენ ჩინეთის კომპარტიის გამოჩენილი მუშაკები. კანტონის საბჭოთა მთავრობის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო ქალაქის დაცვისაკენ. საჩქარო წესით სწარმოებდა წითელი არმიის რაზმების შედგენა. ქალაქის მოედნებზე ფეხშიშველი მუშები დაფლეთილი ტანსაცმლით 2-3 საათის განმავლობაში სწავლობდენ თოფის სროლას და მაშინვე იგზავნებოდენ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ახალ ხელისუფლებას ყველაზე მეტი საფრთხე მოელოდა კუნძულ ხანმას მხრიდან, საითკენაც დაიხია ჩან-ფა-კუის მოკავშირე ლი-ფუ-ლინის ნაწილებმა.

ქუჩებში გააფთრებული ბრძოლის და ქალაქისათვის ზარბაზნების დაშენის წყალობით კანტონში მრავალ ადგილას გაჩნდა ცეცხლი და რამოდენიმე დღის განმავლობაში ქალაქი ცეცხლში იყო გახვეული. ოფიციალური ცნობების თანახმად დაიწვა 1.700 მრავალსართულიანი ქვის სახლი, ე. ი. ქალაქის ნახევარზე მეტი.

ბრძოლა უთანასწორო აღმოჩნდა. ერთის მხრით ბრძოლაში გამოუცდელი მუშათა რაზმები, მეორეს მხრით—ლი-ფუ-ლინის რეგულიარული ნაწილები, რომელთაც იერიშები მიჰქონდათ კანტონზე ორი მიმართულებით. 13 დეკემბერს ღამით ამ ნაწილებმა მოახერხეს ქალაქში შემოჭრა. დაიწყო უსასტიკესი ტერორი, რომლის მსგავსი თვით ჩინეთის რევოლიუციის ისტორიასაც არ ახსოვს. თუმცა წითელი არმიის ძირითადმა კადრმა და, ბოლოს, კანტონის საბჭოთა მთავრობამაც მოახერხა ქალაქიდან გასვლა, მაგრამ ქალაქში მაინც ბევრი მუშა დარჩა. ლი-ფუ-ლინის ბანდები ათობით და ასობით ხვრეტდენ ქალაქში დარჩენილ მუშებს. მხოლოდ პირველი კვირის განმავლობაში ქალაქში დახვრიტეს 2.000 მუშა

ვინ დაამზადა „ზინოვიევის წერილი"

მოსკოვი, 2 თებერვალი. საკავშირო დეპეშათა სააგენტო ბერლინიდან იუწყებოდა, რომ 28 იანვარს შრეკის პროცესზე (შრეკს ბრალდებოდა ჯაშუშობა პოლონეთის სასარგებლოდ და რეიხსვერის შესახებ ყალბი დოკუმენტების დამზადება) მოწმეთ გამოვიდა ცნობილი პაციფისტი **მარტენსი**, რომელმაც ფიცის ქვეშ განაცხადა, რომ 1927 წელს მარტში ერთ-ერთმა ინგლისელმა პუბლიცისტმა, რომელიც ჟენევაში ცხოვრობდა, აცნობა მას, რომ ეგრედწოდებული ზინოვიევის წერილი დაამზადა პოლონეთის ჯაშუშმა პაციურკოვსკიმ, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბრალდებულ შრეკთან.

მარტენსის ამ ჩვენებასთან დაკავშირებით, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი საკავშირო უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიაში გაეცნო 1927 წელში დრუჟელოვსკის პროცესზე გამომჟღავნებულ ცნობებს პაციურკოვსკის შესახებ. მასალებიდან სჩანს, რომ პაციურკოვსკი არის პოლონეთის გენერალური შტაბის მეორე განყოფილების კაპიტანი, მუშაობდა პოლონეთის საელჩოში—ბერლინში და ცნობებს ჰკრეფდა საბჭოთა საელჩოს შესახებ. დრუჟელოვსკიმ, როგორც საქმიდან ირკვევა, პაციურკოვსკი გაიცნო 1924 წელში და პაციურკოვსკის წინადადებით აწვდიდა მას მასალას საბჭოთა ხელისუფლების და საბ. კავშ. შესახებ. დრუჟელოვსკის პროცესზე გამოირკვა აგრეთვე, რომ 1924 წ. დეკემბერში პაციურკოვსკიმ დრუჟელოვსკის სთხოვა „ზოგიერთი დოკუმენტები" საბჭოთა კავშირის შესახებ. დრუჟელოვსკიმ, ყოფილ რუსი ოფიცრის—ზივერტ-გურალდის შემწეობით, რომელიც დაკავშირებული იყო ბერლინის პოლიციეპრეზიდენტთან, გავრილოვისაგან (ტკაჩენკოსაგან) იშოვნა სავაჭრო წარმომადგენლობისა და საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის ყალბი ბლანკები. მაშინ დრუჟელოვსკიმ გავრილოვისაგან მიღებულ ერთ-ერთ ბლანკზე საბჭოთა კავშირის ღერბით დაამზადა ყალბი საბუთი „პროფინტერნის არჩევნებისა და მუშათა პარტიის საჭიროებისათვის რუტენბერგისა და ფოსტერისა და სტოკლიცკასათვის ერთ დროულად 40.000 დოლარისა და ყოველთვიურად 25.000 დოლარის მიცემის შესახებ". ამ ყალბი საბუთით დრუჟელოვსკი პაციურკოვსკის მიერ გაგზავნილ იქნა ამერიკის საელჩოში— ბერლინში. იქიდან ამერიკის საელჩოს თანამშრომლის გამგის მიერ (ყოფილი რუსი ოფიცერი) დრუჟელოვსკი გაიგზავნა ამერიკელ ჟურნალისტთან—გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნ"-ის ბერლინის განყოფილების გამგე სოლდესთან, რომელმაც ეს ყალბი საბუთი იყიდა. ეს საბუთი „ჩიკაგო ტრიბუნ"-ში გამოქვეყნდა 1925 წ. 15 თებერვალს. 1925 წლის დასაწყისში დრუჟელოვსკიმ დაამზადა ყალბი საბუთი საფრანგეთის კომ. პარტიის საგანგებო განყოფილებების შესახებ. ამ ყალბი საბუთით დრუჟელოვსკი პაციურკოვსკის მიერ გაგზავნილ იქნა მაიორ ლორენთან საფრანგეთის სამხედრო მისიაში ბერლინში. ლორენის ნაცვლად ის მიიღო ლეიტენანტ ვაიომ და ყალბი საბუთი იყიდა ამ უკანასკნელმა. გარდა ვაიოსა ეს ყალბი საბუთი მიიღეს პაციურკოვსკიმ და ამერიკელებმა.

საფრანგეთის კომპარტიის კონფერენცია

პარიზი, 1 თებერვალი. პარიზში გაიხსნა საფრანგეთის კომპარტიის კონფერენცია, მიღებულ იქნა კონფერენციის დღის წესრიგი, რომელიც წამოაყენა სემარმა: საკითხი ოპოზიციის შესახებ, ცეკას ღია წერილი მუშების მიმართ, პარტიის ტაქტიკა და ამოცანები. კონფერენციას მიესალმა უპარტიო მუშების დელეგაცია, რომელმაც განაცხადა, რომ მუშებს გადაწყვეტილი აქვთ მთელი თავისი ძალ-ღონით მხარი დაუჭირონ საფრანგეთის კომპარტიის ტაქტიკას, რომელიც მიმართულია მთლიანი ფრონტის შექმნისაკენ. (ადს).

პილსუდსკის რესპუბლიკაში

არჩევნები „კეთილსაიმედოობის" მიხედვით

ვარშავა, 1 თებერვალი. მთავარმა საარჩევნო კომიტეტმა ხუთი ხმის უმრავლესობით სამის წინააღმდეგ გააუქმა პოლონეთის სოციალისტურ პარტიის მემარცხენე ფრთის, „გლეხთა ძალის" და გლეხთა მემარცხენე გაერთიანების „თვითდახმარების" საარჩევნო სიები. მუშათა და გლეხთა მთლიანობის სიის ბედი გადაწყდება კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე.

სიების გაუქმების გარშემო გამართულ კამათის დროს გამოირკვა, რომ მოხელე, რომელიც კონტროლს უწევდა პოლონეთის სოციალისტურ პარტიის მემარცხენე ფრთის სიებზე ხელის მოწერას, მსახურობს პოლიტიკურ პოლიციაში. საარჩევნო კომიტეტის წევრმა შიმანსკიმ სასტიკად გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ ასეთი მოხელე გამოყენებულ იქნა საარჩევნო სიებისათვის კონტროლის გასაწევად. ებრაელთა კოლოს წარმომადგენელმა გერტგლასმა განაცხადა, რომ საარჩევნო სიები, როგორც სჩანს, დაყოფილია კეთილსაიმედო და არაკეთილსაიმედო სიებათ. კეთილსაიმედო სიებზე ხელმოწერას არავინ ამოწმებს, სამაგიეროთ სასტიკი კონტროლია დაწესებული მეორე კატეგორიის სიებზე (ადს).

ბელორუსიის გრომადის პროცესის წინ

ვარშავა, 1 თებერვალი. დასავლეთ ბელორუსიაში დაიწყო კამპანია ბელორუსიის გრომადის პროცესთან დაკავშირებით. კამპანია აქტიურად მიმდინარეობს. ზოგიერთ სოფლებში და დაბა ადგილებში გამართა გლეხების დემონსტრაციები. ზოგიერთ დემონსტრაციებზე მოსჩანდა გრომადის პარტიული დროშები. გრომადის პროცესი დაიწყება 7 თებერვალს (ადს).

მაკდონალდის „მუქარა"

ლონდონი, 1 თებერვალი. შოტლანდიის მუშათა პარტიის ორგანო „ფორვარდ"-ში დაბეჭდილია მაკდონალდის წერილი, რომელიც აშკარა მუქარას შეიცავს მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის მიმართ, ვინაიდან უკანასკნელს არ სურს დაემორჩილოს პარტიულ დისციპლინას. წერილში აშკარად სჩანს მუქარა დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ლიდერების-მაქსტონის, ბიუკენენის და სხვების მიმართ, რომლებმაც უკვე მიიღეს „გაფრთხილება" — სნოუდენის გამოსვლის სახით დამოუკიდებელ მუშათა პარტიიდან. (ადს).

მშრომელთა ბლოკი ბულგარეთში

ვენა, 1 თებერვალი. სოფიიდან მიღებული ცნობებით, ბულგარეთის მუშათა პარტიის ცეკამ წერილით მიმართა გლეხთა კავშირის გამგეობას, წვრილ ხელოსანთა პარტიას, ხელოსანთა ორგანიზაციების კავშირს და მაკედონელ, ფრაკიელ და დობრუჯელ ემიგრანტებისა და ლტოლვილების ორგანიზაციებს. ამ წერილში მუშათა პარტიის ცეკა წინადადებას აძლევს მათ შექმნან „მშრომელთა ბლოკი" საერთო გამოსვლისათვის სოფლის საბჭოების არჩევნებში 19 თებერვალს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მუშათა პარტია არ მიმართავს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას წინადადებით საარჩევნო ბლოკის შექმნის შესახებ. (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ლატვიაში მზადდება ფაშისტური გადატრიალება

რიგა, 2 თებერვალი. ამას წინად რიგაში გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ ლატვიის არმიის შტაბის უფროსი გენერალი კალეისი გადადგა, რაიც მან დაასაბუთა უთანხმოებით, რომელიც წარმოიშვა მის თანაშემწესთან—პოლკოვნიკ გარტმანთან. ლატვიის არმიის სარდალმა რაძინშმა მაშინ განაცხადა: „კალეისი დაიქანცა და წვრილმანები ნერვიულობას იწვევს მასში“-ო.

ეხლა „სოციალ-დემოკრატსი“ ვრცელ ცნობებს ათავსებს იმის შესახებ, თუ რა იყო კალეისის გადადგომის ნამდვილი მიზეზი. გაზეთის სიტყვით, როცა ლატვიის სეიმში იხილავდენ ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულებას, ზოგიერთი წრეები აწყობდნენ ამბოხებას სოციალ-დემოკრატიული კაბინეტის ჩამოგდებისა და ფაშისტური დიქტატურის დამყარების მიზნით.

ამბოხების მომზადებას ხელმძღვანელობდა ოფიცერი იკშე. იგი იწვევდა ოფიცრების საიდუმლო კრებებს, რომლებზედაც აცხადებდა, რომ მოქმედებს არმიის სარდლის რაძინშის სახელით და დავალებით. იკშე კრების მონაწილეებს არწმუნებდა, რომ ამბოხების სათავეში ჩადგებიან გენერლები—რაძინში, აგრეთვე ყოფილი სამხედრო მინისტრი კალნინში და სეიმის ფაშისტური დეპუტატები—ბერგი, ულმანისი და აუჯესისი. გამოსვლა უნდა მომხდარიყო ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაციის დროს. მაგრამ კრების ზოგიერთმა მონაწილეებმა არმიის სარდალს რაძინშს ოფიციალურად აცნობეს ამბოხების მომზადების შესახებ. რაძინშმა გასცა განკარგულება, რომ იკშე მოეთავსებინათ სამხედრო ჰოსპიტალში ფსიქიატრიული ექსპერტიზისათვის. ჰოსპიტალში 1 ნახ. თვის გამავლობაში ყოფნის შემდეგ იკშე ცნობილ იქნა ფსიქიურად ნორმალურ პირად და განთავისუფლდა. რაძინში შეეცადა მთელი ეს საქმე საიდუმლოდ დაეცვა. მაგრამ ეს ისტორია მალე გაიგო კალეისმა და მან მოითხოვა იკშეს დაუყოვნებლივ დაპატიმრება და საქმისათვის კანონიერი მსვლელობის მიცემა. იკშე დააპატიმრეს, მაგრამ რაძინშის მოთხოვნით განათავისუფლეს რამდენიმე ხნის შემდეგ. მაშინ საქმეში ჩაერია სკუენეკი და ზემგალსი, და იკშე ხელმეორედ დააპატიმრეს. ახალი მთავრობის შექმნის შემდეგ რაძინში და გარტმანი კვლავ შეეცადენ იკშეს განთავისუფლებას. სწორედ ამ ნიადაგზე მოხდა უთანხმოება კალეისსა და გარტმანს შორის, რომელიც დამთავრდა იმით, რომ კალეისმა შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ (ადს).

რიგა, 2 თებერვალი. „სოციალ-დემოკრატს“-ის ცნობით, ლატვიის სეიმის სამხედრო კომისიამ გუშინ განიხილა იკშეს ბოროტმოქმედების დაფარვის საქმე. განმარტება მისცა სამხედრო მინისტრი კალნინში. რამოდენიმე დეპუტატმა მკაცრად გაილაშქრა არმიის სარდალ რაძინშის წინააღმდეგ და განაცხადეს, რომ რაძინშის არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიენდოს არმიის სარდლობა. იკშეს საქმესთან დაკავშირებით ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიწვია სამხედრო მინისტრი და უზენაეს სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე (ადს).

ბირკენხედის ახალი გამოლაშქრების გამო

ლონდონი, 2 თებერვალი. „ივნინგ სტანდარტი“, უკეთებს რა კომენტარიებს ინდოეთის საქმეთა მინისტრის ბირკენხედის სიტყვას, რომელშიაც მან გაილაშქრა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, აცხადებს, რომ ბირკენხედმა საბჭოთა კავშირის მიმართ ღვარძლიანი გამოსვლით გადააჭარბა ინგლისის კაბინეტის ყველა დანარჩენ წევრებს. გაზეთი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირი არის დაუზრეტელ ეკონომიურ შესაძლებლობათა ქვეყანა და შეუძლია უფრო მეტი პოლიტიკური ზიანი მიაყენოს ინგლისს, ვიდრე სხვა რომელიმე სახელმწიფოს. „მაგრამ ბირკენხედმა,—განაგრძობს გაზეთი,—ალბად მხედველობაში არ მიიღო ყოველივე ეს“. (ადს).

პროფკავშირების გარეკვა კანტონში

ლონდონი, 1 თებერვალი. ასოშიეტიდ პრესის სააგენტო კანტონიდან იუწყება, რომ კანტონის ხელისუფლებამ დახურა 150 პროფკავშირი, რომლებსაც დასწამა „კომუნისტური ტენდენციები“. კანტონში აკრძალულია ყოველგვარი მიტინგები. ფინანსიური კრიზისი ქალაქში ღრმავდება (ადს).

დატუსაღება ჰოსპიტალში

შანხაი, 1 თებერვალი. გაზეთ „შანხაი მერკური“-ს ცნობით, კორეის კომუნისტების ბელადი ჩაო-ტუ-იუ, სეულის (კორეის მთავარი ქალაქი) საოლქო სასამართლოს მოთხოვნით, დაპატიმრებულია შანხაის ჰოსპიტალში.

მინისტრის აფიორა

ლონდონი, 2 თებერვალი. „დეილი ჰერალდი“ წერილში ბრედლი-დაილის პროცესის შესახებ აცხადებს, რომ პრემიერის გადაწყვეტილება დანიშნოს გამოძიება გარეშე საქმეთა სამინისტროს იმ მოხელეების საქმეზე, რომელთაც წილი მიუძღვით ამ პროცესში, აუცილებელი იყო, ვინაიდან ბრალდება სამინისტროს წარმომადგენელთა მიმართ, რომელიც გაისმა პროცესზე, ეხება არა მარტო ინგლისის სახელმწიფო დაწესებულებათა ღირსებას, არამედ მის საერთაშორისო პრესტიჟსაც. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროს სამ მოხელეს, რომელთაც წილი უდევთ ამ პროცესში, საპასუხისმგებლო თანამდებობა უჭირავთ. „გრეგორი,—სწერს გაზეთი,—სწორედ ფულის იმ ოპერაციების დროს, რომელშიაც იგი არის გარეული, ოფიციალურად ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებას ხელშეკრულების დადების მიზნით. სწორედ მან მოაწერა ხელი საბჭოთა მთავრობისადმი გაგზავნილ ცნობილ საპროტესტო ნოტას, ე. წ. „ზინოვიევის წერილის“ წინააღმდეგ. მეორე მათგანს ო'მალის უჭირავს იმდენად დიდი თანამდებობა, რომ მას თავის დროზე დაეკისრა საპასუხისმგებლო ამოცანა—ჩინეთის ეროვნულ მთავრობასთან მოლაპარაკება ხანკოუში. [illegible]ამე—ნაკლებ ცნობილია, მაგრამ მასაც [illegible]უხისმგებლო ადგილი უჭირავს. გაზეთი [illegible]თხოვს, რომ ბოლდუინის მიერ დანიშნული გამოძიება რაც შეიძლება უფრო ზედმიწევნით და საჯაროდ მოხდეს.

ჟაპის პროვოკაციული გამოსვლა

პარიზი, 2 თებერვალი. საფრანგეთის სენატის გუშინდელი სხდომა მიუძღვნა შეკითხვას საგარეო პოლიტიკის შესახებ. სენატორმა ჟაპიმ წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიაც მოითხოვა ურთიერთობის შეწყვეტა საბჭოთა კავშირთან და განაცხადა, რომ „საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკება ფარავს ბოლშევიკური აგენტების პროპაგანდისტულ მუშაობას, კერძოდ საბჭოთა ელჩის მუშაობას, რომელსაც ჰყავს 250 მოსამსახურე და აქვს 22 სატელეფონო ხაზი“ (ადს).

„პრაღა“ საჩქაროდ გადმოტვირთეს

პეკინი, 1 თებერვალი. გოვენის სააგენტოს ცნობით, ჩეხო-სლოვაკიის გემი „პრაღა“, რომელიც დატვირთული იყო სამხედრო მასალებით ჩან-ძო-ლინისათვის, მივიდა ცინვანდაოში. (ნავთსადგური ჩჟილის პროვინციის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში). გემი საჩქაროდ გადმოტვირთეს (ადს).

გლეხთა რაზმები ფინზე სანში არიან

პეკინი, 1 თებერვალი. იაპონიის ხელისუფლების ოფიციოზი პეკინში „შუნ-ტიენ-ში-ბაო“ იუწყება, რომ ანგოციზიუნმა (ჩრდილოეთის რეაქციონური ორგანიზაცია, რომელსაც ჩან-ძოლინი ხელმძღვანელობს) დაადგინა პირველ რიგში განწმინდოს გლეხთა რაზმებისაგან ის ტერიტორია, რომელზედაც ანგოციზიუნის გავლენა ვრცელდება და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს შეტევა ფინ-იუი-სიანის წინააღმდეგ და დაიკავოს ყვითელი მდინარის ჩრდილო ნაპირი (ადს).

თავდასხმა საავადმყოფოზე

შანხაი, 1 თებერვალი. გაზეთების ცნობით, ხანკოუს ხელისუფლებამ 30 იანვარს მოახდინა თავდასხმა ინდოელების თვალის საავადმყოფოზე, სადაც, თითქოს, აღმოაჩინეს 20 რევოლვერი და დიდძალი კომუნისტური ლიტერატურა. საავადმყოფოს ინდოელი ექიმი დაპატიმრებულია (ადს).

„გავრეკავ ყველა პედაგოგებს“

პარიზი, 1 თებერვალი. ბიუჯეტის ირგვლივ გამართულ კამათის დროს ბელგიის დეპუტატთა პალატაში კათოლიკურმა დეპუტატმა შეიტანა შეკითხვა იმის შესახებ, თუ რა ზომებს მიიღებს მთავრობა იმ მრავალი მასწავლებლისა და პროფესორის წინააღმდეგ, რომელნიც კომუნისტურ პარტიას ეკუთვნიან. განათლების მინისტრმა ვოტიემ ამის საპასუხოდ განაცხადა: „გავრეკავ ყველა პედაგოგებს, რომელნიც სკოლებში დაიცავენ ბოლშევიზმს და არ დაუშვებ, რომ ბოლშევიზმმა დაანგრიოს ოჯახი“.

იურაშევსკი

ლატვიის ახალი მთავრობის თავმჯდომარე

ინგლისელები ჟლეტენ აფრიკელ ზანგებს

ლონდონი, 1 თებერვალი. გამოქვეყნებულია დაწვრილებითი ოფიციალური ცნობა ინგლისის სამხედრო ოპერაციების შესახებ ნუერ-ნუენგის ტომის წინააღმდეგ, რომელიც ცხოვრობს სამხრეთ სუდანის ჭაობიან ადგილებში. ცნობაში აღნიშნულია, რომ ოპერაციები სწარმოებს ორ რაიონში: შამბას რაიონში, სადაც ჯარებს მიცემული აქვს დავალება შეიპყრან ინგლისელ კაპიტან ფერგუსონის მკვლელები, და ლაუს რაიონში, ნილოსის სათავეებში, სადაც მღელვარება დაიწყო „ადმინისტრატიულ რეფორმებისა და გზების გაყვანის წინააღმდეგ შეთქმულების გამო“.

„ტაიმს“-ის კორესპონდენტის ცნობით ხარტუმიდან (სუდანი), ინგლისელები სარგებლობენ აეროპლანებით, რომლებიდანაც ყუმბარებს უშვებენ უმთავრესად საქონელს, ვინაიდან შინაური საქონლის დაკარგვა „განსაკუთრებით საგრძნობია ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის“ (ადს).

ჰორნსრუდის კაბინეტის პროგრამა

სტოკჰოლმი, 1 თებერვალი. ნორვეგიის ახალმა მთავრობამ თავისი პროგრამა წაიკითხა სტორტინგში (პარლამენტი). პროგრამის უმთავრესი მუხლებია: ბრძოლა უმუშევრობასთან, „შრომის თავისუფლების დაცვის“ კანონის გაუქმება (ამ კანონის მიზანს შეადგენდა შტრეიკბრეხერების დაცვა), ღარიბი გლეხობისა და მეთევზეების მდგომარეობის გაუმჯობესება, პურის მონოპოლიის გატარება, პურის ბაჟების მოხსნა, გაუქმება იმ კანონისა, რომლის მიხედვითაც დაწესებული იყო პრემიების მიცემა მსხვილი მიწადმოქმედებისათვის. მთავრობას განზრახვა აქვს შეიტანოს საგადასახადო სისტემის შეცვლის პროექტი, რომლის მიზანსაც შეადგენს გადასახადების გადიდება შეძლებული კლასებისათვის. მთავრობას განზრახვა აქვს შეამციროს სამხედრო ბიუჯეტი და გააუქმოს სამხედრო მანევრები 1928 წელში, ამავე დროს მთავრობამ განაცხადა, რომ განზრახვა აქვს „მოამზადოს სრული განიარაღება“.

ბურჟუაზიული პრესა ახალი მთავრობის პროგრამას უწოდებს „საგიტაციო დოკუმენტს“.

კომუნისტური პრესა პროგრამას ახასიათებს როგორც ლიბერალურ-დემოკრატიულს.

პრესა მთავრობის დამარცხებად სთვლის იმ გარემოებას, რომ სტორტინგის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა ლიბერალი მოვინკელი (სტორტინგის თავმჯდომარის მოადგილედ წინედ იყო ახალი მთავრობის პრემიერი ხორნსრუდი), რომელმაც მიიღო 78 ხმის უმრავლესობა, წინააღმდეგ 65 ხმისა. (ადს).

ლაზა სტეფანოვიჩის პროცესი

ვენა, 1 თებერვალი. თებერვალში ბელგრადის სასამართლოში დაიწყება სამხრეთ-სლავიის დამოუკიდებელ პროფკავშირების გენერალურ მდივან ლაზა სტეფანოვიჩის, კომუნისტების სიმა მარკოვიჩის, რადომირ ვუიოვიჩის და სხვების საქმის გარჩევა. ბრალდებულთა შორის არის რამოდენიმე არასრულწლოვანი.

ბელგრადის გაზეთ „ნოვოსტი“-ს ცნობით, ბრალდებულებმა გამოაცხადეს შიმშილობა ნიშნად პროტესტისა გამოძიების გაჭიანურების წინააღმდეგ. შიმშილობა გაგრძელდა ორ დღეს, რის შემდეგ ხელისუფლებამ დანიშნა პროცესი. (ადს).

მ. გორკის წერილი „ჟორჟ ეკხოუდ“-ისადმი

მოსკოვი, 2 თებერვალი. „იზვესტია“-ში დაბეჭდილია „მაქსიმ გორკის წერილი ინტერნაციონალური კომიტეტის „ჟორჟ ეკხოუდი“-სადმი.

მე ძალიან დიდად ვაფასებ ეკხოუდის საუცხოვო ნიჭს და დამსახურებას მისი ხალხის კულტურის წინაშე და თქვენი განზრახვა სცეთ პატივი მის ხსოვნას, რასაკვირველია კულტურული საქმეა.

მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც მაიძულებს თავი შევიკავო ამ კულტურულ საქმეში მონაწილეობისაგან მანამ, სანამ არ გავიგებ: როგორ შეხვდა ბელგიის ინტელიგენცია რუსეთის გამოფენის დარბევას ბრიუსელში სტუდენტების მიერ? გამხეცებული ხალხის ეს საქციელი ალბად უკვე იქნა ღირსეულად დაგმობილი. ვინაიდან მე ამის შესახებ არაფერი არ ვიცი, ამიტომ ჩემი მონაწილეობა თქვენ მიერ განზრახულ, საპატიო საქმეში, ვფიქრობ, რომ იქნებოდა ჩემი უპატივცემულობა ჩემი სამშობლოსადმი. მე მესმის, რომ ახეული მხეცის გამოსვლას არ შეუძლია ჩემი ხალხის შეურაცხყოფა, მაგრამ ასეთი გამოსვლები დაგმობილ უნდა იქნას, ვინაიდან ამ პირების არსებობით ამა თუ იმ საზოგადოებაში, საზოგადოება ჰკარგავს „კულტუროსნობის“ ტიტულს“ (ადს).

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

ნუ დააყოვნებთ სესხზე ხელის მოწერას

სოფლის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციები საწრაფოდ იბეჭდება მოსკოვში. სესხზე ხელის მომწერს, სანამ ობლიგაციები იქნებოდეს მიღებული, ეძლევა დროებითი მოწმობა, რომელიც შემდეგ გადაცვლილი იქნება ნამდვილ ობლიგაციაზე. შესაძლებელია, ამ გარემოებამ ზოგიერთი გლეხის აფიქრებინოს: რაღათ ვიჩქარო სესხზე ხელისმოწერა, თუ კიდევ დამჭირდება მისვლა დროებითი მოწმობის გადასაცვლელად ნამდვილ ობლიგაციაზე. ბარემ დავიცდი, ნამდვილი ობლიგაცია მოვიდეს და მაშინ შევიძენო.

მაგრამ ეს მოსაზრება არ არის სწორი. მართალია ორჯერ მისვლა სესხის შეძენაზე ერთხელ დროებითი მოწმობის მისაღებად და მეორეჯერ—ამ მოწმობის გადასაცვლელად ნამდვილ ობლიგაციაზე—უხერხულია, მაგრამ სამაგიეროდ ეკონომიურად ხელსაყრელია გლეხისათვის: რამდენათ ადრე მოაწერს გლეხი ხელს სესხზე, მით უფრო მეტ პროცენტებს მიიღებს იგი, რადგან პროცენტების დარიცხვა სესხის ობლიგაციის კუპონზე იწყება სესხის დროებითი მოწმობის გამოწერისთანავე. ამრიგად, თვით ობლიგაციის შემძენ გლეხების ინტერესები მოითხოვენ არ დააყოვნონ სესხზე ხელის მოწერა რადგან ობლიგაციისათვის მეორეჯერ მისვლა გადამეტებით იქნება ანაზღაურებული ზედმეტი პროცენტის მიღებით.

ობლიგაციები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკვე იბეჭდება და ადგილებზე დაგზავნილ იქნება არა უგვიანეს 10—15 თებერვლისა.

სოფლად მუშაობასთან დაკავშირებულმა ყველა ორგანიზაციებმა და სოფლის კულტურულმა ძალებმა უნდა განუმარტონ გლეხობას სესხზე დაუყოვნებლად ხელის მოწერის მთელი სარგებლობა.

ი—ა.

სესხი და ჯანმრთელობის დარგის მუშაკები სოფლად

მთავრობის მიერ გამოშვებული 100 მილიონიანი საგლეხო სესხი მოხმარდება სახელმწიფოებრივი ღონისძიებებს, მიმართულს გლეხის მეურნეობის განმტკიცებისაკენ. ამასთან ერთად სესხის 10 პროცენტი გადაეცემა თემებს ადგილობრივი საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და მათ შორის ჯანმრთელობის საქმეზეც.

ამ სესხის წარმატებით ჩასატარებლად საჭიროა თვითეულმა გლეხის კომლმა შეიძინოს ობლიგაცია და ამით სახელმწიფოს მისცეს თავისდა სასარგებლოდ ნაწილი იმ თანხისა, რომელიც მას [illegible] აქვს შენახული.

სესხის წარმატებით ჩატარება და მასთან დაკავშირებით სოფლის კეთილდღეობის გადიდება დამოკიდებულია სოფლის მოსახლეობის შეგნებაზე. ამ საქმეში საჭიროა სოფლად მყოფ ყველა კულტურული ძალების დახმარება, რომლებსაც თავის პირადი მაგალითით, საგიტაციო გამოსვლებით კრებებზე და თავის ყოველდღიურ მუშაობასთან დაკავშირებულ გლეხებთან შეხვედრის დროს, შეუძლიათ აუხსნან გლეხებს სესხის მნიშვნელობა და ამით ხელი შეუწყონ ობლიგაციების გავრცელებას.

სოფლად მომუშავე კულტურულ ძალებ შორის, საექიმო დარგში მომუშავეთ (ექიმები, ფერმაცევტები, ფერშლები და ბებია ქალები) გაცხოველებული და განუწყვეტელი კავშირი აქვთ მოსახლეობასთან, ამიტომ მათი აქტივობას ამ საკითხში ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ ვხედავთ სამედიცინო მუშაკების, უმეტესობაში არა მარტო მკურნალებს, არამედ კულტურის და ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის მებრძოლთ: მკურნალობასთან ერთად მოსახლეობის შრომის და ყოფა-ცხოვრების პირობების საერთო გაჯანსაღება—ასეთია ის ამოცანები, რომელთა განხორციელებას ავალებს საბჭოთა ხელისუფლება სამედიცინო მუშაკებს.

ახალი საგლეხო სესხი ჩვენ მოგვცემს საშუალებას სოფლის კულტურულ და მატერიალურ დონის ასაწევათ, რაც გულისხმობს ხალხის გაჯანსაღების საქმის წინსვლასაც. ამიტომ ჩვენ მოუწოდებთ სოფლად მომუშავე სამედიცინო პერსონალს თვით შეიძინონ სესხის ობლიგაციები, მიიღონ მონაწილეობა კრებებში, რომელნიც მოწვეული იქნება საგლეხო სესხის საგიტაციოთ, ყოველი ავადმყოფის ნახვის დროს ჩაატარონ მათ ახლობლებთან სათანადო საუბარი.

მედიცინის მუშაკო—გახსოვდეს, რომ ის საქმე, რომელსაც შენ ემსახურები, მჭიდროთ დაკავშირებულია საგლეხო სესხის წარმატებასთან.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი.

საზ-ბა „წერა-კითხვა“-ს ყველა სამაზრო გამგეობებს

ამხანაგებო საბჭოთა ხელისუფლების მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენს მშრომელთა კეთილდღეობაზე ფიქრი, მუშათა და გლეხთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება. ამ მიზნით ის ყოველ ღონეს ხმარობს ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და სასოფლო-მეურნეობის განვითარებისათვის. ხოლო სახელმწიფოს მცირე ბიუჯეტი მის საშუალებას არ აძლევს გამოყოს ამ საქმისათვის საკმაო თანხები. ამიტომ საჭირო ხდება მუშათა და გლეხთა აქტიური დახმარება. მშრომელთა შორის უნდა შეგროვდეს დამატებითი საშუალებები ქვეყნის სამეურნეო კულტურულ განვითარებისათვის.

მუშათა კლასმა უკვე დაამტკიცა, რომ ის მზად არის პირველ დაძახებისთანავე გამოეხმაუროს თავის ხელისუფლებას. მან 100 პროც. შესძლო შეეძინა სესხი მრეწველობის განვითარებისათვის. დღეს კი ასეთ სესხს საბჭოთა ხელისუფლება მოითხოვს გლეხობისაგან მათივე მეურნეობის განმტკიცებისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გლეხები არ ჩამორჩებიან მუშებს და სავსებით გაამართლებენ მათზე დამყარებულ იმედებს. საჭიროა მხოლოდ აუხსნათ მათ და შევაგნებინოთ ის სარგებლობა, რომლის მოტანაც მათთვის შეუძლია გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხს, ხოლო ვის შეუძლია უკეთესად თუ არა საზოგადოებრივ ორგანიზაციას ასეთი სამსახურის გაწევა მთავრობისა და თვით გლეხობისათვის.

საზ-ა „წერა-კითხვა“-ს, რომელიც სწორედ მშრომელთა კეთილდღეობისათვის იბრძვის, აინტერესებს შეიტანოს მათში შეგნება და განათლება იმ მიზნით, რომ თავისი ცხოვრება გაიუმჯობესონ კულტურულად და ეკონომიურად, არ შეუძლია არ გაეხმაუროს ამ სესხს და მის ჩატარებაში არ მიიღოს ცოცხალი მონაწილეობა. ამისათვის ცენტრალური გამგეობა მოგიწოდებთ თქვენ მოიწვიოთ ჩვენი უჯრედის საერთო კრებები და გააცნოთ მათ ამ სესხის უდიდესი მნიშვნელობა სოფ.-მეურნ. აღორძინებისათვის. განუმარტეთ მათ აგრეთვე, რომ მოგებისა და პროცენტების საშუალებით ისინი მიიღებენ ორგვარ სარგებლობას. საზ-ა „წერა-კითხვა“-ს წევრებმა არამც თუ თვითონ უნდა შეიძინონ სესხის ობლიგაციები, არამედ უნდა ურჩიონ თავის ნათესავ-მეგობრებს და მეზობლებს მათაც შეიძინონ ასეთები. ყველა კულტურული ძალები, რომელნიც ირიცხებიან ჩვენი საზ-ის რიგებში, აუცილებლად უნდა იქნენ ჩაბმულნი სესხის ჩატარების საქმეში სოფლად. წინადადება მიეცეთ სალიკვიდაციო და მცირემცოდნეთა სკოლების ხელმძღვანელებს განუმარტონ მსმენელებს გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის სარგებლიანობა და მოუწოდონ მათ შეიძინონ ობლიგაციები. ცენტრალური გამგეობა საჭიროდ სთვლის უჯრედებში და სალიკვიდაციო სკოლებში გამოყოფილ იქნენ სპეციალური კომისიები, რომელნიც დაუკავშირდებიან სათანადო ორგანოებს, მიიღებენ მათგან საჭირო ინსტრუქციებს და აწარმოებენ ხელის მოწერას აღნიშნულ სესხის ობლიგაციებზე.

ველით [illegible] თქვენ მიერ გადადგმულ პრაქტიკულ ნაბიჯების შესახებ. დრო გამოშვებით მოგვაწოდეთ ცნობები გამოყოფილ კომისიების მუშაობაზე.

საზ-ბა „წერა-კითხვის“ გამგეობა.

დაზღვევის მუშაკები სესხის გავრცელებაში

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს:

— ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, სავსებით გავატაროთ ცხოვრებაში უმაღლესი ორგანოების დირექტივა გლეხის მეურნ. განმტკიცების სესხის ჩატარებისათვის ხელის შეწყობის შესახებ. რესპუბლიკაში არსებული ყველა დაზღვევის პუნქტები და ამ დარგში მომუშავენი ფართოდ იქნებიან ჩაბმული სესხის ობლიგაციების განაღდებაში.

ჩვენი დაწესებულების მუშაკებს უშუალო კავშირი აქვთ სოფლის მეურნეობასთან, რადგანაც, უკანასკნელათ დიდი ყურადღება ექცევა სოფლად დაზღვევის საქმის გაჯანსაღებას. ეს მდგომარეობა გამოყენებულ იქნება სესხის კამპანიის ჩატარებისას.

ამ დღეებში ჩვენ მივმართეთ პროვინციაში გაფანტულ ჩვენს მუშაკებს, რომ ფართოდ ჩაებან სესხის ობლიგაციების გასაღებაში.

ფ.-ტ. მუშაკების მონაწილეობა სესხის განაღდებაში

ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. დ. ჭყონიამ, გლეხის მეურნ. განმტკიცების სესხის გასაღებაში კავშირის წევრთა მონაწილეობის შესახებ განაცხადა:

— ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები პროვინციაში წარმოადგენენ იმ პუნქტებს, საიდანაც ვრცელდებოდა საერთოდ ყველა სახაზინო სესხების ობლიგაციები. ალბათ ამ სესხის ობლიგაციებიც გავრცელებული იქნება ფ.-ტ. დაწესებულებათა აპარატით. ამ მხრივ ჩვენი კავშირის წევრებს დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ სესხის კამპანიისათვის.

კავშირის ცენტრალურ გამგეობას გადაწყვეტილი აქვს სოფლად მომუშავე კავშირის წევრები ფართოდ ჩააბას სესხის გავრცელების საქმეში. ამ მიზნით ჩვენ დაუგზავნეთ ადგილებს შესაფერის ცირკულიარებს და ახსნა-განმარტებებს, რომ პროვინციაში არსებული ფოსტა-ტელეგრაფის ყველა დაწესებულების თანამშრომლებმა ფართო აგიტაცია გასწიონ გლეხობაში.

ამავე მუშაობაში ფართოდ იქნებიან ჩაბმული წერილების დამტარებლები სოფლად და ფოსტის აგენტები. სულ ჩვენი კავშირი აერთიანებს სოფლებში გაფანტულ 3.000-ზე მეტ წევრს.

ჯილდო ობლიგაციების წარმატებით გავრცელებისათვის

საქართველოს სასოფ.-სამ. ბანკში მიღებული ცნობით, ცენტრალური სასოფ.-სამ. ბანკი და ცენტრალური კოოპერატიული საბჭო აწყობენ საკავშირო კონკურსს იმ სასოფ.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათათვის, რომლებიც სამაგალითოდ ჩაატარებენ სესხის რეალიზაციას.

დაწესებულია: პირველი სამი ჯილდო 5.000 მანეთიანი — თითო; მეორე სამი ჯილდო—3.000 მანეთიანი— თითო და მესამე სამი ჯილდო — 2.000 მანეთიანი—თითო. სულ ჯილდოებისათვის გადადებულია — 30.000 მანეთი.

კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ ის საკრედიტო ამხანაგობები, რომლებიც ა. წ. 1 მარტამდე გაასაღებენ არა ნაკლებ 5.000 მანეთის ობლიგაციებს.

ამხანაგობამ, რომელიც მოისურვებს კონკურსში მონაწილეობის მიღებას, ცენტრალურ სასოფ.-სამ. ბანკთან არსებულ საკონკურსო კომიტეტს უნდა წარუდგინოს ცნობები: განაღდებულ ობლიგაციების საერთო თანხის და კომლთა და მათ წევრთა რიცხვის შესახებ.

აღნიშნული ცნობები შემოწმებული უნდა იყოს თემაღმასკომების მიერ.

გარდა ცენტრალური ბანკის, საქართველოს სასოფ.-სამ. ბანკმა ამავე მიზნისათვის საკუთარი საშუალებიდან გამოჰყო 1.000 მანეთი, რომელიც განაწილებული იქნება ჯილდოს სახით სესხის საუკეთესოდ გამსაღებელ სამ საკრედიტო ამხანაგობის შორის.

პირველ ჯილდოთ დაწესებულია 500 მანეთი, მეორე —300 მან. და მესამე — 200 მანეთი. ამას გარდა, ამ ამხანაგობებს მიეცემათ უპირატესობა კრედიტების გაცემის დროს.

სამზადისი ადგილებზე

გორის მაზრაში

საგლეხო სესხის ობლიგაციების გავრცელების კამპანიის ფართოთ ჩატარების მიზნით, 29 იანვარს გორში შესდგა გორის საბჭოს წევრთა და გორის მაზრის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების გამგეობის წევრთა გაერთიანებული თათბირი, რომელზედაც საგლეხო სესხის მნიშვნელობისა და სესხის ობლიგაციების გლეხებში ფართოთ გავრცელების შესახებ მოხსენება გააკეთა სასოფლო-სამეურნეო ბანკის რაიონულმა ინსპექტორმა **ზილოვანმა**. მოხსენების შემდეგ თათბირმა დაადგინა მხურვალე მონაწილეობა მიიღოს სესხის გავრცელებაში და სესხის მნიშვნელობის გასაშუქებლად გლეხებში, მაზრაში ჩაატაროს კამპანია. კამპანიის დროს მოეწყობა ლექცია-საუბრები, სესხის მნიშვნელობაზე და იწარმოებს სესხზე ხელის მოწერა.

ამ კამპანიის ჩასატარებლად თათბირმა დაარსა სპეციალური კომისია.

სესხის ქრონიკა

სესხის რეალიზაციის ხელისშემწყობი ცენტრალური კომისია

საქართველოს ცაკთან დაარსდა საგლეხო სესხის რეალიზაციის ხელისშემწყობი ცენტრალური კომისია 9 წევრის შემადგენლობით. კომისიაში შედიან: ამხ. ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), გ. მგალობლიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ა. გეგეჭკორი, გ. ყურულაშვილი, ზ. მაჩაიძე, კალატოზიშვილი, კაკაბაძე, მ. ტოროშელიძე და ყამარაული.

კინო სესხის შესახებ

საქართველოს ფინსახკომი გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის შესახებ ამზადებს კინო-ლენტს და დიაპოზიტივებს, რომლებიც გაიგზავნება სოფლებში მოძრავ კინოებთან ერთად.

ახალი კონტრაგენტები

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციისათვის საქ. ფინსახკომი ახალ კონტრაგენტების სახით იწვევს თბილ. სოც. მუშკოოპს და „ზაკტპო“-ს. პირველმა სესხის გასაღება უნდა აწარმოოს ქალაქის იმ რაიონებში, სადაც თავს იყრის ჩამოსული გლეხობა, ხოლო მეორემ რკ. გზ. ხაზებზე თავის სავაჭროებში.

მოხსენებები გლეხთა სასახლეში

საქ. ფინსახკომი გლეხთა ცენტრალურ სასახლეში 3, 10 და 22 თებერვალს გლეხთა შორის ჩაატარებს მოხსენებებს გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის შესახებ.

ტელეფონი 15-14

ის ორგანიზაციები, რომლებიც ღებულობენ მონაწილეობას სესხის რეალიზაციაში თბილისის მასშტაბით, მომხსენებლის გამოსაძახებლად უნდა მიმართონ საქ. ფინსახკომს ტელეფონით 15-14.

პარტიული ცხოვრება

ეროვნულ უმცირესობათა ქალთა [illegible]ტიაში მცირეა

მშრომელ ქალთა პარტიაში ჩაბმას ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ უმცირესობათა ქალების პარტიაში შესვლას. მიუხედავათ ამისა ადგილობრივი ორგანიზაციები, ხშირად ვერ იჩენენ ამ საქმეში სათანადო ინიციატივას და ენერგიას.

მაგალითად მთელ ახალციხის მაზრაში ეროვნულ უმცირესობათა კომუნისტ ქალების რიცხვი მხოლოდ 6 უდრის. ცხადია, რომ ახალციხის მაზრა ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. დაახლოებით ასეთივე და ზოგჯერ კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა სხვა მაზრებში. მრავალ ეროვნულ უმცირესობათა ქალები სხვადასხვა პირობების გამო ბევრით უფრო ჩამორჩენილი არიან კულტურულათ. მათ გაცილებით უფრო მძიმე ყოფა-ცხოვრების პირობებში უხდებათ ცხოვრება, ვიდრე სხვა მშრომელ ქალებს. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეროვნულ უმცირესობათა ქალების პარტიაში გაერთიანებას.

რა უშლის ხელს ამ ამოცანის წარმატებით შესრულებას? პირველ ყოვლისა თვით ის მძიმე ოჯახური პირობები, რომელშიაც უხდება ცხოვრება ეროვნულ უმცირესობის ქალს. ამ მიმართულებით პარტორგანიზაციების წინაშე მეტად დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანაა დასახული. ერთი ხელის დაკვრით შეუძლებელია იმ პირობების აღმოფხვრა, რომელნიც ისტორიულად შეიქმნენ. აქ საჭიროა ხანგრძლივი კულტურული მუშაობა და ეროვნულ უმცირესობათა მეურნეობის ტეხნიკურად გაუმჯობესებაზე ზრუნვა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ხელი ავიღოთ ეროვნულ უმცირესობათა ქალების პარტიაში ჩაბმაზე. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული დახმარება უნდა გაუწიონ პარტიას ეროვნულ უმცირესობის მამაკაც კომუნისტებმა. მათ პირველყოვლისა საკუთარი ოჯახის წევრი ქალები უნდა ჩააბან პარტიაში და კომკავშირში და ამით მაგალითი უნდა მისცენ სხვებს, რომ ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებათაგანი დრო-მოჭმულ და მავნე ადათ-ჩვეულებებისა და კულტურული ჩამორჩენილობის დასაძლევათ.

რა ხდება სინამდვილეში? ეროვნულ უმცირესობათა მამაკაცი კომუნისტები ბევრ შემთხვევაში ვერ ამართლებენ კომუნისტის მოვალეობას. ისინი არა თუ ხელს უწყობენ თავიანთი ოჯახების წევრ-ქალთა პარტიაში ჩაბმას, არამედ ზოგჯერ წინააღმდეგიც კი არიან, რომ მათი ოჯახის ქალებმა საზოგადოებრივ ასპარეზზე იმუშაონ. ეს არაერთხელ აღუნიშნავს ქალთა შორის მუშაკთა კონფერენციებს და კრებებს.

არსებული მდგომარეობა, როცა მშრომელ ქალთა და კერძოთ ეროვნულ უმცირესობის მშრომელ ქალთა რიცხვი პარტიაში მეტად უმნიშვნელოა, დიდხანს ვერ გაგრძელდება. პარტიულ ორგანიზაციებმა, ქალთა განყოფილებებმა და თვით კომუნისტ მამაკაცებმა ყოველი ღონე უნდა მიიღონ ქალთა პარტიაში გასაერთიანებლად.

გ. დ—ი.

საქართველოს კომპარტიის ორგანიზაციებში

ახალციხის სამაზრო კომიტეტი

გლეხკომების მუშაობის ნაკლი

ახალციხის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა გლეხკომების გადარჩევის შედეგთა განხილვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გლეხკომების მუშაობაში მეტად სუსტად არის ჩაბმული მოჯამაგირეობა (წევრთა შემადგენლობის 6 ნახევარი პროცენტი), სუსტია მუშაობა თვით გლეხკომებისა, რომელთა ორგანიზაციული ჩამოყალიბება ჯერ დამთავრებული არაა და გლეხკომების შემადგენლობაში კულაკური ელემენტი ურევია.

სამაზრო კომიტეტმა მიუთითა მაზრის გლეხკომს, რომ საჭიროა: 1) გაძლიერდეს მუშაობა მოჯამაგირეთა და ქალთა ჩასაბმელად გლეხკომებში, 2) გაცხოველდეს სარევიზიო კომისიის მუშაობა, რათა ყოველთვიურად მოხდეს თვითეული გლეხკომის გამოკვლევა, 3) მიღებულ იქნას ზომები, რომ გლეხკომების შემადგენლობას ჩამოშორდეს კულაკური ელემენტები და 4) მარტის 1-დე დამთავრდეს ცალკე გლეხკომების ორგანიზაციულად ჩამოყალიბება.

პარტიის ზრდის მტკივნეული მხარეები

ახალციხის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა პარტორგანიზაციის ზრდისა და მისი მოწესრიგების საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა პარტიის წევრთა რიცხვის ზრდა და კანდიდატების დაკლება.

1927 წლის იანვრის 1 ორგანიზაციაში ირიცხებოდა პარტიის 78 წევრი და 162 კანდიდატი. 1928 წლის იანვრის 1 ორგანიზაციაში იყო 121 წევრი და 130 კანდიდატი. ამავე ხნის განმავლობაში ორგანიზაციის მუშათა ბირთვი 10,8 პროცენტით გაიზარდა.

ამასთანავე პრეზიდიუმმა აღნიშნა, იმ მუშაობის სისუსტე, რომლის მიზანი უნდა იყოს ეროვნულ უმცირესობათა ქალების ჩაბმა პარტიაში; ამ ქალების რიცხვი ორგანიზაციაში სულ ექვსია ანუ მისი შემადგენლობის 2,4 პროცენტი.

პარტიის სამაზრო კომიტეტმა აღნიშნა, რომ ორგანიზაციის ძირეული ზრდა გლეხების საშუალებით სწარმოებდა, ამასთანავე მოჯამაგირეების ჩაბმა პარტიაში საკმაო არ იყო, ისინი ორგანიზაციაში შეადგენენ მხოლოდ 3 პროცენტს, მაგრამ ბევრი განცხადება შემოდის პარტიაში საშუალო გლეხებისაგან. კომიტეტმა მიიღო ყოველივე ეს მხედველობაში და დაადგინა: გაძლიერდეს მოჯამაგირეებისა და საშუალო გლეხების ჩაბმა პარტიაში, ასეთივე მუშაობა გაძლიერდეს ეროვნულ უმცირესობათა შორის (თურქები და სხვ.).

სამაზრო კომიტეტმა აღნიშნა აგრეთვე ქალთა უმნიშვნელო პროცენტი, მეტადრე ეროვნულ უმცირესობათა ქალებისა, და წინადადება მისცა უჯრედებს გააძლიერონ ქალთა შორის მუშაობა.

კომკავშირის ნორმალური ზრდა

სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა მოისმინა კომკავშირის სამაზრო კომიტეტის მოხსენება და აღნიშნა კომკავშირელთა ორგანიზაციის ზრდის მოწესრიგების სისწორე და ნორმალობა; ორგანიზაციის ზრდა ხდება მოჯამაგირე და ღარიბ ახალგაზრდობის ხარჯზე. აგრეთვე კომკავშირი საკმაოდ იზიდავს თავის რიგებში ეროვნულ უმცირესობათა ახალგაზრდებს (თურქები, რუსები და სხვ.). კომკავშირელთა მასის აქტივობის ზრდასთან ერთად თვალსაჩინოდ გაიზარდა კომკავშირის მონაწილეობა მაზრის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, გაუმჯობესდა თემის მასშტაბით კომკავშირის მუშაკთა ხელმძღვანელი შემადგენლობა ორგანიზაციის წევრ-მოჯამაგირეებისა და ღარიბი ნაწილის დაწინაურების საშუალებით.

ამასთანავე ერთად პარტიის სამაზრო კომიტეტმა აღნიშნა კომკავშირის მუშაობის სისუსტე ქალიშვილთა შორის, პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობის ნაკლებობა და სასკოლო საქმის ხელმძღვანელობის სისუსტე.

სამაზრო კომიტეტმა გამოიტანა დადგენილებანი, რომლებშიაც დირექტივები მისცა პარტიის უჯრედებს და, კერძოდ, მიუთითა, რომ საჭიროა ხელმძღვანელობის გაძლიერება კომკავშირის მუშაობაში ადგილობრივ.

პასუხისგება დირექტივების შეუსრულებლობისათვის

ახალციხის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ რემედასის საორგანიზაციო ბიურომ არ შეასრულა კომიტეტის დირექტივები თავისი მუშაობის გაცხოველებისა და გაძლიერების შესახებ. კომიტეტმა აღნიშნა სრული დეზორგანიზაცია რემედასის მუშაობაში; რემედასის უჯრედების გამოკვლევამ გამოარკვია, რომ საწევრო გადასახადებისაგან, წარმოდგენებისაგან და სხვადასხვა შემოწირულებისაგან შემდგარი ფულის თანხა საორგანიზაციო ბიუროს სალაროში არ შედიოდა და გამოურკვეველია, თუ რა იქნა.

ამის გამო სამაზრო კომიტეტმა შენიშვნა მისცა როგორც რემედასის საორგანიზაციო ბიუროს მთელ შემადგენლობას, ისე მის სარევიზიო კომისიას, გამოჰყო პრეზიდიუმის კომისია და დაავალა მას თებერვლის 10-დე დაამთავროს რემედასის საორგანიზაციო ბიუროს შემადგენლობის სრული გამოკვლევა.

საბინაო აღმშენებლობა მოიკოჭლებს

კომპარტიის ახალციხის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა აღნიშნა საბინაო კოოპერაციის კომისიის სრული უმოქმედობა, რომელიც ფორმალურად, ქაღალდზე, დაახლოებით, ორი წელიწადია, რაც არსებობს და სრულიად ვერ გამოიყენა ამ საქმისათვის არსებული 10.000 მანეთის ფონდი.

კომიტეტმა აღნიშნა ახლად არჩეული გამგეობის მუშაობის გაცხოველება და მას დირექტივა მისცა, რომ პარტიის დადგენილებათა ნიადაგზე გააფართოოს საბინაო კოოპერაციის მუშაობა, მიიზიდოს მის წევრებად მოსამსახურეები, პირველ ყოვლისა, მუშები და, აგრეთვე, მოახდინოს საბინაო კოოპერაციის ამოცანათა ფართო პოპულარიზაცია.

ა. ბ.

სასოფლო თათბირის პლენუმი

საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის დადგენილებით სასოფლო თათბირის მორიგი პლენუმი დანიშნულია 11 თებერვალს საღამოს 6 საათზე საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის შენობაში.

დღის წესრიგში არის:

1) მორიგი ამოცანები სოფლად მუშაობის დარგში და სასოფლო თათბირის მუშაობის გეგმა;
2) ამიერ-კავკასიის მოჯამაგირეთა შესახებ;
3) სასამართლო და პროკურატურა ა.-კ. სოფელში;
4) სოფლის უჯრედების მუშაობა;
5) სამომხმარებლო კოოპერაცია ა.-კ. სოფელში.

პლენუმის ყველა წევრებს ვთხოვთ გამოცხადდნენ თავის დროზე.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო.

რეზოლიუცია აჭარისტანის მთავრობის მოხსენების გამო

მიღებული სრულიად საქართველოს ცაკის მესამე სესიის მიერ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 მოწვევის მე-3 სესია, მოისმინა რა მან აჭარისტანის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის მოხსენება, იწონებს მის მუშაობას და კმაყოფილებით აღნიშნავს აჭარისტანისა და საქართველოს მშრომელთა მასების შორის ნორმალური ურთიერთობის განმტკიცებას, რის შედეგადაც ჩვენ გვაქვს აჭარისტანში სოციალისტური აღმშენებლობის მუშაობის საგრძნობი გაძლიერება და კულტურულ-ეკონომიური დონის ამაღლება. ამის მაჩვენებელია ახალი ფაბრიკა-ქარხნების აგება, არსებულის შეკეთება და რაციონალიზაცია, სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის სექტორის კერძო ვაჭრობის ხარჯზე გაძლიერება, სოფლის მეურნეობის თანდათანობით ძვირფას კულტურაზე გადასვლა,— განსაკუთრებით, ჩაის და მანდარინის კულტურის გავრცელებით,—და საბჭოთა მამულების გაჯანსაღება და მათი სამრეწველო-საჩვენებელ საფუძვლებზე გადაყვანა, საგზაო და ხიდების აღმშენებლობა, სასკოლო და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, სახალხო ჯანმრთელობის საქმის განმტკიცება-გაძლიერება. ფართო მუშურ-გლეხური ფენების საბჭოთა მუშაობაში ჩაბმა და სხვ.

აჭარისტანის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის კულტურულ-ეკონომიური აღორძინებისათვის საქართველოს ცაკის მესამე სესიას საჭიროდ მიაჩნია შემდეგი:

1. აჭარისტანის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის გაძლიერებაში სოფლის მეურნეობამ თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიჭიროს. ამიტომ სესია ავალებს აჭარისტანის მთავრობას ხელი შეუწყოს ინტენსიფიკაციის გზაზე დამდგარ სოფლის მეურნეობის უფრო მეტი ჩქარის ტემპით განვითარებას იმ მიმართულებით, რომ ის გახდეს მრეწველობის ურყევ ბაზად.

ა) ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტეხნიკური და სუბტროპიკული კულტურების (ჩაი, მანდარინა, ლუფა და სხ.) გავრცელებას და მათი კოლექტიური დამუშავების საფუძველზე თანდათან გადასვლას;

ბ) გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაციის გზით განვითარებისათვის აღებულ უნდა იქნეს მტკიცე კურსი სასოფლო-სამეურნეო წარმოებითი და საკრედიტო კოოპერაციის გასაძლიერებლად და მასში მშრომელი გლეხობის ფართო მასების ჩასაბმელად;

გ) რადგან გლეხურ მეურნეობის საწარმოო ძალების უზრუნველყოფის საქმეში სასოფლო სამეურნეო კრედიტის გაჯანსაღება და გაფართოება გადამწყვეტ როლს თამაშობს, ის უმთავრესად ღარიბ გლეხობას უნდა ეძლეოდეს და კრედიტის გაცემა მიმართულ უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ.

დ) იჯარით გაცემული კულტურული მამულები და [illegible] უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფოს—მათ [illegible] საბჭოთა მეურნეობის [illegible] და კოლექტიური [illegible] მეურნეობის სახით [illegible];

ე) რადგანაც [illegible] თითქმის სრულებით გატარებული არ არის, რაც აბრკოლებს სოფლის მეურნეობის ინტენსიურ განვითარებას,—საჭიროა, რომ მიწად მოწყობის გატარებას აჭარისტანში დაჩქარებითი ხასიათი მიეცეს. მიწის სივიწროვის გამო განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამელიორაციო-საირიგაციო მუშაობას და ღარიბ გლეხობის გადასახლება-მოწყობის საქმეს;

ვ) საგზაო მშენებლობისა და წყლის მეურნეობის განვითარებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გლეხობის ფართო მასების თვითმოქმედების გაძლიერებას, თვითდაბეგვრის პრინციპის გატარებას, სამელიორაციო ამხანაგობათა დაარსებას და სხვა, თანახმად არსებული კანონებისა.

2) ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისათვის სესია ავალებს აჭარისტანის მთავრობას სოციალისტურ საფუძველზე აგებული მრეწველობის კიდევ უფრო გაფართოებას და გაძლიერებას, რისთვისაც მიღებულ უნდა იქნეს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს ადგილობრივ ნედლი მასალის დამუშავება ახალი ქარხნების მოწყობით, არსებული ქარხნების გაფართოებით—მათი ტეხნიკური გაუმჯობესების საფუძველზე და მრეწველობის გეგმიანი განვითარებით;

ბ) ყოველმხრივ ხელი უნდა შეეწყოს ნავთის გადასამუშავებელი და ჩაის დამამზადებელი ქარხნების დამთავრების საქმეს და ნავთის პროდუქტების ექსპორტის გაფართოებას.

3. ითვალისწინებს რა ელექტრო-ენერგიის მნიშვნელობას ჩვენი მრეწველობა-წარმოების განვითარების საქმეში, სესიას საჭიროდ მიაჩნია მიღებულ იქნეს ზომები აწჰესის სამუშაოთა რაციონალიზაციისა და გაიაფებისათვის და მათი ჩქარი დამთავრებისათვის. საჭიროა ამ თავითვე ხმარებულ იქნეს სათანადო ღონისძიებანი, რათა მომქმედი საწარმონი და ახალი წამოწყებანი მომზადდენ აწჰესის ელექტრო-ენერგიაზე გადასაყვანად.

4. მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შესაწყობად სესია საჭიროდ სთვლის სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად სწარმოებდეს აჭარელი ღარიბი ფენების მრეწველობაში ჩაბმა და მათგან კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადება.

5. სესია, აღნიშნავს რა სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციის მნიშვნელოვან ზრდას, ავალებს მთავრობას კიდევ უფრო გააძლიეროს კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის მუშაობა კოოპერაციაში ფართო მუშურ-გლეხური მასების ჩაბმით, პირველი საჭიროების საგნების მომარაგებით, საქონელზე ფასების დაკლებით და ზედნადები ხარჯების შემცირებით და ვაჭრობის სფეროდან კერძო ინიციატივის თანდათან განდევნით.

6. სესია აღნიშნავს აღმშენებლობის დარგში წარმატებით მუშაობას ქალაქად და სოფლად და საჭიროდ სთვლის ამ მუშაობის გაძლიერებას შემდეგი მიმართულებით:

ა) მიღებულ უნდა იქნეს გადამჭრელი ზომები აღმშენებლობის საქმეში არსებული დე[illegible] თავიდან ასაცილებლად გეგმიანი მუშაობის გაძლიერებით და მეტი მომჭირნეობის დაცვით;

ბ) საჭიროა ქალაქში მუშათა საბინაო აღმშენებლობის გაფართოება, კანალიზაციის მოწყობა, ქალაქის ახლო მდებარე ჭაობების ამოშრობა, სასკოლო აღმშენებლობა, ქალაქის კეთილმოწყობა და სააღმშენებლო მუშაობის წარმოება;

გ) დამუშავებულ უნდა იქნეს მტკიცე საბინაო ტარიფი, როგორც საცხოვრებელი სივრცისათვის, ისე დარბაზებისათვის;

დ) საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები სოფლად გზებისა და ხიდების აშენება-შეკეთებისათვის, სასმელი წყლისა და არხების გაყვანისათვის, სასკოლო და სოფლის კულტგანმანათლებელ დაწესებულებათა შენობების აგება შეკეთებისათვის და სხვ. აღნიშნული მუშაობის ჩასატარებლად გამოყენებულ უნდა იქნეს მოსახლეობის თვითმოქმედება სააღმშენებლო მუშაობაში ფართო მასების ჩაბმით.

7. სესია ავალებს აჭარისტანის მთავრობას მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება სახელმწიფო აპარატის გამარტივებას, საადმინისტრაციო და სამეურნეო ხარჯების შემცირებას და მომჭირნეობის მტკიცედ დაცვას—განთავისუფლებული ხარჯების სახალხო მეურნეობის აღორძინებისათვის გამოყენებით.

8. სესია აღნიშნავს აჭარისტანის სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის განვითარებას და ავალებს ენერგიულად აწარმოოს მუშაობა უდეფიციტო ბიუჯეტზე თანდათანობით გადასასვლელად.

9. სესია აღნიშნავს უდიდეს მიღწევებს სახალხო განათლების დარგში, რაც გამოიხატება სკოლების ქსელის გაფართოებაში, განსაკუთრებით, სოფლად, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების დაარსებაში, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და ღარიბ გლეხთა ბავშვებისათვის სახელმძღვანელოების უფასოდ მიწოდებაში. ხელ.-ტეხნიკუმების გამრავლებაში და მათი მუშაობის გაძლიერებაში, აჭარელ მოწაფეთა რიცხვის შეუჩერებელ ზრდაში და ქოხ-სამკითხველოებისა და კლუბების ქსელის გაფართოებაში.

სესია ავალებს აჭარისტანის მთავრობას განაგრძოს მუშაობა კულტურული რევოლიუციის გამარჯვებისათვის, რისთვისაც საჭიროა:

ა) გაძლიერებულ იქნეს მუშაობა შრომის სკოლებში იმ მიმართულებით, რომ ახალი თაობა სავსებით გავანთავისუფლოთ მედრესეს გავლენისაგან;

ბ) მიღებულ იქნეს ზომები მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და განსაკუთრებით თურქული ენის მასწავლებელთა ახალი კადრის მომზადებისა და გადამზადებისათვის;

გ) გაფართოებულ იქნეს ქალაქად და სოფლად პროფ-განათლების სკოლების ქსელი მასში აჭარელ ქალთა ჩაბმით.

10 სესია, ითვალისწინებს რა აჭარელ ქალთა სპეციფიურ მდგომარეობას და მათი სათანადო მომზადებისა და განვითარების აუცილებლობას,—ავალებს აჭარისტანის მთავრობას მიიღოს ზომები აჭარელ ქალთა კუთხეებისა და კლუბების გაფართოებისა, ქალთა შორის პოლიტგანმანათლებელი მუშაობის გაძლიერებისა და საბჭოებში და საზოგადოებრივ აღმშენებლობითი მუშაობაში აჭარელ ქალთა მეტი რაოდენობით ჩაბმისათვის.

11) აღნიშნავს რა რევოლიუციონური კანონიერების თანდათანობით განმტკიცებას, სესიას საჭიროდ მიაჩნია მომავალში შემდეგ ღონისძიებათა ჩატარება:

ა) სასამართლოს აპარატის გაჯანსაღება, გამარტივება და მისი მასასთან დაახლოვება;

ბ) კულტურულ - განმანათლებელ მუშაობასთან ერთად უფრო მკაცრი ზომების მიღება სისხლის აღების ნიადაგზე მკვლელობათა ჩადენის წინააღმდეგ.

12. სესია ითვალისწინებს სახალხო ჯანმრთელობის დარგში არსებულ მიღწევებს და ავალებს მთავრობას პირველ რიგში მთავარი ყურადღება მიაქციოს ჯანმრთელობის არსებულ დაწესებულებათა (საავადმყოფოების, საექიმო პუნქტები და სხვ.) მოწყობა-გაუმჯობესებას და სათანადო დონეზე დაყენებას, გაადიდოს, განსაკუთრებით სოფლად, მედპერსონალის შემადგენლობა, გააძლიეროს ბრძოლა ქალაქად და სოფლად ყოველგვარი ავადმყოფობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით, მალარიისა და ვენერიულ ავადმყოფობათა წინააღმდეგ; ამასთანავე, წამალი უფასოდ მხოლოდ ღარიბ გლეხობას უნდა ეძლეოდეს. სესია ავალებს მთავრობას მიაქციოს მეტი ყურადღება არსებული კურორტების მოწყობა-გაუმჯობესებას.

13. სესია ავალებს აჭარისტანის მთავრობას აწარმოოს მუშაობა სოფლად და ქალაქად საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებისა და გაჯანსაღებისათვის—ამ მუშაობაში ფართო მუშურ-გლეხური მასების ჩაბმით, რითაც საბჭოები ეკონომიურ-კულტურული აღმშენებლობის ცენტრად უნდა იქცნენ.

14. სესია ავალებს მთავრობას მიიღოს ყოველგვარი ზომები კონტრაბანდის წინააღმდეგ საბრძოლველად და მის აღმოსაფხვრელად.

15. სესია ავალებს აჭარისტანის მთავრობას ყოველგვარი დახმარება გაუწიოს წითელ ჯარს საერთოდ და კერძოდ აჭარისტანის ტერიტორიაზე მყოფ ნაწილებს, რომლებიც აჭარისტანის საბჭოთა რესპუბლიკას ემსახურებიან და მისი ინტერესების სადარაჯოზე დგანან.

16. აჭარისტანის მთავრობამ უნდა აწარმოოს მუშაობა აჭარელი ახალგაზრდობის წითელ ჯარში გაწვევის საჭიროების პოპულარიზაციისათვის. მთავრობამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა აჭარის ფართო გლეხობამ იცოდეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აჭარისტანისათვის და განსაკუთრებით ფუკარა ახალგაზრდობისათვის წითელ ჯარში გაწვევას.

ცირკულიარი

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

ამომრჩეველთა წინაშე საბჭოების საანგარიშო კამპანიის ჩატარების შესახებ

აფხაზეთის მოკავშირე ს. ს. რ., აჭარისტანის ავტ. ს. ს. რ. სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, ყველა მაზრაღმასკომებს და ფოთის ქალაქის საბჭოს

საბჭოთა საარჩევნო კამპანიის 1928 წლის შემოდგომისათვის გადადებასთან დაკავშირებით, საარჩევნო კამპანიისათვის უკვე შესრულებული წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა გამოყენებულ უნდა იქნას საბჭოების ფართო საანგარიშო კამპანიის ჩასატარებლად.

აღნიშნულ კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი წინადადებას გაძლევთ:

1. საბჭოთა საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით ჩატარებული წინასწარი მოსამზადებელი ორგანიზაციული მუშაობა საანგარიშო კამპანიისა გამოყენებული იქნას ფართო საანგარიშო კამპანიის ჩატარებისათვის ა.-წ. 15 თებერვლიდან ვიდრე 15 აპრილამდე, როგორც მორიგი ანგარიშგება დეპუტატებისა ამომრჩეველთა წინაშე.

2. საანგარიშო კამპანია უნდა [illegible] სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების ანგარიშგებას ძირეულ საბჭოთა ორგანოებისა (საბჭოების) და აგრეთვე უშუალოდ მუშურ-გლეხურ მასის წინაშე,—ხოლო ანგარიშგება (ქალაქის, თემის და სოფლის) საბჭოებისა და საბჭოს დეპუტატებისა, ამომრჩეველთა ფართო მასის წინაშე.

3. კამპანია ჩატარებულ უნდა იქნას ღარიბ გლეხკაცობის, მოჯამაგირეების, ქალთა ორგანიზაციის, პროფესიონალური, კოოპერატიული, გლეხკომების, წითელი ჯარის და სხვ. საზოგადოებრივი ორგანიზაციათა აქტიური მონაწილეობით.

4. ანგარიშები უნდა გამოხატავდეს საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ მუშაობას, სათანადო საბჭოთა ყრილობების დადგენილებათა და ამომრჩეველთა განაწესების („ნაკაზების“) შესრულების თვალსაზრისით.

5. საანგარიშო კამპანია უნდა მიმდინარეობდეს ფართო საბჭოთა დემოკრატიის [illegible] ფა ს. კ. პ. (ბ) მე15 ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა მიხედვით სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღებისა და სოფლად მუშაობის გაუმჯობესების სფეროში (საბჭოების გამოცოცხლება, სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია და სხვა).

6. აუცილებელია საბჭოს ყველა დეპუტატების მიერ ამომრჩეველთათვის ანგარიშის ჩაბარება; იქ, სადაც ტეხნიკური პირობების მიხედვით შესაძლებელია წარმოებულ იქნას გამოცემა მოკლე, წასაკითხავად იოლი წერილობითი ანგარიშებისა საბჭოების მოღვაწეობის შესახებ, კედლის გაზეთისა, ბლოკნოტისა და სხვა სახით.

7. საანგარიშო კამპანიის დროს ფართოთ უნდა იქნას გამოყენებული ამომრჩეველთა უფლება დეპუტატების გაწვევის შესახებ, რომელიც მათ (ამომრჩევლებს) მინიჭებული აქვთ კონსტიტუციით.

8. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საანგარიშო კრებებზე ღარიბ გლეხობის, მოჯამაგირეების, ქალების, დემობილიზაციქმნილ წითელარმიელების, პროფკავშირების, კოოპერაციის, გლეხკომების და სხვათა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წევრების მონაწილეობას, რისთვისაც უნდა სწარმოებდეს აღნიშნულ ორგანიზაციათა ჯგუფების წინასწარი თათბირი საანგარიშო კამპანიის მნიშვნელობის და მასთან დაკავშირებულ საკითხების გასარჩევად.

9. ყველა საანგარიშო მოხსენებების ირგვლივ უნდა გამოტანილ იქნეს წინადადება, რომელიც შეიცავს მუშაობის შეფასებას არსებულ ნაკლულოვანებებზე მითითებას და პრაქტიკულ ღონისძიებებს შემდეგ მუშაობისათვის.

10. საანგარიშო კამპანიის წარმატებით ჩატარებისა და მასზედ ხელმძღვანელობისათვის სათანადო მაზრებზედ (ავტ. ერთეულებში) და თემებზედ მიმაგრებულ იქნან პასუხისმგებელი წარმომადგენლები (პრეზიდიუმის ან აღმასკომის წევრები, განყოფილებათა გამგეები, ინსტრუქტორები და სხვა).

11. საანგარიშო კამპანიის ორგანიზაციულად მოწყობის და მიმდინარეობის მთელ პერიოდში, ფართოთ უნდა იქნას გამოყენებული როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური პრესა და აგრეთვე ჩაბმულ უნდა იქნას კამპანიაში მუშგლეხკორების ორგანიზაციის მთელი ქსელი.

12. კამპანიის შედეგების სწორ და ყოველმხრივ აღრიცხვას აქვს ღირსშესანიშნავი მნიშვნელობა ხელისუფლების ორგანოების მომავალში წარმატებით პრაქტიკულ მუშაობისათვის, რისთვისაც სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში დროულად უნდა იგზავნებოდეს სტატისტიკური და ინფორმაციული ჯამლები არსებულ ფორმების მიხედვით.

სრ. საქ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე:
ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი:
შ. მათიკაშვილი.

სახალხო მსაჯულთა არჩევნების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ცირკულიარი

მოკავშირე აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტ. ს. ს. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, ყველა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს და ფოთის ქალაქის საბჭოს

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ სახალხო მსაჯულთა გადარჩევის შესახებ 1927 წლის დეკემბრის 29-ის თარიღითა და 4 №-ით გამოცემული ცირკულიარის შესაცვლელად —დადგენილ იქნეს სახალხო მსაჯულთა არჩევნების შემდეგი წესი:

1. სამაზრო და სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები მოხდეს საბჭოებისა და დეპუტატების მიერ ამომრჩევლების წინაშე საანგარიშო კამპანიის ჩატარებასთან ერთად.

2. სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩასატა[illegible] 1928 წლისათვის—უნდა შეუდგეთ რესპუბლიკანური, სამაზრო და სამაზრო-საქალაქო კომისიების მოწყობას; თვითეული კომისია შესდგება ხუთი წევრისაგან მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის თავმჯდომარეობით, და მაზრის მოსამართლის (ავტონომიურ ერთეულებში—უზენაეს სასამართლოების წარმომადგენელნი), პროკურორის და პროფესიონალური ორგანიზაციის ორი წარმომადგენლის წევრობით.

3. მთელი საორგანიზაციო და მოსამზადებელი კამპანია უნდა დამთავრდეს [illegible] თებერვლის 15-სათვის, ხოლო თვით [illegible] სახალხო მსაჯულობა უნდა დაიწყოს საანგარიშო კამპანიასთან ერთად.

4. შეუდგებიან რა თავის მუშაობას, კომისიებმა უნდა მოახდინონ სახალხო მსაჯულთა რიცხვის განაწილება კანონით დადგენილ ნორმის მიხედვით, შემდეგი ანგარიშით:

ა) ქ. თბილისში, ფოთსა და ბათომში—65 პროც. მუშებისაგან, 5 პროც. გლეხებისაგან, 15 პროც. სამხედრო ნაწილისაგან და 15 მოსამსახურეებისაგან;

ბ) დანარჩენ მაზრებში და არა სამაზრო ქალაქებში—სოხუმსა, ქუთაისსა, ქიათურასა, ხაშურსა, ბორჯომსა, გორსა, სამტრედიასა, თელავსა და ოზურგეთში: 50 პროც. მუშებისაგან, 15 პროც. სამხედრო ნაწილისაგან და 10 პროც. მოსამსახურეთაგან;

გ) დანარჩენ ადგილებში: 65 პროც. გლეხებისაგან, 15 პროც. მუშებისაგან, 10 პროც. სამხედრო ნაწილებისაგან და 10 მოსამსახურეებისაგან.

შენიშვნა: იმ ადგილას, სადაც სამხედრო ნაწილი არ არის, ამ უკანასკნელთათვის დაწესებული სახალხო მსაჯულთა პროცენტი განაწილდება მუშებსა და გლეხებს შორის.

5. თემში სახალხო მსაჯულთა საარჩევნო კამპანიის ჩატარება დაევალება თემის საბჭოს, რომელიც, მიიღებს რა სახალხო მსაჯულთა საარჩევნო კომისიისაგან სახალხო მსაჯულთა რიცხვის დაყოფას, გაანაწილებს მათ სოფლებს შორის.

6. სახალხო მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნეს ყველა მოქალაქე ორივე სქესისა, რომელსაც აქვს საარჩევნო უფლება, გარდა იმ პირთა:

ა) ვინც გამორიცხულია საზოგადოებრივ და პროფესიონალური ორგანიზაციიდან სახელის შემბღალავი მოქმედებისა და ყოფაქცევისათვის და

ბ) ვინც სასამართლოს მიერ გამტყუნებულია სახელშემბღალავი დანაშაულის ჩადენისათვის.

7. გარდა ამა ცირკულიარის მე-6 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნისა, მაზრის სასამართლოს სახალხო მსაჯულს, სახალხო სასამართლოს მსაჯულისაგან განსხვავებით უნდა ჰქონდეს საბჭოთა, პროფესიონალური და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მუშაობის ერთი წლის სტაჟი მაინც.

8. საარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახალხო მსაჯულებათ მუშა და გლეხი ქალების, მოჯამაგირეების და მოჯამაგირე ქალების არჩევას.

9. გარდა ამისა სასამართლოები [illegible]ყოფილ უნდა იქნენ ეროვნულ უმცირესობათაგან არჩეული სახალხო მსაჯულებით.

10. სახალხო მსაჯულთა არჩევნები უნდა მოხდეს საბჭოებისა და დეპუტატების საანგარიშო კრებებზე ამომრჩევლების წინაშე.

11. კომისიები გამოიყენებენ აღმასრულებელი კომიტეტების ტეხნიკურ აპარატს.

12. იუსტიციის სახალხო კომისარიატს ევალება [illegible] ინსტრუქცია ამ ცირკულიარის გასატარებლად.

სრ. საქ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—შ. მათიკაშვილი.

[illegible]

საბჭოთა საქართველო

წერილები

საჭიროა მეტი თვითმოქმედება

როგორც ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, ისე საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ სოფლად საავადმყოფოებისა და საექიმო პუნქტების მოსაწყობად.

ამ მუშაობამ საჭირო ნაყოფი უკვე გამოიღო. დღეს თემების დიდ უმრავლესობაში მოწყობილია საექიმო პუნქტები შესაფერისი საექიმო პერსონალით და აფთიაქით. ამასთან ერთად მთელ რიგ დიდ თემებში გახსნილია საავადმყოფოებიც.

მიუხედავად ამისა, საექიმო დახმარების საქმე სოფლად ჯერ კიდევ ვერ არის სავსებით მოწესრიგებული. არის ისეთი თემები, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი ათის კომლზე მეტია და მათ კი არა თუ საექიმო პუნქტი, არამედ ფერშალიც კი არ ყავთ, რომ ავადმყოფობის დროს დახმარება აღმოუჩინოს. ამის გამო გლეხობა იძულებული ხდება ათი-ხუთმეტი ვერსის მანძილზე იაროს საექიმო დახმარების მისაღებად. კიდევ კარგი, თუ ექიმი გამსჭვალულია ხალხის ჯანმრთელობისათვის ზრუნვით, მაგრამ არიან ისეთი ექიმებიც, რომლებსაც თუ ეტლი, ან ცხენი არ მიართვით, ისე ფეხსაც არ გადასდგამენ ავადმყოფის სანახავათ. ასეთ პირობებში ხელმოკლე გლეხობა ვარდება უხერხულ მდგომარეობაში და ვერ უწევს საჭირო დახმარებას ავადმყოფს.

საექიმო პუნქტის უქონლობა სხვაგვარ ზიანსაც აყენებს გლეხობას. იმ სოფლებში, სადაც ექიმი არ არის, ფართე გასაქანი ეძლევა მკითხაობას და ექიმბაშობას. ამათ ხელში ჩავარდნილი გლეხობა ზარალდება როგორც ეკონომიურად, ისე ჯანმრთელობის დაცვის მხრივაც. სოფლის მკითხავები და ექიმბაშები ხშირად სიცოცხლეს უსპობენ ავადმყოფებს.

ამ მოვლენიდან თავი დასაღწევი საშუალება არის მხოლოდ საექიმო პუნქტებისა და აფთიაქების გახსნა ყველა თემებში, მაგრამ გლეხობა ამ საქმის მოგვარებაში მარტო ხელისუფლების შემყურეთ არ უნდა დარჩეს.

ხელისუფლება შესაძლებლობის ფარგლებში იღებს ყოველგვარ ზომებს სოფლად ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფისათვის. საჭიროა ინიციატივისა და თვითმოქმედების გამოჩენა თვით გლეხობის მიერაც, რომ მათ იკისრონ საექიმო პუნქტისათვის შენობის აგება, პირველ ხანებში ექიმისათვის ჯამაგირის მიცემა და შემდეგში კი, თანდათანობით ჯანმრთელობის დაცვის საქმე უფრო მტკიცე ნიადაგზე მოეწყობა ხელისუფლების მიერ.

გლეხი.

ხარაგოულის სას.-სამ. საკრედიტო ამ. ხანაგობაში

23 იანვარს შესდგა ხარაგოულის სას.-სამ. საკრედიტო ამ-ბის წევრთა წლიური საერთო კრება, რომელმაც მოისმინა ამ-ბის გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენებები.

როგორც გამგეობის მოხსენებიდან გამოირკვა, ამხანაგობაში ირიცხება 697 წევრი. რაიონში შეკავშირებულია მეურნეობათა 16,3 პროც. ყველაზე მეტი წევრი ამხ.-ბაში შედის სოფ. ფარცხნალიდან; ყველაზე ნაკლები—სოფ. ბაბიდან. სრული პაი შეტანილი აქვს 253 წევრს, პაი სრულიად არა აქვს შეტანილი 416 წევრს. ამხანაგობის საშუალებებს შეადგენს სხვადასხვა გვარი თანხები—საერთოდ 13.357 მან. 46 კაპ. რაოდენობით. (აქედან საპაიო ფონდის 4.613 მანეთის და საკუთარი—2.375 მანეთის). სესხები—29.705 მან. 59 კაპ: ანაბარები შეადგენს—1130 მან. 30 კაპ.

ამხანაგობის წლიური შემოსავალი გამოიხატა 14568 მან. 54 კაპეიკში. უმეტეს შემთხვევაში სესხები გაცემულია წმინდა სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ამ მიზნით გაცემულია სულ 26.161 მან. 99 კ. წლის განმავლობაში წევრებზე გაცემულია 30.403 მან. 39 კაპ. საქონელი; აქედან 784 მან. 25 კაპ. მანქანები.

საკრედიტო ამხ-ბა მონაწილეობას იღებს სასოფლო მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციაში. მან საანგარიშო პერიოდში გაყიდა 2.048 ფ. ღვინო, 249 გრადუსი არაყი და 66 ფ. ლობიო.

ამხ-ბის წლიურ ხარჯებს შეადგენს—11.434 მ 8 კაპ. ამგვარად წმინდა მოგება უდრის 1.439 მან. 51 კაპ. მთელი წლის მოგება განაწილებულია შემდეგნაირად: ძირითად თანხაში შედის—25 პროც., სათადარიგოში — 20 პროც. სპეც. საშუამავლო ოპერაციებში—25 პროც., აგრიკულტურულ მუშაობის წარმოების ხარჯში—10 პროც., ღარიბთა ფონდში—15 პროც. და კულტფონდში—5 პროც.

მიმდინარე სამეურნეო წელში ამხანაგობის მუშაობა, როგორც შემუშავებული გეგმიდან ჩანს, უფრო უნდა გაძლიერდეს. ამ გეგმის მიხედვით წლის განმავლობაში სულ უნდა გაიცეს 40.000 მანეთის სესხი. სესხების უმეტესი ნაწილი გაიცემა მუშა-საქონლის შეძენაზე და მეხილეობა-მევენახეობის განვითარებისათვის. ამავე გეგმით ამხ-ბა ითვალისწინებს მიწოდება-გასაღების ოპერაციების წარმოებას. სულ ამხ.-ბას განზრახული აქვს წევრებისათვის 45100 მანეთის საქონლის მიწოდება და 28000 მანეთის სოფლის ნაწარმოების გასაღება.

კ. კ.

წერილებიდან

თმ. აღმასკომი უნდა დაგვეხმაროს

ს. ანთოკი, თბილისის მაზრა

ამ სოფლის გლეხობა დიდ გაჭირვებას განიცდის სასმელი წყლის უქონლობის გამო. არის ერთი ჭაობი, რომელიც სავსეა ყოველგვარი სიბინძურით. აქ ყოველ დროს რიგებია გამართული და ქალები იძულებული ხდებიან ძუძუმწოვარი ბავშვებიც თან წამოიყვანონ. გლეხობა მოითხოვს დახმარებას წყლის გამოყვანისათვის. ვფიქრობთ, რომ თბილისის აღმასკომი მიიღებს სათანადო ზომებს და იხსნის ანთოკის გლეხობას გაჭირვებისაგან.

გ. თამაზაშვილი.

მცირეჯამაგირიანები შეამცირეს

ქ. სიღნაღი

კომუნალურ განყოფილების მაღაზიებში ამასწინედ დაითხოვეს სამი მცირეჯამაგირიანი და მასთან ძალზე გაჭირვებული თანამშრომლები. ამავე დროს დარჩნენ ისეთები, რომელთაც მდიდარი ოჯახი და გაქირავებული სახლები აქვთ. ერთ-ერთი მაღაზიის გამგე, რომელიც თვეში იღებს 85 მანეთს, აქვს სიღნაღში გაქირავებული რამდენიმე სახლი.

ნუ თუ არ შეიძლებოდა ამ გამგის შემცირება დათხოვნილ სამი თანამშრომლის ხარჯზე?

შილაშინი.

შეფი გვეხმარება

ს. ბაგები, თბილისის მაზრა

გასული წლის ნოემბრიდან ჩვენ სოფელზე შეფობა იკისრა პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბის მუშა-მოსამსახურეებმა. შეფი სისტემატიურად გვაწვდის ჟურნალ-გაზეთებს, მოწაფეებს ურიგებენ წიგნებს, რვეულებს, ფანქრებს და სხვა. შეფის ხელმძღვანელობით გადაწყვეტილია გახსნან კოოპერატივი და სამკითხველო.

გლეხობა მადლიერია საშეფო კომისიის საქმიანობით.

გლეხი რ. შახულოვი.

გვჭირდება საექიმო პუნქტი

ყანდაურას თემი, სიღნაღის მაზრა

ხსენებულ თემში 1.700 კომლამდის მცხოვრები ითვლება. გლეხობა ძლიერ შევიწროებულია საექიმო პუნქტის უქონლობით. აქაურ გლეხობას ათი ვერსის მანძილზე უხდებათ წასვლა ექიმისათვის ს. კაკაბეთში. ეს გარემოება ფართე გასაქანს აძლევს მკითხავებს და ექიმბაშებს.

საჭიროა ჯანმრთელობის სამაზრო განყოფილებამ იზრუნოს ს. ყანდაურაში საექიმო პუნქტის გახსნისათვის.

კ. მიქორაშვილი.

მუშათა ცხოვრება

გაჩუმება არ შეიძლება

თბილისში რამოდენიმე ალაგას გამართულია აზარტული სათამაშოები: „ბულო", „პტიშო", კარტი და სხვა.

რამდენი მუშა, მოხელე, თუ მოსწავლე თვალცრემლიანი და ჯიბეცარიელი ბრუნდება ამ სათამაშოებიდან, რამდენი დედის, ცოლის და ბავშვების ცრემლები დაიღვრება ამ სათამაშოების წყალობით, როცა ქმარი, შვილი, ან მამა იქ აგებს მთელ თავის ჯამაგირს და ბრუნდება შინ მშიერი და ჯიბეცარიელი. რამდენი ენერგიული მუშა-მოხელე, სუსტი ხასიათის გამო, უბედურდება ამ სათამაშოების გამო.

რამდენი მათგანი ამოყოფს თავს გიჟსახლში, რამდენი თვით ისპობს სიცოცხლეს აუტანელი სირცხვილის გამო. ვინ დასთვლის.

დღეს ოჯახის მარჩენალმა ჯამაგირი უნდა აიღოს. სულ რაღაცა სამოციოდე მანეთი. უნდა მოიტანოს მან სახლში. მას ელოდება ცოლშვილი. დიასახლისს ფიქრში უკვე განაწილებული აქვს ფული, მაგრამ მუშა არ ჩანს, იგვიანებს... ის შეუხვევია აზარტიულ სათამაშოში და მთელი ჯამაგირი წაუგია. გათენებისას მოვიდა სახლში დაღლილ-დაქანცული. ცოლს ყველაფერში გამოუტყდა, მაგრამ მშიერ ბავშვებს რა ეშველება. მეპურე და მერძევე ხომ აღარ ენდობა ნისიას.

მეორე დღეს მამა მიდის სამუშაოზე.

როგორია ამის შემდეგ მისი მუშაობა ქარხანაში. ზარალობს თუ არა სახელმწიფო? რასაკვირველია ზარალობს.

შეადარეთ ის სარგებლობა, რასაც ქალაქის აღმასკომი ღებულობს ამ სათამაშო ადგილებიდან იმ ხარჯებს, რასაც იწვევს ამ თამაშით გაუბედურებული მუშა-მოსამსახურეების ოჯახები და ადვილად დარწმუნდებით, რომ მეორე ხარჯი უფრო დიდია. აქ გაჩუმება აღარ შეიძლება. ასეთი სათამაშო ალაგები დაუყოვნებლივ უნდა დაიკეტოს. ამას მოითხოვს ქალაქის მშრომელთა ინტერესები. ქალაქის საბჭომ აქ უნდა სთქვას თავისი ავტორიტეტული სიტყვა.

ს. დოლიძე.

დაჯილდოების ღირსია

ასეთი მოხელეები, რომლებიც რკინის გზებზე თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ და ხშირად გადაარჩენენ ხოლმე განადგურებას რამოდენიმე ათასი მანეთის სახალხო დოვლათს. რკინის გზ. გამგეობამ უნდა დააჯილდოოს და წაახალისოს. ეს ზომები მუშა-მოსამსახურეებს დააინტერესებს და უფრო მეტ ენერგიას გამოიჩენენ სამსახურის შესრულების დროს.

გასული წლის 16 დეკემბერს, სად. შეუქ-კისაკუში შემოწმებების წარმოებისა და მატარებელი № 114 მისვლის წინ, მორიგი სადგურის თანაშემწემ მიხეილ ბიდენკომ აღმოაჩინა გამსკდარი რელსი იმ ლიანდაგზე, რომელზეც მიღებული იყო მომავალი მატარებელი № 114. მოქ. ბიდენკომ მიიღო სასწრაფო ზომები, გაანთავისუფლა სხვა დაკავებული ლიანდაგი და მასზე მიიღო მატარებელი.

ამრიგად მატარებელი გადარჩა მოსალოდნელ დამსხვრევას და ზარალი და ადამიანის მსხვერპლი აცილებულ იქნა თავიდან.

სამართლიანი იქნებოდა, რომ რკინის გზის გამგეობამ სადგურის უფროსის თანაშემწე ამხ. ბიდენკო ასეთ მუყაითობის გამოჩენისათვის დააჯილდოოს რამით. ეს წააქეზებდა რკინიგზის სხვა მოხელეებსაც.

ს—ლი.

ჩვენს მუშკორებში

გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა უკანასკნელმა კრებამ ფრიად საყურადღებო საკითხები განიხილა. კრებამ პირველ რიგში მოისმინა ამხ. ს. დოლიძის მოხსენება ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობის შესახებ. ამხ. დოლიძე ექიმი არ არის, მაგრამ მან თავისი პირადი გამოცდილებით საკმაოდ ფართოდ გააცნო მუშკორებს ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობის მნიშვნელობა. მუშკორები დიდის ყურადღებით ისმენდენ მოხსენებას მით უმეტეს, რომ მათ დათვალიერებული ჰქონდათ თბილისის ფიზიკური მეთოდებით სამკურნალო ინსტიტუტი.

შემდეგ კრებამ მოისმინა მოკლე მოხსენება გლეხის მეურნ. განმტკიცების სესხის რეალიზაციის შესახებ. მომხსენებელმა გააცნო სესხის მნიშვნელობა და მოუწოდა მუშკორებს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ სესხის ობლიგაციების გავრცელებაში, აუხსნან გლეხებს სესხის მნიშვნელობა და მისცენ ყოველგვარი ახსნა-განმარტება სესხის შესახებ. კრებამ ერთსულოვნად გამოსთქვა სურვილი ხელი შეუწყოს სესხის რეალიზაციას. თავის მხრივ მუშკორთა კრებამ დაადგინა **გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა ორგანიზაციის სახელზე შეიძინოს 50 მანეთის ობლიგაცია.**

დასასრულ კრებამ განიხილა ამხ. ს. დოლიძის მიერ წამოყენებული საკითხი თბილისის აზარტიული სათამაშოების დახურვის შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ აღნიშნული სათამაშო ადგილები სცნო მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შემაფერხებელ ადგილებად და დაადგინა თბილისის საბჭოსთან ერთად ჩაატაროს კამპანია ამ სათამაშოების დასახურავად, რისთვისაც მუშკორებმა უნდა გააშუქონ გაზეთში სათამაშო ადგილების ყველა უარყოფითი მხარეები.

ნ. მ.

მუშკორთა წერილებიდან

მიაქციეთ ყურადღება. სომხის ქ. სახლი ნომერი 49—ეკუთვნის ვინმე ფრიხელს, რომელიც მიუხედავათ იმისა, რომ საკმაოდ დიდი შემოსავალი აქვს, არავითარ ყურადღებას არ აქცევს სახლს. სახლის სახურავი დაზიანებულია და წვიმის დროს კოკისპირული წყალი ჩამოდის, სახლის პატრონი კი მის შესაკეთებლად თავს არ იწუხებს. აღმასკომო, შენ მაინც მიაქციე ყურადღება აღნიშნულ სახლს.

წითელი.

სად არის მაგიდის გამგე? მე-10-თე სამილიციო უბნის სამხედრო მაგიდის გამგე ძალიან გვიან მოდის სამსახურში. აღრიცხვაზე მოსული მოქალაქენი ხშირად, როცა მოსწყინდებათ ხოლმე ლოდინი, უკან ბრუნდებიან.

მახვილი.

ცივი აბანო. (ქუთაისი). ქუთაისის ქალაქის აბანოში ძალზე ცივა. არც ორთქლის და არც ცეცხლის საშუალებით მას არ ათბობენ.

მესხოლი.

დაზღვეული ვაჭარი. სად. რიონის ცნობილი ჩარჩი, მოქ. ნიკ. ხერიძე, დაზღვეულია და სარგებლობს ყოველგვარი შეღავათებით როგორც პროფკავშირის წევრი. ამას წინად მისი ცოლი ერთი თვე იწვა საავადმყოფოში დამზღვევ სალაროს ხარჯზე. მართალია ნ. ხერიძის შვილი საბჭოთა მოსამსახურეა, მაგრამ რა შუაშია აქ დედა, როდესაც მისი ქმარი ვაჭარია და შეუძლიან არჩინოს თავისი ცოლი?

№ 6—06.

ღარიბ ებრაელთა შორის

საინტერესო კრება

(წერილი ქუთაისიდან)

19 იანვარს, ყოფილ კინო ეთერის შენობაში, შესდგა ქუთაისში მცხოვრებ ღარიბ ებრაელთა მასიური კრება, რომელსაც დაესწრო ოთხასამდე ღარიბი ებრაელი. კრებას თავმჯდომარეობდა ღარიბ ებრაელთა ბიუროს თავმჯდომარე ამხ. კაპიტონ კალანდაძე. ებრაელთა უბნის სანიტარულ მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ექიმი მაკარაშვილი, რომელმაც მოკლედ და მარტივად განუმარტა კრებას ხელისუფლების ღონისძიებანი ამ დარგში და მოუწოდა ყველას ებრძოლონ ანტი-სანიტარულ მდგომარეობას, დამსწრე ღარიბმა ებრაელობამ აღფრთოვანებით მიიღო ექიმის წინადადება.

შემდეგ ფიზიოთერაპევტიული ინსტიტუტის ქუთაისში მოწყობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ექიმი მინოშვილი, რომელმაც ვრცლად დაახასიათა ინსტიტუტის მნიშვნელობა და ყველა დადებითი მხარეები. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა მის დახმარებას მშრომელ ღარიბ ებრაელებისათვის და აუცილებელ საჭიროთ სცნო ქუთაისში ამ ინსტიტუტის მოწყობა. პირველ რიგში კი რენტგენის კაბინეტის დაარსება. მოხსენების ირგვლივ კრებამ ერთხმად მიიღო შესაფერი დადგენილება.

ღარიბ ებრაელთა ბიუროს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კალანდაძემ, რომელმაც გააცნო კრებას ბიუროს მუშაობა და აღნიშნა მთელი რიგი მიღწევებისა ბიუროს მუშაობაში. კრებამ ბიუროს მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

ქუთაისელი.

თბილისის ებრაელთა უბანი

28 იანვარს, შესდგა თბილისის ქართველ ებრაელთა უბანში მუშკოოპის წევრთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 200 ებრაელი. დღის წესრიგში იყო: მუშკოოპის გამგეობის ანგარიში, რწმუნებულების არჩევა და ებრაელთა უბნის სადუქნო კომისიის მოხსენება.

მუშკოოპის გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ს. ხვედელიძემ, რომელმაც გააცნო კრებას გამგეობის მუშაობა და აღნიშნა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

გამგეობის მუშაობა კრებამ ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად.

კრებამ მოისმინა აგრეთვე სადუქნო კომისიის მოხსენება თავისი მუშაობის შესახებ, რის შემდეგ კრებამ აირჩია მუშკოოპის რწმუნებულები 5 კაცის შემადგენლობით და სადუქნო კომისია ცხრა კაცის შემადგენლობით. იმედია ახლად არჩეული სადუქნო კომისია და რწმუნებულები პირნათლად შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

ა. გულუაშვილი.

სამზადისი 23 და 25 თებერვლის დღესასწაულისათვის

დღესასწაულის ჩამტარებელ კომისიის სხდომა

გუშინ საღამოს ამხ. ახრიბეკოვის თავმჯდომარეობით შესდგა წითელი არმიის ათი წლის თავის და საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავის ჩასატარებლად მოწყობილ ცენტრალურ კომისიის სხდომა, რომელზედაც გამომუშავებულ იქნა ამ ორი დღესასწაულის ჩატარების გეგმა.

კომისიის დადგენილებით,—ქალაქში ეწყობა სარაიონო კომისიები, რომლებიც იმუშავებენ ცენტრალური კომისიის ხელმძღვანელობით.

სამზადისი დღესასწაულების ჩასატარებლად დაიწყება 6 თებერვლიდან. ამ დღიდან საგანგებოდ მოწყობილი მუშათა კომისიები ჩაატარებენ წითელ ყაზარმების, წითელ არმიელთა ნივთიერი მდგომარეობის, ყოფა-ცხოვრების, წითელი ჯარის უფროსთა შემადგენლობის საბინაო პირობების გამოკვლევას და სხვა.

20 თებერვლიდან 24-მდე ოთხ მთავარ მუშათა კლუბში გაიმართება მუშა-მოსამსახურეთა ფართო კრებები წითელარმიელთა და ავიაქიმის წევრთა მონაწილეობით. კრებებზე წაკითხულ იქნება მოხსენებები წითელი არმიის ათი წლის თავისა და საქართველოს გასაბჭოების შესახებ.

23 თებერვალს გაიმართება მუშა-მოსამსახურეთა მასიური ექსკურსიები ყაზარმებში, წითელი არმიის და ფლოტის კლუბში.

თებერვლის პირველ რიცხვებიდან, ვიდრე 25 თებერვლამდე იწარმოებს კომკავშირის სამხედრო მომზადების შემოწმება. 24 თებერვალს გაიმართება თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების და ავიაქიმის უჯრედების მონაწილეობით.

25 თებერვალს მოეწყობა წითელი ჯარის აღლუმი და მასიური მუშათა დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობას მიიღებენ ფიზკულტურის წრეები, ავიაქიმის უჯრედები თავისი რაზმებით. დემონსტრაცია მოეწყობა რაიონების მიხედვით სარაიონო კომისიების ხელმძღვანელობით.

პოლიტგანის ორგანოების მონაწილეობა დღესასწაულში

საქართველოს პოლიტგანათლების მთავარმმართველობამ წითელი ჯარის შექმნის 10 წლის და საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავის დღესასწაულების ჩასატარებლად შეიმუშავა ფართე გეგმა და სახელმძღვანელოდ გაუგზავნა მაზრებს. გეგმის მიხედვით მაზრის პოლიტგანათლების განყოფილებებს და სოფლის სამკითხველოებს წინადადება ეძლევა მჭიდროთ დაუკავშირდნენ მაზრებში და თემებში დღესასწაულების ჩამტარებელ კომისიებს.

მაზრის პოლიტგანებს ევალება 20 თებერვლიდან შეუდგენ სადღესასწაულო კვირეულის ჩატარებას და კვირეულის განმავლობაში ადგილობრივ კლუბებსა, სამკითხველოებსა და სკოლის შენობებში მოაწყონ მოხსენებები, საუბრები და თავდაცვის და ქიმიურ-ავიაციის საღამოები შემდეგ თემებზე: „წითელი არმიის ისტორია", „ლენინი წითელი არმიის შესახებ", „წითელი არმია, როგორც პროლეტარული რევოლუციის იარაღი", „წითელი არმია და „საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავი".

სამხედრო პროპაგანდის დარგში მუშაობის გაძლიერებისა და გლეხების ფართო მასებში სამხედრო ცოდნის გავრცელების მიზნით, წითელი არმიის 10 წლის თავის აღსანიშნავად სამკითხველოებთან უნდა გაიხსნას სამხედრო კუთხეები, მსროლელთა და სამხედრო წრეები.

სოფლის სამკითხველოებმა უნდა შეიძინონ სამხედრო ლიტერატურა, პირველ რიგში სახელგამის მიერ გამოცემული სამხედრო ბიბლიოთეკა და უსათუოდ გამოიწერონ „წითელარმიელი". ამის გარდა სოფლის სამკითხველოებმა უნდა მოაწყონ თავიანთი მიღწევათა გამოფენა.

დრამატიულ და მუსიკალურ წრეებს, რომლებსაც ხელმძღვანელობენ პოლიტგანათლების განყოფილებები ან სოფლის სამკითხველოები, ევალება კვირეულის განმავლობაში უფასოთ მოაწყონ შესაფერი წარმოდგენა-კონცერტები.

წ.-კ. მცირემცოდნეობის, წ.-კ. უცოდინართა და პოლიტგანათლების მოძრავ სკოლებში საუბრები უნდა მოეწყოს შემდეგ თემებზე: „წითელი არმიის როლი და მნიშვნელობა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში".

პოლიტგანათლების ადგილობრივ განყოფილებებს, სოფლის სამკითხველოებს, ქალთა წრეებს, პირველ დახმარების წრეებს და პოლიტგანათლების სხვა ორგანიზაციებს ევალებათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ წითელი ჯარის 10 წლის თავზე—23 თებერვალს და საქართველოს გასაბჭოების 7 წლისთავზე—25 თებერვალს გამართულ დემონსტრაციებში.

მზადება 7 საათის სამუშაო დღეზე გადასასვლელად

ს. მ. უ. ს. შრომის ეკონომიკის განყოფილებაში საქართველოს მრეწველობაში 7 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

საკავშირო ს. მ. უ. ს. განკარგულების თანახმად ყველა მოკავშირე რესპუბლიკების ს. მ. უ. საბჭოებმა დაუყოვნებლივ უნდა შეადგინონ ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმები. ამ გეგმებში ერთი უმთავრესი ადგილი უკავია მრეწველობაში 7 საათის სამუშაო დღის შემოღების საკითხს. საქართველოს ს. მ. უ. ს.-თან დაარსდა საპერსპექტივო გეგმების შემმუშავებელი სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან ამხ. ვ. ავაქოვი (თავმჯდ.), ამხ. ერზინკიანი, ა. კანდელაკი, ნ. ელიავა, გ. წულუკიძე, ნ. პოლოვინკო და ჯანელიძე.

იმ მიზნით, რომ საპერსპექტივო გეგმები შემუშავებული იქნეს სრულიად უნაკლოდ, საჭირო გახდა, რათა ყველა წარმოებებს და ფაბრიკა-ქარხნებს თავისი მომავალი მუშაობის გეგმები შეადგინონ შემცირებული სამუშაო დღის საფუძველზე. 7 საათის სამუშაო დღე განსაზღვრავს აგრეთვე ჩვენი მრეწველობის პროდუქციის რაოდენობას და მისი ბაზარზე გამოტანის ინტენსივობას. ყველა წარმოებებს წინადადება აქვთ მიცემული 4 თებერვლამდე წარმოადგინონ საბოლოოდ დამუშავებული წინასწარი ცნობები ადგილობრივად 7 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ.

ყველა ცნობების შეკრების შემდეგ ს. მ. უ. ს.-თან არსებული საპერსპექტივო გეგმის შემმუშავებელი კომისია გამოიმუშავებს გეგმას, თუ სად ან რომელ დაწესებულებებში არის შესაძლებელი გადასვლა შემცირებულ სამუშაო დღეზე.

2.960.000 მანეთი წყალთა მეურნეობის სამუშაოთათვის

საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოში მიღებულია ცნობა, რომ საკავშირო საგეგმო კომისიამ დაამტკიცა, საქ. წყალთმეურნეობის სამმართველოს გეგმა, მიმდინარე სამეურნეო წლის სამუშაოთათვის თანხების გაღების შესახებ. სულ აღნიშნული გეგმით წყალთა მეურნეობის სამუშაოებზე წელს უნდა დაიხარჯოს 2.960.000 მანეთი.

მიმდინარე წლის სამუშაოები დანაწილებულია ორ დარგათ. პირველ დარგში შედის საგამოკვლევო სამუშაოები, როგორიცაა ყარაიას ველის მესამე უბნის მორწყვა, ფოთის ჭაობების ამოშრობა, სამგორის ველის მორწყვა და სხ. ყარაიას ველის მესამე უბნის მოსარწყავ სამუშაოების გამოსაკვლევად წელს უნდა დაიხარჯოს 35.000 მანეთი, ფოთის ჭაობების ამოსაშრობ სამუშაოთა გამოსაკვლევათ—60.000 მანეთი, სამგორის ველის დამატებითი გამოკვლევისათვის 25.000 მანეთი და საინჟინერო დაკვირვებების მოსაწყობათ 40.000 მანეთი (ჰიდრო-გეოლოგიური, ეკონომიური და ჰიდრომეტრიული დაკვირვებების მოსაწყობათ.).

აღმშენებლობის დარგში გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი ხარჯები: ფოთის ჭაობების ამოსაშრობათ—100.000 მან., ალაზნის ველის მოსარწყავად—1.000.000 მანეთი იმ ანგარიშით, რომ 1-ლ მაისს უნდა ამუშავდეს მთელი სარწყავი სისტემა, მაშველეს და 1-ლ საბჭოთა არხის სამუშაოებისათვის—125.000 მანეთი, ტირიფონის ველის მოსარწყავად, სადაც შესრულებული უნდა იქნეს საბოლოო სამუშაოები—600.000 მან. წვრილი აღმშენებლობისათვის (სასოფლო წყალსადენები და სხ.)—195.000 მანეთი; კრედიტების სახით მელიორაციისათვის წლის განმავლობაში გაცემული იქნება 500.000 მან. და ახალ სამშენებლო სამუშაოთა საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯებისათვის—180.000 მანეთი.

გეგმა საბოლოო დასამტკიცებლათ წარდგენილია საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოში.

ახალი იაფი საამშენებლო მასალა

სამ.-ოსეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს სპეციალისტებმა ამ რამოდენიმე ხნის წინად სოფელ კულბითში (ცხინვალის მახლობლად) აღმოაჩინეს იაფი საამშენებლო მასალის—ე. წ. ტუფის მდიდარი მადნები. ტუფი წარმოადგენს თიხისებურ საამშენებლო მასალას, აქვს მარმარილოს ქვის გამძლეობა და მისგან შენობების აგება ჯდება გაცილებით უფრო იაფი, ვიდრე ქვით ან აგურით. სოფელ კულბითის ტუფის მადნების მარაგი უდრის რამოდენიმე მილიონ ფუთს.

სამ. ოსეთის სახ. მეურნეობის საბჭომ ტუფის ნიმუშები გადმოგზავნა ს.მ.უ.ს. სამთო განყოფილებაში, სადაც უნდა ჩაატარონ ამ მასალის გამოცდა და მათი შემოწმება იმ მხრივ, თუ რამდენად შეეფერება იგი საქართველოს კლიმატურ პირობებს. ს.მ.უ.ს-ში მომუშავე ზოგიერთი სპეციალისტები ფიქრობენ, რომ კულბითის ტუფი საუკეთესო ხარისხისაა და იგი სრულიად გამოსადეგი იქნება, როგორც საბინაო მშენებლობაში, ისე ახალი ფაბრიკა-ქარხნების ასაგებად.

ცდების შედეგების გამორკვევის შემდეგ გადაწყვეტილი არის დაუყოვნებლივ დაიწყოს საექსპლოატაციო მუშაობა.

სახალხო მსაჯულთა არჩევნები

სახ. მსაჯულთა არჩევნების ჩასატარებლად დაარსებულია სამაზრო და სამაზრო-საქალაქო კომისიები 5 წევრის შემადგენლობით—აღმასკომის პრეზიდიუმის წევრის თავმჯდომარეობით, მაზრის სასამართლოს, პროკურორის და პარტორგანიზაციის ორი წარმომადგენლებისაგან. თბილისის მაზრაში არჩევნები დაიწყო 1 თებერვლიდან. თემებში საარჩევნო კამპანიის ჩატარება დაკისრებული აქვს თემის აღმასკომებს.

სახალხო მსაჯულად სასამართლოს წყობილების დებულებით შეიძლება არჩეულ იქნეს ყველა მშრომელი მოქალაქე ორივე სქესისა, რომელსაც აქვს საარჩევნო უფლება, თუ ის შებღალული არ არის არც სასამართლოს განაჩენით და არც საზოგადოებრივი ან პროფორგანიზაციების დადგენილებით. გარდა ამისა, სახ. მსაჯულნი სამაზრო სასამართლოსათვის უნდა არჩეულ იქნენ იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც აქვთ ერთი წლისაზე არა ნაკლები სტაჟი სახელმწიფო, პროფესიონალური ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებში მუშაობისა; მათ შორის სპეციალურად სამოქალაქო საქმეების განხილვაში მონაწილეობისათვის არჩეულ უნდა იქნენ ისეთი პირები, რომელნიც მუშაობენ სამეურნეო, სახელმწიფო და კოოპერატიულ დარგში.

სახ. მსაჯულები სასამართლოს აკავშირებენ და აახლოვებენ მუშა და გლეხთა მასების ფართო ფენებთან და ამაში გამოიხატება მათი სასამართლოს საქმეებში მონაწილეობის ძირითადი მნიშვნელობა როგორც პროლეტარულ სასამართლოს ინტერესების, ისე საერთო პოლიტიკურ თვალსაზრისით.

სასამართლოს აპარატის გამარტივება, მისი დაახლოვება მოსახლეობის ფართო მასებთან, სასამართლოში არსებულ ბიუროკრატიზმსა და საქმეების გაჭიანურებასთან ბრძოლა, ხოლო ამასთან დაკავშირებით სასამართლოს მნიშვნელობისა და ავტორიტეტის გაძლიერება მოითხოვს მშრომელთა ფართო მასების ცხოველ მონაწილეობას.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) მე-15 ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა სასამართლოს ძირეულ ორგანოთა მუშაობის გაუმჯობესება-გადახალისება და ყოველგვარ ბიუროკრატიულ სიმახინჯეებთან ბრძოლის გაძლიერება. სახალხო მსაჯულთა სახით პროლეტარულ სასამართლოს საუკეთესო გარანტია აქვს, რათა იგი არ მოსწყდეს მუშურ-გლეხურ მასებს, რომელთაც ემსახურება, ვინაიდან სახ. მსაჯულნი სასამართლოში მოდიან წარმოებიდან ან გლეხურ მეურნეობიდან, მონაწილეობას ღებულობენ პროლეტარულ მართლმსაჯულობაში მუდმივ მოსამართლესთან ერთად და მასთან თანასწორად, გამოუკლებლივ ყველა საქმეებში როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო და მთელ ჩვენს სასამართლოს სისტემაში—პროცესის დასაწყისიდან მის დაბოლოებამდე, სახ. სასამართლოდან დაწყებული და გათავებული უმაღლეს ინსტანციით.

მეორეს მხრით, ასრულებენ რა სახ. მსაჯულთა მოვალეობას და მონაწილეობენ რა ყოფა-ცხოვრების ან სასამართლოს სხვა საქმეების გადაწყვეტაში, მუშები და გლეხები პრაქტიკულად ეცნობიან ჩვენს უფლებას, ემზებიან სახელმწიფო ორგანოების მუშაობაში. ამხ. ლენინი ამბობდა: „სასამართლო სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობაში ღარიბთა ჩამბმელი ორგანო არის; სასამართლოს მოქმედება ერთ-ერთი ფუნქცია არის სახელმწიფო მმართველობისა, სასამართლო პროლეტარიატის და ღარიბესი გლეხკაცობის ხელისუფლების ორგანოა, სასამართლო დისციპლინის აღზრდის იარაღია".

წელს სახ. მსაჯულთა არჩევნები მოხდება ფაბრიკაში, სოფელში, წითელ ყაზარმაში და დაწესებულებებში მუშათა, გლეხთა, წითელ არმიელთა და მოსამსახურეთა ღია კრებებზე, რითაც ამომრჩეველთა მასსა უფრო ახლოს გაეცნობა პროლეტარულ სასამართლოს ამოცანებს და წამოყენებულ კანდიდატთა შეგნებულ შერჩევით სასამართლო მიიღებს უფრო აქტიურ მსაჯულებს. სახ. მსაჯულებად უნდა იქნენ არჩეული ისინი, ვინც ამომრჩეველ მასების ნდობა დაიმსახურა თავის მუშაობით, მშრომელთა ინტერესებისადმი თავდადებით და მუშათა კლასის ინტერესების სწორად გაგებით. საარჩევნო კრებებზე საჭიროა, რათა საკანდიდატო სიების გარჩევამდე სასამართლოს პასუხისმგებელმა მუშაკებმა გააკეთონ: საანგარიშო მოხსენებები სახ. სასამართლოს მოქმედებაზე და მასში სახ. მსაჯულთა მონაწილეობაზე წარსულ წელში, მოხსენებები სახ. მსაჯულთა ინსტიტუტის დანიშნულებაზე და მნიშვნელობაზე, წაკითხულ იქნეს 1928 წლისათვის სახ. მსაჯულთათვის განაწესის პროექტი.

თუ მუშები და გლეხები ნათლად წარმოიდგენენ იმას, თუ რისთვის ირჩევენ ისინი სახ. მსაჯულებს, ისინი ადვილად გაიგებენ, რომ ასეთებათ უნდა შერჩეულ იქნან ამხანაგები, უფრო აქტიური, ერთგულნი პროლეტარულ რევოლუციისადმი, სათანადოთ გარკვეულნი თანამედროვე პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში, ამხანაგები, რომელთაც ყველაზე უფრო შეეძლებათ დაუკავშირონ სასამართლო ფაბრიკის ან გლეხურ მეურნეობის ცხოვრებას, რომელსაც ისინი ჩამოსცილდებიან მხოლოდ რამოდენიმე დღით. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება, რომ სასამართლომ კარგათ გაითვალისწინოს მუშათა და გლეხთა საჭიროებანი და დაიცვას მათი ინტერესები. აუცილებელია აგრეთვე წელს კამპანიის ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, რათა მუშა, გლეხი და მოჯამაგირე-ქალები და მოჯამაგირეები ფართოთ იქნენ ჩაბმული სასამართლოს მუშაობაში.

ახარჩევ სახ. მსაჯულთა სოციალური შემადგენლობა როგორც თბილისის მაზრისათვის, ისე თვით ქ. თბილისისათვის დამაკმაყოფილებელია. ქ. თბილისში სახ. მსაჯულთა შემადგენლობა დაწესებულია მუშებიდან 65 პროც., გლეხებიდან 5 პროც., სამხ. ნაწილებიდან 15 პროც. და მოსამსახურეებიდან 15 პროც., თემებში: გლეხებიდან 65 პროც., მუშებიდან 15 პროც., სამხ. ნაწილებიდან 10 პროც. და მოსამსახურეებიდან 10 პროც., ამნაირად სახალხო მსაჯულთა უდიდესი მასსა მუშურ-გლეხურია.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ თბილისის მუშები და თბილისის მაზრის თემები და სოფლები მიმდინარე წელს აირჩევენ შეგნებულ და უნარიან სახ. მსაჯულებს, როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს და ამით მაგალითს მისცემენ ჩვენი რესპუბლიკის დანარჩენ მასებს.

ს. ხარაბაძე.

საქ. ცაკში

გლეხის სასახლეში

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში წარმოდგენილი სტატისტიკური ცნობების მიხედვით იანვარში საქართველოს სხვადასხვა მაზრებიდან და ავტონომიური რესპუბლიკებიდან თბილისში ჩამოვიდა და გლეხის სასახლეში გაათია ღამე 1.147 გლეხმა. იმათგან თბილისში იყო ჩამოსული პირად საქმეზე 1.269 გლეხი, საექიმო—77 და სოფლებიდან და თემებიდან სხვადასხვა ყრილობებზე და კონფერენციებზე დელეგატებათ გამოგზავნილი იყო—127 გლეხი. ეროვნების მიხედვით გლეხის სასახლეში ჩამოსულ გლეხებში ქართველი იყო 1.155 კაცი, რუსი—96, სომეხი—91, თათარი—80 და სხვა ეროვნების 51. გასულ თვეში (იანვარში) გლეხის სასახლემ უფასოთ გაათევია ღამე—680 გლეხს, ასადილა უფასოდ—249, ფასდაკლებით მისცა სადილი—85, უფასო ამბულატორიული საექიმო დახმარება აღმოუჩინა 124, საავადმყოფოში მოაწყო 40, უფასოდ მისცა იურიდიული რჩევა-დარიგება 36, უფასოთ დაურიგა სასოფლო-სამეურნეო ხასიათის წიგნაკები—145, გლეხის სასახლემ თავის აბანოში უფასოთ აბანავა—1.016, და ფულით დახმარება აღმოუჩინა—9 გლეხს. ამ დროის განმავლობაში გლეხის სასახლის ბაქში გაიარა 542 გლეხის ურემმა, 37 „ტაჩკამ" და 1623 სულმა საქონელმა. იანვარში გლეხის სასახლემ გლეხებისათვის 23-ჯერ მოაწყო მოხსენებები, ლექციები და საუბრები. ამ მოხსენებებს, ლექციებს და საუბრებს დაესწრო 2.543 გლეხი, მოაწყო კინო-სურათი 10 ჯერ. კინო-სურათებს დაესწრო—1.819 გლეხი, იანვარში მოსკოვიდან და სხვა ქალაქებიდან გადმოცემული იქნა რადიო-კონცერტები, ამ კონცერტებს დაესწრო—2.199 გლეხი. იანვარში გლეხის სასახლის სამკითხველოთი ისარგებლა 740 გლეხმა, გლეხის სასახლემ ზემო-აღნიშნულ თვეში მოაწყო ორი ექსკურსია. ამ ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო—70 გლეხმა.

ა. კ. სახკომსაბჭოში

შეღავათები ლენინაკანის საფეიქრო ფაბრიკას

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ შეუძლებლად სცნო გაგრძელებული იქნეს კიდევ ერთი წლით შეღავათიანი ტარიფი, რომელიც დაწესებული იყო ლენინაკანის საფეიქრო ფაბრიკისათვის 1926 წლის 1-ლ ოქტომბრიდან 1927 წლის 1-ლ ოქტომბრამდი.

თათბირი წყალით სარგებლობის საკითხზე

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ ნება დართო ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მოიწვიოს ა. წ. 1-ლ მარტისათვის თათბირი წყალით სარგებლობის საკითხებზე.

მეტრიული სისტემის გატარება

მეტრიული საზომების შემდგომი რეალიზაციისათვის ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დააარსა ამიერ-კავკასიის ზომა-წონის პალატა და წინადადება მისცა მას მიიღოს გადამწყვეტი ზომები საზომების დაჩქარებით რეალიზაციისათვის.

შრომის კანონთა კოდექსის შევსება

ა.-კ. ცაკმა და ა.-კ. სახკომსაბჭომ მიიღეს დადგენილება შრომის კანონთა კოდექსის შევსების შესახებ მე-93 მუხლით. მიღებული მუხლის თანახმად, დაქირავებულ შრომის გამოყენების ნიადაგზე აღმოცენებულ დავაზე ვრცელდება საერთო-სამოქალაქო სამწლიანი ხანდაზმულობა.

სარჩელის ხანდაზმულობა იმ საქმეებზე, რომლებიც ეხება თანამდებობაზე აღდგენას და ზედმეტი მუშაობის გასამრჯელოს მიცემას, განსაზღვრულია ექვსი თვით სარჩელის უფლების აღმოცენების დროიდან.

ნერვო-პათოლოგთა კონფერენცია

აკადემიკოს ბეხტერევის ხსოვნის აღსანიშნავად

ამ დღეებში სახელმწიფო უნივერსიტეტის ნერვების სნეულებათა კლინიკაში შესდგა თბილისის ნერვო-პათოლოგების კონფერენცია აკადემიკოს ბეხტერევის ხსოვნის აღსანიშნავად.

პროფ. სვ. ყიფშიძემ წაიკითხა მოხსენება, რომელშიაც დაახასიათა ბეხტერევის მეცნიერული მოღვაწეობა, როგორც ნერვო-პათოლოგის, ისე ფსიქიატრიის დარგში და აღნიშნა განსვენებული პროფ. ბეხტერევის როლი რეფლექსოლოგიის შექმნაში. „აკადემიკოსი ბეხტერევი იყო არა მარტო ვიწრო სპეციალისტი, არამედ დიდი ერუდიციის მეცნიერი და საზოგადოებრივი მოღვაწე. და მისი 40 წლის მუშაობა ნაყოფიერი იყო არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მსოფლიო მეცნიერების განვითარებისათვის".

ექ. მ. ქავთარაძემ წაიკითხა მოხსენება „სმენის ნერვის გამტარებელი გზების ანატომია ბეხტერევის მიხედვით". მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ ნერვის ერთი ბირთვი აკადემიკოს ბეხტერევის მიერ იყო აღმოჩენილი.

დაბოლოს მოსმენილი იქნა ექ. ზანგურიძე—სერედას მოხსენება ბეხტერევის მიერ აწერილი ზოგიერთი გამტარებელი გზების ანატომიის შესახებ.

თბილისის მაზრის გლეხკომების მე-5 ყრილობა

ორი დღის მუშაობის შემდეგ, გუშინ დილით დამთავრდა თბილისის მაზრის გლეხკომთა მეხუთე ყრილობა, რომელსაც დაესწრო 75-მდე დელეგატი, საქ. კ. პ. თბილისის კომიტეტის და თბ. აღმასკომის წარმომადგენლები.

ყრილობის დღის წესრიგში დასმული იყო ამხ. ცომაიას მოხსენება—სამაზრო გლეხკომის მუშაობის შესახებ, სარევიზიო კომისიის მოხსენება, მოხსენებები ადგილებიდან, ამხ. ქ. ხომერიკის მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ და გლეხკომების მონაწილეობა გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის გავრცელების საქმეში.

სამაზრო გლეხკომის მუშაობა

მომხსენებელი ამხ. ცომაია მოკლე მიმოხილვას უკეთებს სამაზრო გლეხკომის მუშაობას ამ ერთი წლის განმავლობაში. ამჟამად თბილისის სამაზრო გლეხკომი აერთიანებს 79 სასოფლო გლეხკომს, რომელთაც შეკავშირებული ჰყავს 6.228 გლეხი. უმრავლესობას წარმოადგენენ ღარიბი გლეხები. საწევრო გადასახადებიდან გლეხკომში შემოსულია სულ 8.844 მანეთი 60 კაპ. ამჟამად მაზრაში გლეხკომებს აქვთ 200 ჰექტარი მიწის ნაკვეთი (ვენახი, ბოსტანი, ბაღი, სახნავი მიწა), რომელზედაც მუშაობა კოლექტიური წესით სწარმოებს. გარდა ამისა, გლეხკომებს აქვთ წისქვილები, აგურის ქარხნები, სახერხი ქარხნები, პურის საცხობები და სხვა ბეითალმანი ქონება. სასოფლო გლეხკომის მიერ ღატაკი და ქვრივ-ობლების ოჯახებს ეძლევათ სისტემატიური დახმარება. ამჟამად სასოფლო გლეხკომებს გაცემული აქვთ ერთდროული დახმარება 825 გლეხზე—ფულად 1845 მანეთი, სესხის სახით გაცემულია 1270 გლეხზე 16.287 მანეთი, გლეხკომის ხარჯზე კოოპერატივში ჩაბმულია 163 გლეხი, კულტურულ საჭიროებასა და აღმშენებლობაზე დახარჯულია 6.285 მანეთი, დაუბრუნებელი დახმარების სახით 184 გლეხს მიეცა 581 ფუთი პური, სესხად 1.169 გლეხს 5.130 ფუთი პური.

ხელმძღვანელობა, როგორც იდეური, ისე ორგანიზაციული დამაკმაყოფილებელია.

სარევიზიო კომისიის წარმომადგენელი ამხ. **გარსიაშვილი** აღნიშნავს, რომ გლეხკომებს სოფლად სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევენ თემკომები და აღმასკომები. გარდა ამისა სუსტია გლეხკომების მუშაობაში სოფლის მასწავლებლობის მონაწილეობა; გლეხკომების ერთ-ერთ ნაკლოვანებათ ჩაითვლება აგრეთვე ის, რომ ისინი ნაკლებ ყურადღებას აქციონ მიწების კოლექტიურად დამუშავებას და შრომით დახმარებას. გლეხკომების მუშაობაში ქალების ჩაბმას უკანასკნელ ხანებში წარმატება ეტყობა.

მოხსენებები ადგილებიდან

შემდეგ ყრილობამ მოისმინა მცხეთის გლეხკომის წარმომადგენლის ამხ. **ქაპანაძის**, დიღომის გლეხკომის ამხ. **ზენიბაშვილის**, საგარეჯოს გლეხკომის ამხ. **ქაიხოსროშვილის**, ავჭალის ამხ. **გაბლოევის**, გიორგიწმინდის გლეხკომის ამხ. **ღრეჯულის** მოხსენებები. მომხსენებლები აღნიშნავენ შემდეგს: საფონდო მიწები ყველგან არა აქვს გადაცემული გლეხკომს, რაც ამცირებს მათ შემოსავლიანობას. ადგილობრივი აღმასკომები მეტ წილად არ ეხმარებიან გლეხკომებს, არ აძლევენ შემოსავლის ნაწილს საბალახოებიდან და სხვა საექსპლოატაციო მიწებიდან. გლეხკომების მუშაობას აბრკოლებს ის, რომ გლეხკომის ტეხნიკურ მუშაკებს არ ეძლევათ გასამრჯელო. გლეხკომების ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მათ საჭიროდ მიაჩნიათ სათემო მიწების, ბაღ-ვენახების, გლეხების მიერ უფასოთ გაჩეხილ ხე-ტყის, და ყველა ადგილობრივი მნიშვნელობის წისქვილების და სხვა წარმოების გლეხკომებზე გადაცემა.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც სამაზრო გლეხკომის მუშაობას დამაკმაყოფილებლად სცნობს.

სოფლად მუშაობა და გლეხკომები

ამხ. ხომერიკი ეხება რა სოფლად მუშაობის ამოცანებს და ამ მუშაობაში გლეხკომების მონაწილეობას, ამბობს, რომ გლეხკომებმა არ უნდა შემოიფარგლონ თავიანთი მუშაობა გლეხკომის წევრებისათვის და ქვრივ-ობლებისათვის დახმარების გაწევით. მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ კულტურულ-საზოგადოებრივ მუშაობაში, დახმარება გაუწიონ ქოხ-სამკითხველოებს ჟურნალ-გაზეთების გამოწერით, სახელმძღვანელო ლიტერატურის მოწოდებით და სხვ. გლეხკომებმა თავის მუშაობა უნდა შეუთანხმონ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს და კოოპერატივებს. სადაც საპაიო გადასახადის შეტანით უნდა გააძლიერონ ღარიბ გლეხთა შემადგენლობა. გარდა ამისა, გლეხკომებმა დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ მოსწავლეებს მიაწოდონ მათ სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და სხვა სასწავლო ნივთები. ამავე დროს გლეხკომებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა თავის პირდაპირ დანიშნულებით: იკისრონ ქვრივ-ობლების და წითელარმიელთა ოჯახების მიწების კოლექტიური დამუშავება, მათი ნივთიერი დახმარება და სხვა.

გლეხკომების მონაწილეობა სესხის გავრცელებაში

ამ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა სახფინანს განყ. წარმომადგენელმა ამხ. **ქორქიამ**, რომელმაც ყრილობას დაწვრილებით გააცნო ამ ახალი სესხის დანიშნულება და მოუწოდა გლეხკომების წარმომადგენლებს ფართოთ ადგილებზე აგიტაცია აწარმოონ გლეხებს შორის მის გასავრცელებლად.

არჩევნები

დასასრულ ყრილობამ აირჩია ახალი სამაზრო გლეხკომი, რომელშიდაც შედიან: ამხ. **ცომაია, არუთინოვი, ადიკაშვილი, კაკიანი, გვანცელაძე, კოსტოვი** და **ტყაგლაძე**. სარევიზიო კომისიაში: ამხ. **ზარხიაშვილი, მ. ჯაფარიძე** და **მ. აფციაური.**

თბილისის მაზრის თემაღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი

მოხსენება საგლეხო სესხის შესახებ

გუშინ თბილისში შესდგა მაზრის აღმასკომების თავმჯდომარეთა და მოანგარიშეთა თათბირი.

თათბირზე ამხ. მესხმა გააკეთა მოხსენება საგლეხო სესხის მნიშვნელობისა და მისი გავრცელების შესახებ. მომხსენებელმა ვრცლად განმარტა, თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღონ სესხის ფართოდ გავრცელების საქმეში ადგილობრივმა მუშაკებმა და მათ შორის თემაღმასკომების თავმჯდომარეებმა.

თათბირმა მოხსენების შემდეგ გამოიმუშავა მაზრაში სესხის წარმატებით გავრცელების გეგმა, რომლის მიხედვით თემებში არსდება საგლეხო სესხის ხელისშემწყობი სამეულები თემაღმასკომების თავმჯდომარეთა თავმჯდომარეობით და ხელმძღვანელობით.

სამეულებს ევალებათ მოიწვიონ გლეხების კრებები და გააკეთონ მოხსენებები საგლეხო სესხის მნიშვნელობის შესახებ და საერთოდ უხელმძღვანელონ სესხზე ხელის მოწერის კამპანიას.

სახალხო მსაჯულთა გადარჩევა

შემდეგ მოხსენება გააკეთა თბ. მაზრის სასამართლოს წარმომადგენელმა ამხ. **ხარაბაძემ** სახალხო მსაჯულთა გადარჩევის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ცაკის დადგენილების თანახმად, სახალხო მსაჯულთა გადარჩევა უნდა ჩატარდეს საბჭოების საანგარიშო კამპანიასთან ერთად და მსაჯულთა ახალი არჩევნები უნდა ხდებოდეს საანგარიშო კრებებზე. ამასთანავე მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საჭიროა მსაჯულთა ახალი კანდიდატების წამოყენების დროს დიდი სიფრთხილე და დაკვირვება. მსაჯულებათ არჩეული უნდა იქნენ გლეხების ფართო მასების ნდობით აღჭურვილი პირები და საუკეთესო მუშაკები, ვინაიდან—განაგრძობს მომხსენებელი,—საბჭ. ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლად საბჭოთა კანონიერების განმტკიცების საქმეს.

შემდეგ თათბირმა მოისმინა მოხსენება საანგარიშო კამპანიის ჩატარების შესახებ და თათბირის წევრებს დაავალა აქტიური მონაწილეობა მიიღონ კამპანიის წარმატებით ჩატარებაში.

თათბირი მებამბეობის შესახებ

მესამე სხდომა

1926—27 წლის და 1927—28 წლის საამშენებლო გეგმების შესახებ მოხსენება გააკეთა ა.-კ. საბამბო კომიტეტის სამრეწველო განყოფილების წარმომადგენელმა ინჟ. გახკელმა.

გასული წლის გეგმის მიხედვით ა.-კ. საბამბო კომიტეტს კაპიტალურ საამშენებლო სამუშაოებზე დაუხარჯავს 154.400 მან. ხოლო ქარხნების მოწყობაზე 219.700 მან.

1927—28 წლის საამშენებლო გეგმის თანახმად, ა.-კ. საბამბო კომიტეტს გამოთხოვილი აქვს მთავარ საბამბო კომიტეტიდან 1142037 მან. ამ თანხიდან აზერბეიჯანისათვის 997097 მან., სომხეთისათვის—141.440 მანეთი და საქართველოსათვის—3.500 მან. კომიტეტს განზრახული აქვს განჯის ქარხნის დამთავრება და ახალი ქარხნების აგება სალიანში და უჯარაში.

განზრახულია აგრეთვე ქარხნების კაპიტალურათ შეკეთება, დამხმარე შენობათა აგება, გზების გაყვანა ქარხნებამდე, ქარხნებთან მუშათა საცხოვრებელი ბინების აშენება, ქარხნების სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების გაუმჯობესება და სხ.

მოხსენების შემდეგ არჩეულ იქნა კომისიები, რომელთაც დაევალათ პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება.

მეოთხე სხდომა

გუშინ საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა ა.-კ. საბამბო კომიტეტის წარმომადგენლის ამხ. ზელიკის მოხსენება კომიტეტის ანგარიშთა წარმოების საქმის მდგომარეობის შესახებ.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. განიშვილის მოხსენება სას.-სამ. კოოპერაციის მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ ოთხი წლის წინეთ მუშაობა დაიწყო თავდებობის წესით და მისი თავდებობით ნათესი მოედანი შეადგენდა მთელი ბამბით ნათესი მოედნის ერთ მეოთხედს. კოოპერაციის მუშაობა თანდათან ფართოვდება. გასულ წელს ნათესობათა მთელი რაოდენობა დამუშავებული იქნა მხოლოდ კოოპერაციის მიერ.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე კოოპერაციის ფინანსიურ მდგომარეობას და აღნიშნა, რომ კოოპერაციის განსამტკიცებლად (მებამბეობის დარგში) საჭიროა საკუთარი თანხების გაძლიერება.

მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი.

ქრონიკა

მოქალაქეთა საყურადღებოდ

თბილისის ქალაქის კომენდანტი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ დღეს, 3 თებერვალს ნაშუადღევს, ზუდადოვის ტყის ახლოს, მესანგრე ნაწილები აწარმოებენ მეცადინეობას აფეთქების საქმეში. ამავე დღეს ავლაბრის ტბის მახლობლად, ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებით, საარტილერიო ნაწილები გამართავენ სროლას სამთო ზარბაზნებიდან. სავარჯიშო სასროლო მოედანზე, ვაკეში, იწარმოებს სროლა შაშხანა თოფებიდან.

სტუდენტთა სამხედრო ლაშქრობა

6 თებერვალს ზუდადოვის ტყის მიდამოებში ეწყობა თბ. სახ. უნივერსიტეტის სამხედრო ლაშქრობა. ის სტუდენტები, რომლებსაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ლაშქრობაში უნდა გამოცხადდნენ 3 და 4 თებერვალს სიაში ჩასაწერად თავიანთ პროფკომებში.

6 თებერვალს მუშაობა უნივერსიტეტში შეწყვეტილ იქნება. სტუდენტები - მოსამსახურენი, თანახმად სამხედრო დებულებისა, აღნიშნულ დღეს განთავისუფლებულ იქნებიან სამსახურიდან.

უნივერსალური სახერხი ქარხანა

სამხრეთ-ოსეთის სახალხო მეურნეობის საბჭო შეუდგა ცხინვალში ახალი დიდი უნივერსალური სახერხი ქარხნის აგებას. ქარხნის აგება დაჯდება 300.000 მანეთი; ქარხანა წლიურათ გადაამუშავებს 600.000 კუბიკურ ფუტ ხე-ტყის მასალას. ქარხანასთან მოეწყობა ყუთების, პარკეტის, ფირფიტარის, ურმების და ეტლების სახელოსნოები.

ქარხნის აგება დასრულდება ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლისთავისათვის.

ა.-კ. მებამბეობის კომიტეტში

საქართველოს ს. მ. უ. ს. საპონ-ზეთის ქარხანა გადაეცა ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტს. ეს უკანასკნელი უკვე შეუდგა ქარხნის გამოკვლევას.

ა.-კ. მებამბეობის კომიტეტი შეუდგა ამიერ-კავკასიაში მებამბეობის განვითარების ხუთწლიან გეგმის შედგენას. გეგმის შესადგენად გაღებულია 3.000 მანეთი.

თათბირი პოლიტგანათლების შესახებ

პოლიტგანათლების მთავარმმართველობა ა.-წ. 10 თებერვალს თბილისში, იწვევს სამაზრო პოლიტგანათლების განყოფილების და სანიმუშო სოფლის სამკითხველოების გამგეთა სრ. საქართველოს თათბირს ზოგიერთი ქალთა კუთხეების (ქუთაისის, თელავის და ახალციხის მაზრებიდან) გამგეთა მონაწილეობით. დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: საპოლიტგანმანათლებლო მუშაობა მე-15 პარტყრილობის დადგენილებათა მიხედვით; სოფლის სამკითხველოთა მუშაობა; მოხსენებები ადგილებიდან (სიღნაღის, ზუგდიდის, ახალქალაქის მაზპოლიტგანების სანიმუშო სოფლის სამკითხველოების თანამოხსენებებით); საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის ხუთწლიანი გეგმა; მუშაობის აღრიცხვა და ანგარიში; მიმდინარე საკითხები.

თათბირზე მოწვეული არიან აგრეთვე საქ. ს.ს.რ. ავტონომიურ რესპუბლიკის წარმომადგენლები.

წყალზე მომუშავეთა კავშირის პლენუმი

დღეს, ბათუმში იხსნება საქართველოს წყალზე მომუშავეთა პროფკავშირის რაიონულ კომიტეტის მეოთხე პლენუმი.

პლენუმზე თბილისიდან გაემგზავრნენ: ა.-კ. ნავთსადგურების სამმართველოს უფროსი პ. სარინკველი, მისი თანაშემწე გრეკოვი, საბჭოთა სავაჭრო ფლოტის თბილისის რწმუნებულის თანაშემწე დ. ბაგრატიონი და წყალზე მომუშავეთა კავშირის რაიკომის წევრი ნ. წოვა.

ქუნთრუშასა და ხუნაგის-ეპიდემია

თბ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების ცნობებით, იანვრის განმავლობაში ქუნთრუშათი ავათ გამხდარა 160 ბავშვი, გარდაიცვალა 1. ამავე ხნის განმავლობაში ხუნაგით ავათ გამხდარა 91, გარდაიცვალა 5.

დეკემბერთან შედარებით ეპიდემია მცირდება. დეკემბერში ქუნთრუშათი ავათ გამხდარა 214 და ხუნაგით 120 ბავშვი.

ჯანმრთელობის გამოკვლევა

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ დაადგინა ჩაატაროს ყველა კოოპერატიულ და კერძო სავაჭროებში მომუშავეთა ჯანმრთელობის გამოკვლევა. გამოკვლევა შეეხება აგრეთვე პარიკმახერებს, ცივი წყლების გამყიდველებს, აბანოებში მომუშავეებს და რესტორანების მოსამსახურეებს.

ჯანმრთელობის შესამოწმებლათ გამოყოფილია ორი მუდმივი კომისია. ერთი კომისია მუშაობს მუშკოოპის სამმართველოსთან (ტორესის ქ.) და მეორე კუკიის საავადმყოფოსთან (ორჯონიკიძის ქ. № 1).

ყველა ზემოაღნიშნულ დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებმა კომისიებში უნდა გაიარონ თვეში ერთხელ. ის მუშა-მოსამსახურენი, რომელთაც აღმოაჩნდებათ გადამდები სენი დამზღვევ სალაროს ხარჯზე გადაიგზავნებიან საექიმოთ.

პურის ნიხრის დარღვევა

ვაჭრობის კომისარიატის ინსპექტორმა გუშინ დაათვალიერა თბილისის პურის საცხობები. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ სავაჭროებში ადგილი აქვს პურის ნიხრის დარღვევას. მაგალითად, ზოგიერთ პურის საცხობებში მესამე ხარისხის პურს ყიდიან მეორე ხარისხათ, მეორე ხარისხის თათრულ ლავაშში—24 კაპიკათ და თეთრ პურში ურევენ სიმინდის ფქვილს. ამის გამო ინსპექტორის მიერ დაჯარიმებულია რამოდენიმე სავაჭრო.

სასოფლ.-სამ. იარაღ-მანქანების აღრიცხვა

სასოფლო-მეურნეობის იარაღ-მანქანებით მომარაგების მოწესრიგების მიზნით, საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატი შეუდგა იარაღ-მანქანებით მოვაჭრე ორგანიზაციების განკარგულებაში მყოფ გაუსაღებელ იარაღ-მანქანების აღრიცხვას.

განსაკუთრებულათ აღირიცხება ის სასოფლო-სამეურნეო მანქანები, რომლებიც კონსტრუქციის სიძველის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო გამოსულია ხმარებიდან და ცნობილია უვარგისად.

ახალი ბებია-ქალები

გასულ სამოსწავლო წელს სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული მედიკური ტეხნიკუმი დაამთავრა და სამედიცინო დის და ბებია-ქალის სახელწოდება მიიღო შემდეგმა პირებმა: მარიამ ალაფიძემ; ლიუბა აბდალაძემ; ბარბარე ბადალოვამ; მელანია ბეშიამ; მარიამ გაგანაშვილმა, ნინო გერსამიამ; ევგენია გიორგობიანმა; ნინო დარაბეგიშვილმა; მარიამ ვაშალომიძემ; ნინო თოხაძემ; თამარა კასრაძემ; სირანუშ მასიასცმა; ელენე ნონიკაშვილმა; ალექსანდრა საყვარელიძემ; ეკატერინე ქავთარაძემ; ელპიტა ქარაზანაშვილმა; მინადორა ქაჯაიამ; მარიამ ჩიხაროვამ; მარიამ ღარიბოვამ; იუსტინა წირღვავამ; მარიამ ცაგარეიშვილმა; მარიამ ჯაშმა; ეკატერინე ჭეჭინაძემ; ვერა ხუნდაძემ სულ 24 მოწაფემ.

სას.-სამეურნეო. ბანკში

◆ **სარწყავი არხების გასაყვანად** სას.-სამ. ბანკმა გადასდო 20.000 მანეთი.

◆ **ჩაის მეურნეობის გასაძლიერებლად** სას.-სამეურნეო ბანკი წელს სესხად გასცემს—68.550 მან.

◆ **კოლექტიურ მეურნეობებს** სასოფლო მეურნეობის გასაფართოებლად სესხად მიეცემა 385.000 მანეთი.

სასამართლო

არ. საყვარელიძის საქმე

მოქ. არუთინ ავაქოვს ჰყავდა კარგი მეგობარი არშაკ საყვარელიძე. არუთინა არშაკს არაფერს უმალავდა. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ავაქოვი საყვარელიძის რჩევით მოქმედებდა.

ერთ დღეს ავაქოვმა საყვარელიძეს უთხრა, რომ მას უყვარს ირმა ა—ვა.

— ეს კარგი საქმეა,—მიუგო საყვარელიძემ. ირმას მე ვიცნობ. იგი პატიოსანი ქალია. ეს საქმე აუცილებლად უნდა მოეწყოს. მე კარგ რეკომენდაციას გაგიკეთებ დაიმედა არშაკმა ავაქოვი.

არშაკმა თავისი მეგობრის რომანის ყოველი წვრილმანი იცოდა. თვითონ ირმაც ძალიან კარგს განწყობილებაში იყო თავის საქმროს მეგობართან—არშაკთან.

გავიდა ხანი. ირმასა და არუთინს შორის უთანხმოება ჩამოვარდა.

მიმოწერობის დროს ირმა განაგრძობდა სიყვარულს არშაკ საყვარელიძესთან.

ერთ დღეს როცა ირმა ეწვია არშაკს თავის ბინაზე, მან ჩაკეტა კარები, მივარდა მეგობრის საცოლესთან და დაუწყო ხვევნა. ხვევნას მოჰყვა ძალდატანება გაუპატიურების მიზნით.

საყვარელიძე დააპატიმრეს.

საქმე მალე გაირჩევა თბილისის სამაზრო სასამართლოში.

თ.

„კაცი ადამიანი"?

შიშა გიორგის ძე გონიაშვილი ტკბილად მიიმღეროდა ქუჩაში და ძალზე გალეშილი—ბარბაცებდა.

გონიაშვილმა დაინახა ერთი ახალგაზრდა ქალი. დაედევნა მას, დაეწია თუ არა, გაჰკრა ხელი ხელზე, გაუსწრო წინ და შემობრუნდა. ქალმა უჩქარა ნაბიჯს.

გონიაშვილმა ფეხი გადაუდო და ქალი კინაღამ ცხვირ-პირით დაეცა ფილაქანს.

ქალმა კიდევ უფრო უჩქარა ნაბიჯს. გონიაშვილი დაეწია მას და „სასიყვარულოდ" მუშტები დაუშინა ზურგში.

შეშინებულმა ქალმა ასტეხა ყვირილი. გაჩნდა მილიცია.

გონიაშვილი დააპატიმრეს და მიაბრძანეს კომისარიატში.

ჯერ ოქმი არ იყო შედგენილი, რომ გონიაშვილმა გაიღირა თავი და თავისი ნებით შევიდა საპატიმროს ოთახში.

— გამობრძანდით გარეთ, ჯერ საქმე უნდა გამოვარკვიოთ,—წინადადებას აძლევს მას უფროსი მილიციელი.

— რა უნდა გამოვარკვიოთ, ვიცი ამ რონკაპი ქალისათვის უნდა ჩავჯდე, მაგრამ არა უშავს.

როცა ოქმი შესდგა და საქმე სასამართლოში გაირჩა, გონიაშვილი უკვე ფხიზელი იყო და აღარ ეხალისებოდა საპატიმრო ოთახში ჯდომა, მაგრამ სასამართლომ საჭიროდ სცნო, რომ ნებაყოფლობით საპატიმროში შესული გონიაშვილი ეხლა უკვე მისი სურვილის წინააღმდეგ დარჩეს საპყრობილეში ორი თვის ვადით.

ქ.

ერთი ბავშვის დაკარგვის ამბავი

1922 წელს უგზო-უკვლოდ დაიკარგა შაქრო ბახალაშვილი (11 წლისა).

ძებნამ შედეგი არ გამოიღო.

გასული წლის ნოემბერში ბავშის მამამ მიიღო წერილი დაკარგულ შვილისაგან; წერილში ეწერა, რომ იგი კარგად არის და იმყოფება სოფ. ხეობაში (დუშეთის მაზრა).

შაქრო ბახალაშვილის მამამ ეჭვი შეიტანა წერილის სინამდვილეში, მაგრამ იგი მაინც წავიდა სოფ. ხეობაში.

გიორგი მიგრაულის ოჯახში მან იპოვნა თავისი ბავში და გახარებული დაბრუნდა სახლში. ბავშიც თან წაიყვანა.

მოქ. ბახალაშვილმა უჩივლა მიგრაულს, რომელსაც ბრალს სდებდა იმაში, რომ მან ბავში ძალდატანებით წაიყვანა.

ეს საქმე გუშინ გაირჩა პირველი უბნის სახალხო სასამართლოში.

მოწმეების დაკითხვით გამოირკვა, რომ მიგრაულმა ბავში წაიყვანა მისივე თანხმობით და არა ძალდატანებით.

გამოირკვა აგრეთვე, რომ ბავში 1922 წ. იყო არა 11 წლის, არამედ 15.

სასამართლომ მიგრაული უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა.

კაცი ხანჯლით

ეს ამბავი მოხდა გასული წლის ივლისში. სოფ. პრიეტის (თბილისის მაზრა) მცხოვრებს მოქ. ზადენკოს ჰქონდა ლხინი, რომელზედაც დაპატიჟებული ჰყავდა ნაცნობ-მეგობრები.

სტუმრებს შორის იყვნენ: ალექსანდრე შოპინი და ვასილ სილინტაევი.

როცა შოპინი და სილინტაევი სახლში ბრუნდებოდნენ—გზაზე მათ შეხვდათ მოქ. გუჯირიშვილი.

შოპინმა გუჯირიშვილი უმიზეზოთ სიტყვით შეამკო და სილა გააწნა. შემდეგ ამოიღო ხანჯალი და წაიწია გუჯირიშვილისაკენ. შოპინს აიხმარა სილინტაევი და ორთავემ მაგრად მიბეგვეს გუჯირიშვილი.

ერთ-ერთმა გამვლელმა მოქალაქემ ხანჯალი აართვა შოპინს.

დიდის ვაი-ვაგლახით შოპინი და სილინტაევი დააპატიმრეს.

ისინი მოათავსეს ადგილობრივ მილიციის საპატიმროში.

გავიდა ხანი და ორთავე გაიპარა ციხიდან.

გამოირკვა, რომ შოპინი და სილინტაევი დახელოვნებული სისხლის სამართლის დამნაშავეებია.

ამჟამად ორთავე დაპატიმრებულია და ახლო ხანში წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

რკინისგზებზე

ქალაქის სადგურების მუშაობის ახალი წესი.

ამიერ-კავკ. რკ. გზების ქალაქის სადგურებში შემოღებულია მუშაობის ახალი წესი.

ამ წესის მიხედვით სამგზავრო ბილეთების გაყიდვა ქალაქის სადგურში იწარმოებს განუწყვეტლივ დილის 9-დან ნაშუადღევის—3 საათამდე—სამუშაო დღეებში, ხოლო 11-დან—2 საათამდე უქმე და დასასვენებელ დღეებში.

სადგურების საბარგო სალაროები ზაფხულობით სამუშაო დღეებში იმუშავებენ დილის 8-დან ნაშუადღევის 5 საათამდე და ზამთრობით დილის 9-დან—ნაშუადღევის 6 საათამდე.

უქმე და დასასვენებელ დღეების წინ ზაფხულობით სალაროები იმუშავებენ დილის 8-დან—ნაშუადღევის 3 საათამდე და ზამთრობით დილის 9-დან—ნაშუადღევის—4 საათამდე—ისევე განუწყვეტლივ.

დასასვენებელ დღეებში საბარგო სალაროები დაკეტილი იქნება.

სადგურების საბარგო საწყობები ზაფხულობით ღია იქნება დილის 7-დან ნაშუადღევის 4 საათამდე და ზამთრობით დილის 8-დან—5 საათამდე.

დასასვენებელ დღეების წინ საწყობები დაიკეტება ორი საათით ადრე. დასასვენებელ დღეებში კი საბარგო საწყობები სრულიად არ იმუშავებენ.

გზების სამმართველოების შტატების განხილვა

ახლო ხანში გზათა კომისარიატი შეუდგება რკ. გზების სამმართველოების შტატების განხილვას.

ამასთან დაკავშირებით ა.-კ. რკ. გზ. გამგეობა შეუდგა თანამდებობათა ნომენკლატურის შედგენას. ამასთანავე მუშავდება თანამდებობათა რაოდენობა თითოეულ ცალკე განყოფილების მიხედვით.

მატარებლების მოხსნა

საექსპორტო ნავთის პროდუქტების გადაზიდვის გამო მოხსნილია სახალხო მატარებლების ერთი წყვილი.

მატარებლები გაუქმებულია ზამთრის პერიოდში.

შემთხვევები

ქურდების შეპყრობა

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა შალვა დრეიშვილი, ოვანეს სააკიახცი, გრიგოლ ცირაგუა და ანდრია ანდრიას ძე ოსიპოვი.

ხსენებულ პირებს ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

დაჭრა

გუშინ, დილით, ვიღაც ბოროტმოქმედმა დანით დასჭრა ალექსანდრე გიორგის ძე გოლოვანოვი.

მიღებულია ზომები ბოროტმოქმედის დასაპატიმრებლად.

ქურდობა

გუშინ, დილით გაქურდეს მიხეილ ფულავიძის ბინა (არარატის შესახ. № 12). წაიღეს 200 მანეთის ნივთები.

„სტაჟიანი" ქურდი

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა არკადი იოსების ძე რაბანოვი.

გამოირკვა, რომ რაბანოვი თბილისში ცხოვრობდა ოსიპოვის გვარით.

რაბანოვი დიდი ხანია, რაც ეწევა ქურდობას და ჯიბგირობას.

ბავშვის დაკარგვა

23 იანვარს უგზო-უკვლოდ დაიკარგა ვახტანგ მიხეილის-ძე ჯაგუროვი, 11 წლისა (მცხ. ყიზლიარის შესახ. № 1).

აფერისტები

სისხლის სამართლის მილიციის ცნობით, უკანასკნელ ხანებში ქალაქში დათარეშობენ აფერისტები, რომლებიც დაიარებიან ბინებში და მოქალაქეებს ეცნობიან, როგორც სამისამართო მაგიდის თანამშრომლები. აფერისტები „სინჯავენ" სახლის წიგნაკებს, ავსებენ ბლანკებს და მოქალაქეებისაგან ღებულობენ ჯილდოს.

გამორკვეულია, რომ მრავალი გულუბრყვილო მოქალაქე შეიქნა ამ აფერისტების მსხვერპლი.

ერთი აფერისტთაგანი გუშინ დააპატიმრა მილიციამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

„სოფლის პატიოსნება“—მუსიკა მასკანისა და „ჯამბაზები“—მუს. ლეონკოვალოსი. ო. ბარათაშვილის დებიუტი

ა.-წ. 1 თებერვალს ჩვენი აკადემიური ოპერის დარბაზი არაჩვეულებრივად გაივსო ხალხით. ბევრ მსურველთათვის ადგილი აღარ აღმოჩნდა. ამის მიზეზი ცხადია: ყველას აინტერესებდა მხოლოდ სადებიუტო გამოსვლა ცნობილ კრიმინალისტის, დამცველთა კოლეგიის წევრის ოსიკო ბარათაშვილის ოპერა „ჯამბაზები“-ს კანიოს პასუხისმგებელ როლში. უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ დებიუტანტმა ხელი მიჰყო სიმღერის შესწავლას არა ახალგაზრდობიდან, არამედ მხოლოდ ამ ორი სამი წლის წინათ და არა ვიწრო პროფესიონალურ მიზნების გამო, არამედ როგორც მუსიკალურ კულტურის მოყვარულმა. ამ მხრივ მისი გამოსვლა იყო და არის ფრიად საინტერესო გამოკვლევისათვის, თუ რა შედეგი მოაქვს ადამიანის საერთო კულტურულ განვითარებას შეკავშირებულს სერიოზულ და უდრეკელ მისწრაფებასთან ხელოვნებისადმი. ის, რაც ჩვენ ვნახეთ და მოვისმინეთ—გულახდილად ვაღიარებთ, რომ იყო ჩვენთვის მოულოდნელი. უპირველესად აღვნიშნავთ ო. ბარათაშვილის ბუნებრივად დიდ მუსიკალობას. რითმის შეგრძნებას და კილოს იშვიათ სისუფთავეს. მიუხედავად იმისა, რომ მომღერალს თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ქონდა ერთად ერთი ურთიერთობა ორკესტრთან—ერთად ორი რეპეტიცია წარმოდგენის წინ, მას არ შემჩნევია არც რითმიულის არც ბგერათა უსწორობის მხრივ ორკესტრთან რამე შეუსაბამობა. როლის ვოკალური მხარე ბარათაშვილს საუცხოოდ აქვს შესწავლილი. ამ მხრივ დებიუტანტი ჩაითვლება სასურველ ნიმუშად ბევრ ჩვენ პროფესიონალურ ოპერის მსახიობებისათვის, მაგრამ უფრო საყურადღებო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს დებიუტანტის მიერ თავისი როლის სცენიურ დეტალების შესწავლა, ფსიქოლოგიური გამოკვლევა, ნამდვილი და არა მარტო სცენიური სულიერი განცდა, ამის შედეგად მოცემული თავის რეალობით საუცხოვო ხმის ინტონაცია. ერთად-ერთი ნაკლი ო. ბარათაშვილისა წარმოსდგება იმ გარემოებიდან, რომ ხმის ვარჯიშობა მან დაიწყო მეტად გვიან, დაიწყო მაშინ, როდესაც ხმა არის უკვე დამჯდარი და მისი ტეხნიკურად ამოძრავება ბევრ შემთხვევაში უკვე შეუძლებელია, და თუ შესაძლებელია—ფრიად ძნელდება ხმის უმაღლეს ფარდების მოქნილობა. ამ შემთხვევაშიაც დებიუტანტის ენერგიამ საოცრად დასძლია თვით ბუნება—მისი ხმა მოძრაობს თავისუფლად, თავისუფლად ადის უმაღლეს ფარდებამდის, მაგრამ ამ მაღალ ფარდებში მომღერალს უფრო ეხერხება მძლავრი, სანამ ნელი მელოდიური ბგერანი, და არ გვინახავს მის მიერ ამ ფარდებში მძლავრ ბგერათა დაწყნარება, ან და წყნარ ბგერათა თანდათანობით გაძლიერება (ფილირობა), რომელიც არის ხმის თავისუფალ მოხმარების და მის ტეხნიკურ განვითარების მაჩვენებელი ზემო ფარდებში. თუ ბარათაშვილი განაგრძობს ვარჯიშობას—ამ ამოცანის მიღწევაც არ გაუძნელდება მას. ყველა ზემოხსენებულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ო. ბარათაშვილი, არის უსაზღვრო მხატვრულ პოტენციალობის პატრონი, და რომ ამ პოტენციალობას გზა მისცემოდა დებიუტანტის ახალგაზრდობაში—მას, ამჟამად ექნებოდა საპატიო ადგილი პირველხარისხოვან მომღერალთა წრეში. მეორე დასკვნა:—სრული გამარჯვება ხელოვნების დარგში შეუძლებელია, თუ რომ ბუნებრივ ნიჭს არ დასდევს საერთო კულტურული განვითარება. ის დიდი შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს ბარათაშვილის შემოქმედება მასაზე, ბარათაშვილის კულტუროსნობის ნაყოფიცაა.

პირველი გამოსვლა **მარკოვასი** „ჯამბაზებში“ უნდა ჩაითვალოს ფრიად დამაკმაყოფილებლად, როგორც ვოკალურად, ისე სცენიურად. მსახიობს ნედას როლის ვოკალური მხარე ეხერხება და ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ჰქმნის იგი პირველ მოქმედებაში, სადაც დიდის სიამოვნებით დავინახეთ მსახიობის სიმღერაში საჭირო ინტონაცია. როლები, როგორც ალფიოსი („სოფლის პატიოსნებაში“) ისე ტონიოსი („ჯამბაზებში“) **ქარციძემ** ტეხნიკურად უნაკლოდ შეასრულა. კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მისი შესრულება „ჯამბაზების“ შესავალში (პროლოგი). ამ ოპერის სცენიური მხარე მსახიობს აქვს კარგად მოფიქრებული. საჭირო კილო იპოვა **გილბერტმა** სანტუცას როლში („სოფლის პატიოსნება“). თუ მსახიობი გაალრმავებს კილოს ინტონაციას ეჭვიანობის სცენაში და სცენიურ რეალობას, ეს როლი იქნება მის მიერ საუკეთესოდ შემუშავებული. **მაყაშვილს** ხმის ქვემო ფარდების ბგერათა იშვიათი სიმდიდრე პირდაპირ მოითხოვს სხვა ფარდების მათთან გაერთფეროვნებას. ლოლას როლი (სოფლის პატიოსნება) მან შეასრულა სწორად და მუსიკალურად, მაგრამ ჩვენის აზრით მსახიობს შეუძლიან ამ როლის უფრო და უკეთესად გამშვენიერება. კარგი მუსიკალობის პატრონია **გარიბოვი** (სილვიო „ჯამბაზებში“). რაც შეეხება **კრუზოს** (ტურიდი) იგი აშკარად იყო შეუძლოდ. ყოველ სასიმღერო ფრაზას შემდეგ აწუხებდა მას სიმპტომატიური ნერწყვი პირში, მისი ჩვეულებრივ მშვენიერი ელფერის ხმა ისმოდა სუსტად და ამ შემთხვევაში მკაცრი კრიტიკა ობიექტივობას მოკლებული იქნებოდა.

ოპერებს ლოტბარობდა **ი. ფალიაშვილი.**

კოტე მეღვინეთ-უხუცესი.

ახალი დადგმები და გასტროლები სახელმწიფო ოპერაში

ძველი რეპერტუარის გამოცოცხლების მიზნით, სახელმწიფო ოპერის დირექციას გადაწყვეტილი აქვს უახლოეს ხანში გაიმეოროს რამდენიმე ძველი ოპერა მომღერალთა ახალი შემადგენლობით. გარდა ამისა, დირექციას განზრახული აქვს რამდენიმე ახალი ოპერის დადგმა სეზონის მეორე ნახევარში.

მთელი საოპერო დასი და რეჟისურა ამჟამად გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს ოპერეტა — „სილვა“-ს მოსამზადებლად; მისი დადგმა განზრახულია 10 თებერვლისათვის. ოპერეტაში მონაწილეობას მიიღებს მოსკოვის ოპერეტის პრემიერი **დავიდოვი** (დ. მგალობლიშვილი), რომელიც შეასრულებს ბონის პარტიას.

„სილვას“ შემდეგ წავა „ლატავრა“. მუსიკა დაწერილია **ზაქ. ფალიაშვილის** მიერ. ოპერას დგამს რეჟ. **ალ. ახმეტელი.** დეკორაციებისა და ესკიზების დამზადება მინდობილი აქვს მხატვარ **ირ. გამრეკელს.** „ლატავრა“ წავა 20 თებერვალს სახ. არტისტ **ივ. ფალიაშვილის** დირიჟორობით.

ამას გარდა თეატრი ამზადებს პუშკინის ცნობილ ოპერას „დასავლეთის ქალი“. ოპერა წავა მარტის პირველ რიცხვებში რეჟ. **კოტე მარჯანიშვილის** დადგმით. „დასავლეთის ქალი“ დაიდგმება სახ. ოპერის საუკეთესო მომღერალთა მონაწილეობით.

დასახელებულ ახალ დადგმების ჩატარებასთან ერთად სახელმწიფო ოპერის თეატრში დაიწყება აგრეთვე მოსკოვის დიდ საოპერო თეატრის ცნობილ მომღერალთა გასტროლები.

პირველი საგასტროლო წარმოდგენა გაიმართება 15 თებერვალს. **ვოლ - ლევიცკაიას** (ელიავას) მონაწილეობით დაიდგმება ოპერა „თაისი“. შემდეგ მისი მონაწილეობით წავა ოპერა „მანონ“-ი „ბოჰემა“, „ევგენი ონეგინი“ და „ლოენგრინი“.

მეორე საგასტროლო წარმოდგენა გაიმართება 29 თებერვალს **მუხტაროვას** (მეცო - სოპრანო) მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნება „კარმენი“. მუხტაროვა მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე „აიდა“-ში „სამსონ და დალილა“-ში და სხვა ოპერებში.

მუხტაროვას გასტროლების შემდეგ სახელმწიფო ოპერაში დაიწყება მოსკოვის დიდი საოპერო თეატრის პრემიერების **ბარსოვას** და **გოლოვინის** გასტროლები. მათი მონაწილეობით 15 მარტს წარმოდგენილი იქნება „რიგოლეტო“. ბარსოვა და გოლოვინი გამოვლენ აგრეთვე მთელ რიგ სხვა ოპერებში.

აკადემიური თეატრების მუშაობის მოსაწესრიგებლად

განათლების კომისარიატმა წინადადება მისცა ოპერისა და დრამის თეატრების ადმინისტრაციას თავიანთი მუშაობა დაუკავშირონ განსაზღვრულ ფინანსიურ შესაძლებლობას და ყოველ საჭირო შემთხვევაში დასტურისათვის მიმართონ განათლების კომისარიატს.

ამას გარდა განათლების კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა დაარსოს კომისია ამხ. **დ. კანდელაკის, მარიამ ორახელაშვილის** და **ვ. იმედაძის** შემადგენლობით, რომელსაც დაევალება განსაზღვროს აკადემიურ თეატრების ფინანსიური შესაძლებლობანი და შეიმუშაოს იდეოლოგიური ხასიათის სახელმძღვანელო გეგმა.

კოლეგიის დადგენილებით, აგრეთვე წინადადება მიეცა სამეცნიერო და სახელოვნო მთავარმმართველობასთან არსებულ სარეპერტუარო კომიტეტს წარმოუდგინოს განათლების სახ. კომისარიატის კოლეგიას განსახილველად და დასამტკიცებლად მიმდინარე სეზონის რეპერტუარი.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ლიტერატურული დისპუტი.** ამხ. მიხ. კახიანის სახელობის მუშფაკის ლიტერატურული წრე, შაბათს, 4 თებერვალს საღ. 8 საათზე მუშფაკის შენობაში (კამოს ქუჩა ნომერი 52) მართავს ლიტერატურულ დისპუტს, თემაზე „ქართული მწერლობა 1927 წელში“. მოხსენებით გამოვა ამხ. პლ. ქიქოძე. კამათში მონაწილეობას მიიღებენ: ს. ამაღლობელი, ვ. ალავიძე, ბ. ჟღენტი, ლ. ესაკია, შ. დადიანი(?), გ. კოტეტიშვილი, შ. რადიანი, დ. რონდელი, ტ. ტაბიძე, ბ. ჟღენტი, მ. ჯავახიშვილი და ს. ჩიქოვანი. შესვლა თავისუფალია.

◆ **„დაისი“.** ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „დაისი“.

◆ **„რაზლომ“.** მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „რაზლომ“.

◆ **წარმოდგენა ბავშვებისათვის.** კვირას, დღით, ცირკში გაიმართება წარმოდგენა ბავშვებისათვის ა. დუროვის მონაწილეობით.

◆ **მუშათა ახალ კლუბში** დღეს წარმოდგენილი იქნება „შეთქმულება“.

◆ **რუსთაველის თეატრში** დღეს თურქულ ენაზე წარმოდგენილი იქნება „ორი ობოლი“.

◆ **კონსერვატორიის დარბაზში** 4 თებერვალს გაიმართება ყარაშვილის კონცერტი.

ბიბლიოგრაფია

„სოფლის მეურნეობა“ № 5—6, ნოემბერი - დეკემბერი, სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი

გაზ. „ახალი სოფლის“ გამოცემა, ფასი — 80 კაპეიკი.

უკვე ნახევარი წელია აღნიშნული ჟურნალი გამოდის. თვეთიურ ბეჭდვითი ნაწარმოების დანიშნულება იმაშია, რომ იგი გათვალისწინებულია მკითხველთა **განსაზღვრული** კადრისთვის. ამისათვის პერიოდული პრესის მთავარი ამოცანაა: მასიური მკითხველის შეგნება, მისი კულტურულ და პრაქტიკულ საჭიროებათა მიხედვით შესაფერის ცნობების მიწოდება, მის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

განსაკუთრებით საძნელოა მეცნიერების აღმოჩენათა პოპულარიზაცია, თეორიულ ცოდნათა მასების გასაგებად გადმოცემა; ციფრებით მტკიცდება; რომ მასიური მკითხველის 70—80 პროც., ყველაზედ გავრცელებული ისეთი უცხო ნამდვილი მნიშვნელობაც არ იცის, როგორიც არის: თეორია, პრაქტიკა, პოპულიარული, კატეგორიული, ფაქტი და სხვ.

საბიბლიოგრაფიო ჟურნალს, თითქოს, თავიდანვე გარკვეული ჰქონდა თავისი დანიშნულება. იგი მიზნათ ისახავდა სოფლის მოსახლეობის ფართო მასებისათვის გაეცნო სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკა, აგრარული ურთიერთობანი ჩვენს სოფელში და სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკის პრაქტიკულად გამოყენების გზები. მიუხედავად ამისა, პირველ ნომერშივე იყო მოთავსებული ზოგი ისეთი ხასიათის წერილები, რომლის გაგება არა თუ ფართო მასას, არამედ კულტურულ მკითხველსაც გაუძნელდებოდა, თუ არა სპეციალური ცოდნით აღჭურვილს.

ეს დეფექტი ჟურნალის შემდეგ ნომრებსაც ახლდა. იგივე ითქმის სარეცენზიო ნომრის შესახებაც. მთელი რიგი წერილები: აპ. კაკაბაძე—„ნიადაგი და მისი გავლენა მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე“, ნ. იაშვილი — „აგრო-დახმარება ზედმოქმედების ობიექტი“, ელ. ამირანაშვილი—„მტევნის ხვევის ანუ ყურძნის ჭიის (Polychros's botrana Schiff) ბიოლოგიისთვის კახეთში, ისეთი წერილებია, რომელსაც სოფლის მეურნე ვერც თერმინოლოგიას გაუგებს და ვერც მოცულობით დასძლევს.

აბა რომელი გლეხი გაიგებს ასეთს გამოთქმებს: „ქლოროფილის სინტეზის ინტენსიფიკაცია“ (გვ. 5), „ანაერობიული ბაქტერიების მუშაობა“ (გვ. 6), „ნიადაგის სასარგებლო ქიმიურ, ფიზიკურ-მექანიკური და ბიოლოგიის პროცესები“; ან კიდევ, ნ. იაშვილის 6-გვერდია წერილში, ამდენი ნემიროვიჩი, სობოლევი, დოლგინი, ჯანდიერი, გერნი, მინინი, შატერნიკოვი. ერთი სიტყვით წერილში ყველა აგრონომების აზრებია მოთავსებული, გარდა ავტორის აზრისა. ასეთი წერილი [illegible] ჟურნალის ავტორიტეტს ვერ ასწევს. იგი უფრო მოსწავლის დაწერილ რეფერატს მოგვაგონებს, ვიდრე სპეციალისტ-ჟურნალისტის ნარკვევს, თავის „მაქსიმალი სოციალისტური ეფექტით“, „ინტერპროფესიული“ და „ინტერსპეციალური“ „კულტუროსნობით“.

ასევე ელ. ამირანაშვილის წერილი „მტევნის ხვევის“. ეს წერილი მესამე ნომერში გრძელდება. წერილი უსათუოდ დამუშავებულია, მაგრამ იგი მძიმე მეცნიერულ ხასიათისაა.

საერთოდ ამ ჟურნალის შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ იგი უშინაარსოა, მაგრამ თუ მეტრად პირველ ნომერს [illegible], მას წინსვლა არ ეტყობა. პირველ ნომერში საკითხებმა ჟურნალში შესაფერი დამუშავება ვერ ჰპოვა. მასალები იბეჭდება, ასე ვსთქვათ, „თანრიგობით“, სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ საკითხებზე წინასწარ განმტკიცებულ შეხედულების მიხედვით.

ჟურნალის ფურცლებზე ვერ გრძნობთ მეურნე მკითხველის გავლენას. ჯერ არ მომხდარა ის, რასაც რედაქცია პირველ ნომერში ამხ. ი. გეგეჭკორის სახით გვპირდებოდა: „ჩვენი სურვილი არის ავამუშაოთ ჟურნალის ფურცლებზე სასოფლო-სამეურნეო აზროვნება“-ო.

ცალკე წერილებში აღსანიშნავია ნეკროლოგი მ. ვ. მაჩაბელზე, როგორც გარდაცვლილ დიდი ხნის აგრონომიულ მოღვაწეზე. კარგია (თუ არა სირთულე) აპ. კაკაბაძის წერილი „ნიადაგის გავლენის შესახებ მცენარეზე“, ზ. ხეჩაპურიძე—აგრონომიული ცოდნის გავრცელების შესახებ, სამართლიანათ ამბობს, რომ აგრონომიული უბანის ისეთი სიდიდის დროს, როდესაც ერთს აგრონომზე 150 სოფელი მოდის 6—8 ათასი მეურნეობით, შეუძლებელია ლაპარაკი რაიმე სერიოზულ აგრონომიულ ღონისძიებებზე, რისთვისაც საჭიროა შემოკლდეს „აგრონომიული მოღვაწეობის რადიუსი“, რის გამოსავალათ მას „ჯგუფური მეთოდი“ მიაჩნია.

ავტორი პრაქტიკულად სვამს მეტად მნიშვნელოვან საკითხს, სასურველია აღძრულმა საკითხმა გამოხმაურება ჰპოვოს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ანტონ თვალჭრელიძის შენიშვნა, ერთ-ერთი მცენარის გავრცელების შესახებ, მის მიერ პრაქტიკიდან მიღებულ ღონისძიებათა გაზიარების მიზნით. ვგონებთ, ეს ერთად-ერთი წერილია, სადაც მეურნე-პრაქტიკი, ჟურნალის საშუალებით მკითხველს უზიარებს თავის დაკვირვებებს. ამ ნომერში სრულად არ არის ადგილობრივი ხასიათის საინფორმაციო მასალა, გარდა ქრონიკის სახით ორიოდე სიგულისხმო ცნობებისა. ბიბლიოგრაფიის მაგიერ უცხოეთის პრესის მიმოხილვა მეტად ძნელია, მას მხოლოდ სპეციალისტები თუ გაიგებენ.

ჩვენში, სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის მეტად დიდი სიმცირეა. ეს ჟურნალი თავისი არსებობის ექვსი თვის განმავლობაში ვერ სტოვებს დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას. ჟურნალი ვერ გამოდის სისტემატიურად. დანიშნულ დროს (ნოემბერ-დეკემბრის ნომერი იანვრის ბოლოს გამოვიდა), იგი შედარებით ძნელი გასაგებია, და რაც მთავარია, რედაქციამაც ვერ მოიპოვა მტკიცე ავტორიტეტი სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ მეურნეტ მკითხველებისა, რათა გრძნობდენ მის აუცილებელ საჭიროებას.

სარედაქციო მუშაობაში აუცილებელია უფრო ცხოველი ძალების ჩაბმა, რომ ჟურნალმა სამოქმედო ნიადაგი შექმნას.

ვ. მ.

სტადიონი ვაკეზე

მუშაობა პროფკავშირების სტადიონის მოსაწყობად ვაკეზე ჩქარის ტემპით მიმდინარეობს. სტადიონი გაიხსნება 2 მაისს; მთლიანად სტადიონის დამთავრება განზრახულია მიმდინარე წლის შემოდგომისათვის.

ამჟამად სტადიონზე სწარმოებს მიწის სამუშაოები; კეთდება ორი გზა—ერთი რბენისათვის (460 მეტრის სიგრძეზე), მეორე—მოტო-ველო შეჯიბრებისათვის (540 მეტრი). კეთდება აგრეთვე სპორტ-მოედნები ფიზკულტურის სხვა დარგებისათვის.

სტადიონის ერთ მხარეზე მოწყობილი იქნება ტრიბუნები და ლოჟები მაყურებლებისათვის და კოშკი მსაჯთა კოლეგიისათვის. მეორე მხარეზე მოეწყობა პავილიონი ორკესტრისათვის და ბინები სტადიონის პერსონალისათვის.

პირველი მაისისათვის სტადიონი მზად იქნება თითქმის ნახევრად, ისე, რომ შესაძლებელი იქნება შეჯიბრების გამართვა. ფიზკულტურის სრულიად საქართველოს დღესასწაული, რომელიც გაიმართება 2 მაისს, ჩატარებული იქნება ამ სტადიონზე.

ახლო ხანში ქალაქის აღმასკომი შეუდგება ტრამვაის გაყვანას სტადიონამდე. ამჟამად სწარმოებს ვერის ხიდის შეკეთება (უნივერსიტეტთან), რის შემდეგაც შეუდგებიან ლიანდაგის დაგებას.

ქალაქის აღმასკომმა დაამტკიცა აგრეთვე სტადიონამდე წყალსადენის გაყვანის ხარჯები.

ფეხბურთი

„დინამო—ა.“—„გემო-კვების მუშაკები“

კვირას, 5 თებერვალს, „დინამო“-ს სტადიონზე გაიმართება ამხანაგური შეჯიბრი „დინამო—პირველსა“ და გემო - კვების მუშაკთა კავშირის გუნდს შორის.

ეს უკანასკნელი ეხლახან ჩამოყალიბდა. გემო-კვების მუშაკთა კავშირის გუნდი—ეს ყოფილი „არსენალი“, რომელსაც მიემატა რამოდენიმე მოთამაშე სხვა გუნდებიდან (პაპკოვი, იმნაძე, ვაჩნაძე და სხვ.).

კვირის შეჯიბრი გამოარკვევს, თუ რა ძალას წარმოადგენს ახალი გუნდი. „გემო-კვების მუშაკები“ მონაწილეობას მიიღებენ გაზაფხულის სეზონის გათამაშებაში.

მატჩი დაიწყება შუადღის 12 საათზე.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 3 თებერვალი

დღეს, 3 თებერვალს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მოხსენება: კავკასიის წითელდროშოვან არმიის ბრძოლის გზა—თურქულ ენაზე.

მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—ქართულ ენაზე.

საუბარი ბიოლოგიაზე—რუსულ ენაზე.

როგორი უნდა იყოს ადამიანის ბინა და ტანთსაცმელი—თურქულ ენაზე.

საგლეხო სესხის მნიშვნელობა გლეხთა მეურნეობისათვის—ქართულ და რუსულ ენებზე.

კავკასიის წითელდროშოვან არმიის ბრძოლის გზა—სომხურ ენაზე.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე.

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

ტეხნიკური კონსულტაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, პარასკევს, 3 თებერვალს თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებული არიან შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშათა პირველი სექციიდან: პასიკო ციხაძე, ალექსანდრე ზანგულაშვილი, დანიილ შეგდისოვი; ნიკოლოზ ქიტუოელი; სარქის ცოვიანოვი, მიხეილ მარტიროსოვი; გიორგი კობახიძე; პლატონ მანჯავიძე; გიორგი ძნელაშვილი, ნიკოლოზ არჩვაძე; მალაქია კიტოშვილი, მიხეილ მიკირტუმოვი, ხაჩატურ ავანესიანი; ნიკოლოზ აბუშევი; ვაგან მარტიროსოვი და ნაზარ არუთინოვი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ოლღა კორნეეცოვი; მიხაილოვსკაია-ალექსეევა, ლიუსია ბეჟანოვა და პანიევა-კალანტაროვა.

საგარანტიო სექციიდან სამუშაოზე იგზავნება: ნანეიშვილი ვლადიმერ და თურნავა. **საგარანტიო სექციაში გამოძახებულია:** ალექსანდრე გრიგოლია, ალისა საოჩკინა, ანტონინა კალინინა; მარია კიკნაძე-მელქაძისა; გიორგი პერტაია; ნინა მამიკაშვილი, ვერა ებრალიძე, ლუკა წულუკიძე; ეკატერინე მელია; დავით თუმანოვი; ალექსანდრე ლომინაძე; მარია კაპანაძე; ვახტანგ როსტომაშვილი; მარია ციხიშვილი; მარია გეპნერი; რუსუდანა გულისაშვილი; ნინა სამხარაძე; ამბროსი ჩიკვილაძე; თამარა მამუკაშვილი; მიხეილ ვარძიკულოვი; გიორგი თალაკვაძე; ვარლამ ტუღუში; მარია ბარნაბიშვილი; სირანუშ გალუსტოვა; დავით გოგოტიშვილი; კოლია კიკნაძე და შალვა სუპატაშვილი.

იურიდიული დახმარება

ალექსანდრე აბდუშელიშვილს

კითხვა:

გამაფრთხილეს 23 სექტემბერს, ხოლო მომხსნეს სამსახურიდან 1 ოქტომბრიდან. მეკუთვნება თუ არა სალიკვიდაციო და რა რაოდენობით.

პასუხი:

თქვენ ღირსებით მოხსნილად შრ. კან. კოდ. 47 მუხ „ა“ პუნ. თანახმად ამიტომ სალიკვიდ. შეგიძლიათ მიიღოთ მხოლოდ შრომის კან. კოდ. 85 მუხ. წესით ე. ი. თუ თქვენ 23 სექტემბერს გაგაფრთხილეს და ხელფასი მიიღეთ მხოლოდ 1 ოქტომბრამდე, კიდევ გერგებათ სალიკვიდაციო 6 დღის ჯამაგირის რაოდენობით, რადგან ორი კვირა არ გასულა თქვენ გაფრთხილებასა და დათხოვნის შორის. სალიკვიდაციო თქვენ არ მოგეცემათ, რადგან არ ხართ დათხოვნილი აპარატის რაციონალიზაციისა და საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირების გამო.

ევტიხი ქანთარიას

კითხვა:

ვცხოვრობ ქალაქის განაპირა უბანში, მიჭირავს ერთი ოთახი სარდაფში, სივრცით 12 კვ. მეტრი, ჯამაგირს ვღებულობ 50 მანეთს. ამ ოთახს ცეცხლი არ აქვს და ღუმელი არ აქვს(?) სამზარეულო, რომელიც სახლის პატრონის განკარგ. დაკეტილია და არავინ ხმარობს. რამდენი უნდა უხადო ქირა სახლის პატრონს, ვის უნდა მივმართო, რომ სახლის პატრონს სამზარეულო გავაღებინო.

პასუხი:

ქალაქის განაპირა ოთახის ქირად უნდა გადაიხადოთ 7 და ერთიმესამედი კაპ. კვ. მეტრ., მთელ ოთახში კი—88 კაპ. თუ თქვენი ოთახის იატაკი მიწის პირიდან ნახ. მეტრზე (1 არშ.) მეტად დაბლა არის, უნდა გადაიხადოთ, თანახმად ბინის ქირის დებულების 17 მუხლი, მთელ ოთახში 44 კაპ., თუ ნახ. მეტრზე ნაკლებად დაბლაა — 66 კაპ. რაც შეეხება სამზარეულოს, ამის შესახებ უნდა მიმართოთ საბინაო სასამართლოს.

მოქალაქეების მოვალეობანი და პასპორტები

სავალდებულო დადგენილება № 01631

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის

23 დეკემბერს 27 წ. ქ. თბილისი.

საკავშირო ს.ს.რ. მოქალაქეთა მიერ გამოყენებულ და არ გამოყენებულ საერთო სამოქალაქო საზღვარგარეთის პასპორტების ჩაბარების წესის შესახებ

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ად გენს:

1. საქართველოს ს.ს.რ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებნი საკავშირო ს.ს. რესპუბლიკის ყველა მოქალაქენი, რომელთაც ამჟამამდე ხელზე აქვთ არ გამოყენებული საერთო სამოქალაქო საზღვარგარეთის პასპორტები გასვლაზე ვადაგასული ვიზით, ვალდებულნი არიან ამისთანები ჩააბარონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის უცხოელთა განყოფილებაში უშუალოდ ან მაზრის მილიციის სამმართველოს მეშვეობით 7 დღის განმავლობაში დღიდან აზა დადგენილების ძალაში შესვლისა.

2. საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებნი ყველა მოქალაქენი, რომლებმაც მიიღეს საერთო სამოქალაქო საზღვარგარეთის პასპორტები და არ გაემგზავრნენ ვიზაში აღნიშნულ ვადის განმავლობაში საზღვარგარეთ, ვალდებულნი არიან აღნიშნული პასპორტები ჩააბარონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის უცხოელთა განყოფილებაში 3 დღის განმავლობაში დღიდან გასვლისათვის მიცემულ ვადის დამთავრებისა.

3. საკავშირო ს. ს. რესპუბლიკის ყველა მოქალაქენი, რომლებიც ჩამოვიდნენ საზღვარგარეთიდან საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე საზღვარგარეთის პასპორტით, კავშირში დაბრუნებისათვის, მიცემულ მოწმობებით, გასასვლელ და საევაკუაციო მოწმობებით, ვალდებულნი არიან აღნიშნული საბუთები ჩააბარონ 3 დღის განმავლობაში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის უცხოელთა განყოფილებაში უშუალოდ, ანდა მაზრის მილიციის სამმართველოს მეშვეობით ადგილობრივ საცხოვრებელ მოწმობებზე გადასაცვლელად.

4. ამა სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით: ქალაქებში ჯარიმით ას მანეთამდე, იძულებითი მუშაობით ან დაპატიმრებით ერთ თვემდე.

სოფლად ჯარიმით ათ მანეთამდე ან იძულებითი მუშაობით ერთ კვირამდე.

5. ზედამხედველობა ამა დადგენილების შესრულებაზე ევალება მილიციის სათანადო ორგანოებს.

6. ამა დადგენილების მოქმედება ვრცელდება ს.ს.ს.რ. მთელ ტერიტორიაზე.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის ორი კვირის შემდეგ დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი— ლ. ბერია.

ადმინისტრატიულ სამმართველოს უფროსი—რესპ. მილიციის უფროსი—ბ. გერაძე.

უცხოელთა განყოფილების უფროსი—ვლ. დუმბაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, პარასკევს, 3 თებერვალს სრულ 6 საათზე, მოწვეულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის კომუჯრედის სასწრაფო არაჩვეულებრივი კრება. განსახილველია ფრიად სერიოზული საკითხები. დასწრება დაუგვიანებლად ყველა წევრთა და კანდიდატებისათვის აუცილებელია.

—:—

ამხ. მ. კახიანის სახელობის ქართულ ცენტრალურ მუშფაკის ახ. ლ. კ. კ. ბიურო კოლექტივი იტყობინება, რომ დღეს, 3 თებერვალს, საღამოს 9 საათზე მოწვეულია **ბიურო კოლექტივის სხდომა.**

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

ბაკურაძე ევსევი, პაპუაშვილი ნიკო, ლეფსი წვერიძე ივანე, ჩხეტიანი ბესარიონ, ბალიაური ვლადიმერ, თხელიძე ვალერიან, კარეგაშვილი ილიკო, ბაკურაძე პავლე, სვანიშვილი დათიკო, ჯაბუნაური აბიკა, კალაძე მარო, საგანელიძე რუბენ, პირველ პრიმენ, სტაჟაძე სერგო, ქაჩაშვილი შალვა, ყიფიანი მიშა, ადამია შალვა, ვარდოსანიძე აკაკი, ბესურაშვილი მარო, კობერიძე გრიგოლ, სტურუა სერგო, ორბელაძე იულონ, გეგენავა აქსენტი, აბულაძე გრიგოლ და ჩუხრუკიძე.

სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის პარტ-კოლექტივის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 3 თებერვალს, სრულ 5 საათზე, **მოწვეულია არაჩვეულებრივი კრება.** წევრები და კანდიდატები დაუსწრებლობისათვის დაისჯებიან წესდების მიხედვით.

—:—

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისია წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ 4 თებერვალს, დილის 11 საათზე, თბილისის კომიტეტში ამხ. მაღალაშვილთან (ოთახი 28):

ხონელიძე ამბერკი, პეტროსიანი იოსებ, ხობუა ანა (სტატ. ცენტ. სამმართ. უჯრ.), ბეალავა და ელიგულაშვილი რ. (სახ. უნივერს.), ჩხარტიშვილი ნინა და გოჩეიშვილი რომანოს

—:—

საქ. კომპარტიის (ბ) ც. კ. აგიტ-პროპ. განყოფილებაში, დღეს დილის 11 საათზე, მოწვეულია თათბირი, რომელზედაც უნდა გამოცხადდენ ამხ. ამხ. **მაშკევიჩი, კანდელაკი დ., ასრიპეკოვი, ზახაროვი, სალუქვაძე, მხითაროვი, კიკაბიძე, გეგენავა, ცხაკაია დ., ჯაფარიძე ვარო და კუპრაძე.**

მე-14-ე შრომის სკოლის მე-6 ჯგუფის მასწავლებლები და მოწაფენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს მე-6 ჯგუფის ძვირფასი ამხანაგის

ელენე ფოფხაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება თებერვლის 3-ს, შუადღის 3 საათზე. გამოსვენება უნივერსიტეტის მე-2 კლინიკიდან (კამოს ქუჩა № 103). 1291

მწუხარებაში მყოფნი გიორგი იასონის-ძე, მეუღლე მისი ანა სვიმონის ასული და შვილი იასონ გიორგის-ძე ხუციშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 1 თებერვალს საღამოს 8 საათზე გარდაიცვალა პირველის დედა, მეორეს დედამთილი და მესამის დიდედა

ნატალია სოლომონის ასული ხუციშვილისა

გამოსვენება ბინიდან, პლეხანოვის გამზირი, სახლი № 126, კუკიის სასაფლაოზე 3 თებერვალს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე. 1293

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი გულდათუთქული მშობლები: კატო და მიტროფანე, ბიძა ბახვა, ბიცოლა მენიკო, ძმები: ვანო და ჟორჟი, დაი თამარა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ მათი უძვირფასესი და მარად დაუვიწყარი

ვარლამ (ვახტანგ) მიტროფანეს-ძე გელეიშვილის

გარდაცვალებას. უკანასკნელი გამოთხოვების დღე - დაკრძალვა დანიშნულია შაბათს, 4 თებერვალს. გამოსვენება საკუთარი ბინიდან: ქ. სამტრედიაში სტაროსელსკის მოედნის ქ. № 10. 1296

გულმოკლულნი ნიკოლოზ თომას-ძე, ოთარი და შოთა ნიკოლოზისძენი, თომა დიმიტრის-ძე, ანასტია დიმიტრის ასული, ბაბუცა თომას ასული ფირცხალაიშვილები, ვერიჩკა ლოსაბერიძე, ლიუბა ქლენტისა შვილით, კატო ხაზარაძისა შვილებით და ლიზა მჭედლიშვილისა ქმრით და შვილებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ა. წ. 5 თებერვალს, დღის 1 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე, მათთვის მუდამ დაუვიწყარ პირველის მეუღლის, მეორეთა დედის და დანარჩენების რძალის

ანიჩკა (ანიკო) ფირცხალაიშვილის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო. 1288

გულმოკლულნი და მუდამ ცრემლშეუშრობელნი მშობლები: დედა სარა, მამა იაკინთე, ძმები: გუგული და ლასიკო, და ეთერი კიკნაძეები; ბებიები: ერმონია და მარგარიტა, მამიდები: მაიკო, დარო, ნადია, სონია და მარუსია; ბიძები: ჩიტო და დათიკო კიკნაძეები; დეიდები: ელენა, ნუცა, ანიჩკა, შუშანა მაჭავარიანები; ბიცოლა მარიამ თედორეს ასული მაჭავარიანისა; ბიძები: გრიგოლი, დათიკო და არჩილი მაჭავარიანები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ა. წ. 31 იანვარს, დილის 5 საათზე ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი, სიცოცხლით სავსე, ხაშურის მე-9 ჯგუფის მოწაფე

მარგარიტა (მაგლო) იაკინთეს ასული კიკნაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება ა. წ. 3 თებერვალს, დღით პარასკევს, ქ. ხაშურში. გამოსვენება ნაშუადღევის 3 საათზე. 1287

ღრმად დამწუხრებული ნიკოლოზ შიოს-ძე ქურდევანიძე შვილებით: რეზო, საშა, რამანი, სულიკო და ქეთო, ძმისწულები: დათა და კოტე; რძლები: მარიამ, ნინა, აგრაფინა, სონა და ნატაშა ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 30 იანვარს დილის 5 საათზე ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი პირველის მეუღლე, მეორეთა დედა, ძალუას და დედამთილი

ნინა ალექსის ასული ქურდოვანიძე

დაკრძალვა დღეს, 3 თებერვალს, ვერის ახალ სასაფლაოზე, გამოსვენება კამოს საავადმყოფოდან ნაშუადღევის 2 საათზე. 1298

სახელმწიფო ოპერა

დღეს, ქართული ორიგინალური ოპერა „დ ა ი ს ი“
მუსიკა სახ. არტ. ზ. პ. ფალიაშვილის
მონაწ.: დანელიანი, ნეიმანი, ქუმსიაშვილი, ხანდრო ინაშვილი, დემიანენკო, სვანიძე.

კანტატა მონაწ.: გილბერტი, მაყაშვილი, ქუმსიაშვილი, ქარციძე.
მუსიკა სახ. არტ. ზ. პ. ფალიაშვილის
დირიჟორობს ი. პ. ფალიაშვილი.

ნ. 570

რეჟისორ გ. მაკაროვმა დაამთავრა

მხატვრული სურათი

ქალი ბაზრობიდან

სახელმწიფო კინო-თეატრები

აპოლო | მსოფლიო ფილმი სვლა ცხენით | გრანდიოზული დადგმა 10.000 მონაწ. მალე საუკეთესო სურათი | „მოჯადოებული „კუნძული“
არფასტო | პრემიერა 50.000 ფრანკი | მთავარ როლებში ჩიუგეტა დიუშლო. სესიუ ხაიაკავა | მალე მსოფლიო შედევრი „მეორე ქორწინება“
სოლეი | უკანასკნელი 5 და 6 სერია უთავო მხედარი
დარბაზი | უკანასკნელად თბილისში „კ უ ლ ი ს ე ბ შ ი“ | მთავარ როლში მარჩილა ალბანი და ვ. კრაუსი.
ოდეონ
პროლეტარი (ავლაბარში) | ამ დღეებში კინო თეატრის გახსნა კაპიტალურ რემონტის შემდეგ.

[illegible] მზადდება დასადგმელად „ქალი ბაზრობიდან“ საქართ. სახკინმრეწვის ნაწარმოები



სახელმწიფო გამომცემლობა

მოითხოვეთ ახალი წიგნები.

სუხომლინი — როგორ მოქმედებენ ჯავშნიანი მატარებლები და ჯავშნოსნები. გვ. 32, ფასი—20 კაპ.
ბანევიჩი და ფადეევი — სავალდებულო სამხედრო სამსახური. ფასი— 20 კაპ.
ფელიქს კონი — ახალი ომის საფრთხე. გვ. 24, ფასი—10 კაპ.
ლესევიცკი — როგორ უნდა ისწავლო კარგი ცხენოსნობა. გვ. 40, ფასი—20 კაპ.
ფარციშვილი—ცხენის მოვლა. გვ. 48. ფასი—30 კაპ.

ნ. 429 25—22

ცირკი „კოლოს“ ტელეფ. № 8—64 ნ. 569 3—1

პარასკევს 3-ს, შაბათს 4,ს და კვირას 5 თებერვალს, საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ სახელგანთქმულ

ანატოლ ანატოლის-ძე დუროვის

პირველი გასტროლები

მისი მხეცების, ცხოველების და ფრინველების ანტროპოზოოლოგიური დასით.
კვირას, 5 თებერვალს, წარმოდგენა დღისით სახელგანთქმულ ა. ა. დუროვის და მისი მხეცების და ცხოველების მონაწილეობით.

დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რწმუნ. კ. გროდზიცკი. ადმინისტრატორი მ. ტაღე.

დღეს, ა. წ. 3 თებერვალს, შუადღის 12 საათზე ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის გარაჟში, ტროცკის ქუჩაზე № 18

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

ხელმეორე საჯარო ვაჭრობა

40 ცხენის ძალიანი, რვა ცილინდრიანი „კადილაკ“-ის სისტემის

მსუბუქი ავტომობილის

და მისი ზოგიერთი დამატებითი ნაწილების **გასასყიდათ.** ვისაც სურს ხელმეორე ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ვაჭრობის დაწყებამდე უნდა შემოიტანონ გირაოდ ასი მანეთი.

ნ. 567 ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატი.

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ ხეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ე ქ ი მ ი

ი. დ. თოფურიძე

მოსკოვის ქუჩა № 7

იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით მიღება საღამოს 5—8 საათამდის. 25—22

ექიმი ი. ი. ქეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.

იღებს ავადმ. დილ 8—9 საათ. და აღ. 6—8 საათ. კ ა მ ო ს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.) 25-18

კბილის ტეხნიკოსის წოდების მისაღებად გამოცდები შესდგება კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე მხოლოდ ამა წლის ივნისში კურსების პროგრამით, რომლის შეძენა შეიძლება კურსებზე (პლეხანოვის პროსპ. № 126) იანვარში გამოცდები არ შესდგება. დაწვრილებითი პირობები გამოქვეყნებული იქნება ა. წ. ძაისში.

კბილის ტეხნიკოსთა კურსების გამგე პროფ.

25—18 გ. მ. მუხაძ.

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და ის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავად ყოფობის (სისივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამო 7—8 საათამდე. 13—13

იონა გაბიჩვაძე

პლეხანოვის (ნიხაილოვის) პროსპექტი 65. ვენერიული და კანის ავადმყოფობანი სიფილისი და მისი შედეგები. დილით 7—8 ნახ. ს. საღ. 5—8 ს. 25—21

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპა“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი ჯ ა ლ ა ლ ო ვ ი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—15

თვალის საავადმყოფო

მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები

ა. ნ. შ ა ტ ი ლ ო ვ ი

საოპერაციო დღეებში

ა. გ. მ ა ლ ა ე ვ ი

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 25—7

ე ქ ი მ ი

მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეთი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82.

კბილის ექიმი

დავით სავვატის ძე

რ ი ქ ი ნ ა შ ვ ი ლ ი

კბილების და პირის სნეულება, პლომბები და ყოველგვარი ხელოვნური კბილები ავადმყოფთა მიღება: 10—2 საათ. და 5—7 ს. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთველის და ლენინის მოედნის კუთხე.

ექიმი ს. ი. ანდრეევა

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ელმსენი 11—78

ე ქ ი მ ი

გ. ნ. ო ნ ა ნ ო ვ ი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3, 25—16

ექიმი მებრაგიანცი

ფილტვების ჭლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონტოფორეზ. პია. მიღება ყოველდღე დილის 9—1 და საღ. 6—8 საათზე.

ენგელსის ქ. № 23. (ყოფ. ბებუთოვის) 25—1

მედიც. დოქტორი

გ. ა. ხვერდოვი

ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.

დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7. (შესავალი კუთხიდან ხარიკალის ქ № 1.) 25—15

დაკარგ: პირადობის მოწმობა № 1183 მიხეილ ვარდენისძე ქამუშაძეს სახელზე, ჩ. გ. 1297

დაკარგე: განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 18248, გაცემული ზუგდიდის მაზრის განათლების კავშირიდან ალექსანდრე ანთელავას სახელზე, ჩ. გ. 1297

დაკარგ: სამხედრო სააღრიცხვო ბარათი გრიგოლ ზოსიმესძე ჯიქიას სახელზე, ჩ. გ. 1297

დაკარგე განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 18896 ირაკლი იოსებისძე მირიანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1287

დაკარგ: პირადობის მოწმობა ლიდია ივანეს ასული კანდელაკის სახელზე, ჩ. გ. 1294

დაკარგე: კავშირის წიგნაკი № 181 მერი ნაზარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1295

დაკარგე პირველ ქართულ მსროლელ ლეგიონიდან გაცემული სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 189178 პრაკოპი ალექსისძე ქირიას სახელზე, ჩ. გ. 1292

დაკარგე: მეტრიკული ამონაწერი № 1920 გიორგი ონისიმესძე ჩიხლაძეს სახელზე, ჩ. გ. 1290

დაკარგე: ს. ა. კ. კ. წიგნაკი № 472 4 მელქისედეკ მიხეილისძე აკობაძეს სახელზე, ჩ. გ. 1287

დაკარგე: პროფ-კავშირის საწევრო წიგნაკი № 22688 სიმონ ქანტურიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 568

დაკარგე ტრანსპორტელთა კავშირის წიგნაკი ისიდორე ცინცაძის სახელზე. ჩ. გ.

დაკარგე: ზუგ. ორგანიზაციის ს. ა. ლ. კ. ა. საწევრო წიგნაკი № 39383. ნეფიტე ღურწკაიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 568

დაკარგე ლოლა ნარმანიას ასულის ჯიქიასაგან მიღებული ბათილობის ხელწერილი ისაკი ნესტორისძე ჯიქიას სახელზე ჩ. გ. ნ. 568

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა. კამოს ქ. № 62